



# ილორი

www.ilori.ge  
E-mail: r.jalagania@mail.ru



№262 (321) 25 მარტი-1 აპრილი 2014 სახალხო მოძრაობა „სამიგრელოს“ ორბანო 30 თეთრი

## თბილისში უკრაინის კრიზისთან დაკავშირებით მრგვალი მაგიდა გაიმართა



თბილისში 12 მარტს უკრაინის კრიზისთან დაკავშირებით „გლობალიზაციის პრობლემების კვლევის“ ცენტრის მიერ ორგანიზებული მრგვალი მაგიდა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ: ვიქტორ ცაავა (გლობალიზაციის პრობლემების კვლევის ცენტრის დამფუძნებელი), სვიან მირზაგია (გლობალიზაციის პრობლემების კვლევის ცენტრის დამფუძნებელი), ირაკლი უბილავა („პოლიტოლოგთა კლუბის“ თავმჯდომარე), ზაურ გახარია (სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ კოორდინატორი), ტარიელ გაგინიძე (არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ თავმჯდომარე), თამარ კიკნაძე (ქალთა სამოქალაქო მოძრაობა „თამარიონის“ მთავარი საბჭოს წევრი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი), გიორგი მდივანი (ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბის დამფუძნებელი), გიორგი გერმანიძე („საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ წევრი), ნანა დევიდარიანი (გლობალიზაციის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი), ბონლო მინარაშვილი (სტუდია „ობიექტივის“ ურნალისტი და თანადამფუძნებელი), როლანდ ჯაღალანია (გაზეთ „ილორის“ მთავარი რედაქტორი) და ვალერი კვარაცხელია (პარტია „ნეიტრალური საქართველოს“ თავმჯდომარე).

შეხვედრაზე გლობალურ კონტექსტში იქნა განხილული უკრაინაში მიმდინარე მოვლენები, საქართველოსთვის შესაძლო შედეგები აღნიშნული მოვლენების სხვადასხვა სცენარით განვითარების შემთხვევაში, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, რუსეთის როლი უკრაინის მოვლენებში, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის ქვეყნების ჩართულობა უკრაინაში განვითარებულ მოვლენებში და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

შეხვედრაზე მოწვეულმა სტუმრებმა ვრცლად ისაუბრეს სხვადასხვა საკითხებზე. დისკუსიამ 2 საათზე მეტ ხანს გასტანა და ყველა გამომსვლელის პოზიციები მაქსიმალურად ვრცლად იყო წარმოდგენილი. მიუხედავად ახრთა სხვადასხვაობისა, შეხვედრის მონაწილე სტუმრები შეთანხმდნენ იმაზე, რომ უკრაინაში განვითარებული მოვლენები გლობალურ კონტექსტში უნდა იქნეს განხილული, შესაბამისად, რა სცენარითაც უნდა განვითარდეს ისინი, დიდ ზეგავლენას მოახდენს საქართველოზე და ქართულ-რუსულ ურთიერთობაზე.

**30 მარტი** ცაავა: „ჩვენი ორგანიზაცია – „გლობალიზაციის პრობლემების კვლევის ცენტრი“ 2005 წელს დაარსდა და იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში.

ბოლო დროს უკრაინის ირგვლივ განვითარებული მოვლენები უმნიშვნელოვანესია ყველა მეზობელი ქვეყნისთვის, განსაკუთრებით საქართველოსთვის. ეს პროცესები სარკისებურად აისახება ჩვენი ქვეყნის მომავალზე. ამიტომაც მიზანშეწონილად მივიჩნით ქართველ ექსპერტებთან და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენ-

ლებთან ერთად აღნიშნულ საკითხებზე ფართო მსჯელობა გაგვემართა.

ჩემი აზრით, უკრაინის მოვლენები გლობალურ ასპექტში უნდა იქნეს განხილული და უნდა გვესმოდეს, რომ აღნიშნულ კრიზისთან დაკავშირებით რა სცენარითაც უნდა განვითარდეს მოვლენები, საქართველოს სხვადასხვა საფრთხის თავიდან ასაცილებლად დიდი ძალისხმევა, სიფრთხილე და გონიერება დასჭირდება.

დღევანდელი შეხვედრის ძირითადი დრო სწორედ საქართველოსთვის შესაძლო შედეგების ანალიზს დაეთმო. მოხდა ახრთა გაცვლა. მიმანია, რომ მსგავსი მსჯელობა აუცილებელია იმისათვის, რომ ამ გლობალურ პროცესებში საქართველო უზებლად გადარჩეს“.

**ტარიელ გაგინიძე:** „უკრაინაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით შემიძლია ვთქვა, რომ ეს იყო დასავლეთის გარკვეული ძალების მიერ განხორციელებული მცდელობა, უკრაინაში ანტირუსული, ფაშისტურ-დოქტრინული რეჟიმი დაემყარებინათ. ამ მცდელობამ, ერთი შეხედვით, თითქოს მიზანს მიაღწია, თუმცა დღეს მოვლენების განვითარების პროგნოზირება ძნელია და გაუგებარია, თუ რა შედეგამდე მივა ეს ყველაფერი.

ვიფიქრობ, უკრაინაში მიმდინარე პროცესები ამ ტრილში არის განსახილველი: უკრაინა ესაზღვრება პოლონეთს (შემთხვევითი არ არის, რომ პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი პროცესში აქტიურად მონაწილეობს). პოლონეთი, თავის მხრივ, არის ნატოს წევრი ქვეყანა, რომელიც ბალტიის ზღვაზე გადის, ხოლო უკრაინის სამხრეთი შავ ზღვას ესაზღვრება. ამდენად, თუკი ეს პროექტი გაგრძელდა, ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე რუსეთისადმი მტრულად განწყობილი ქვეყნების რკალი იქმნება. რუსეთი, როგორც თავმოყვარე ქვეყანა და სახელმწიფო, რა თქმა უნდა, ამას არ ეგუება და კონტროლების მიღებას ცდილობს.

დღევანდელ შეხვედრაზე მსჯელობისას ბევრი განსხვავებული აზრი გამოითქვა. საქართველოში დიდი ხანია გაბატონებულია აზრი იმის შესახებ, რომ ამერიკელი და ევროპელი წინააღმდეგობის ნათქვამის უპირობო მხარდაჭერა უნდა მოხდეს, ხოლო ამ ყველაფრის უკან რა დგას და რა მიზანს ემსახურება, ცოტა ვინმე თუ ფიქრობს და დააბრალებს. ამიტომაც სხვადასხვა უმნიშვნელოვანეს საკითხზე დისკუსიები ხშირად უნდა გაიმართოს და საზოგადოებამ გააანალიზოს კონკრეტული პრობლემების ყველა ასპექტი – ეს სასიცოცხლოდ აუცილებელია საქართველოსთვის“.

**თამარ კიკნაძე:** „დღევანდელი შეხვედრა ძალიან საინტერესო იყო. ვისურვებდი, რომ მსგავსი ტიპის დისკუსიები ხშირად გაიმართოს უფრო საჯარო და მასშტაბურ ფორმატში. დღეს აუცილებელია საქართველოს ადგილის და მომავლის განსაზღვრა, რაც მსოფლიოში და, განსაკუთრებით, რეგიონში მიმდინარე პროცესების საფუძვლიანად შესწავლის გარეშე წარმოუდგენელია.

ჩვენ აქტიურად ვაღივებთ თვალს ჩვენს მეზობელ უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს და ამ ეტაპზე კონკრეტული დასკვნებისგან თავს შევიკავებ, თუმცა გეტყვით, რომ საინტერესოა, რეგერენდუმის ჩატარების შემდეგ რა გადაწყვეტილებას მიიღებს რუსეთის ხელისუფლება – მიიერთებს ყირიმს თუ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებს. ჩემი აზრით, რუსეთისთვის „მწვანე შუქია ანთებული“ ევრაზიული კავშირის შექმნაზე, უბრალოდ, დღეს ამ პროცესების გაფორმება ხდება. ეჭვს ბადებს ის ფაქტი, რომ კონფლიქტის დაწყების შემდეგ პირველი აქტივობა, რაც უკრაინის რაღამ განახორციელა, რუსული ენის სტატუსის გაუქმება იყო – ეს გეგმიური ინიციატივაა, რომ დაძაბული გარემო ხელსაყრელად იყო შექმნილი და იგი რუსულენოვან და უკრაინულენოვან მოსახ-

ლეობას შორის დაპირისპირების პროვოცირებას ემსახურებოდა.

ვიფიქრობ, თუ მოვლენები ასე გაგრძელდა, უკრაინა ორ ნაწილად გაიყოფა – პროდასავლურად და პრორუსულად. ერთი ნაწილი ევროკავშირში შევა, ხოლო მეორე – ევრაზიულ კავშირში. 46-მილიონიანი უკრაინის ათვისება ევროკავშირს ძალიან გაუჭირდება. ამიტომაც ყველა შექმნილი პრობლემა ხელსაყრელად მიმანინია“.

**ბიორბი მღიზანძვირი:** „დღეს ვრცლად ვისაუბრეთ უკრაინაში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე და იმ პარალელებზე, რომლებიც შესაძლოა დაინახოთ ამ მოვლენებსა და აფხაზეთსა და ოსეთში ომის დროს განხორციელებულ ქმედებებს შორის. გამოყვავით ამ მოვლენების სამი სხვადასხვა შემადგენელი ნაწილი – ეკონომიკური ომი (რაც დღეს ხდება უკრაინაში), საინფორმაციო ომი (მედიასაშუალებები გაყრდნობის და ერთსა და იმავე საკითხზე სხვადასხვა ქვეყანაში სრულიად განსხვავებული ინფორმაციები ვრცელდება) და რუსეთის გავლენა მეზობელ ქვეყნებში განვითარებულ მოვლენებზე. მიმანია, რომ ამ ყველაფერს 2008 წელს საქართველოში განვითარებულ მოქმედებებთან მინიმალური საერთო აქვს. თუ აფხაზეთთან და ოსეთთან დაკავშირებით რუსეთმა ამ ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარება საკუთარი თავდაცვისთვის განახორციელა, ყირიმში დღეს რუსეთს სხვა გადაწყვეტილების მიღების საშუალება არ აქვს, რადგან ეს არის თავად მოსახლეობის დაკვეთა. იქ მცხოვრები რუსულენოვანი მოქალაქეები, რუსეთს დახმარებას სთხოვენ“.

**P.S. შეხვედრის დასრულების შემდეგ ექსპერტებმა საუბარი არაფორმალურ გარემოში განაგრძეს. უამრავი არგუმენტირებული პოზიციისა და მოსაზრების გამოთქმის შემდეგ გადაწყდა, რომ მსგავსი შეხვედრები უფრო მასშტაბურ ფორმატში უნდა გაგრძელდეს.**

სამიწვორბი

## სახალხო მოძრაობა „სამიგრელოს“ თავმჯდომარეს ბატონ ალექსანდრე ჯაჭიას

მოგესალმებით, ბატონო ალექსანდრე და გულთბილად ვილოცავთ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მიერ რუსეთის უმაღლესი ჯილდოთი „ღირსების ორდენით“ (Орден Почета) თქვენს დაჯილდოებას.

საქვეყნოდ ცნობილია თქვენი მრავალწლიანი დეპუტატი და ბრძოლა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და ქვეყნის გაძლიერების საქმეში, რომლის ერთ-ერთ დასტურად შეიძლება დამოწმებული იქნას თქვენი ფუნდამენტური ნაშრომი „საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სტრატეგია და ეროვნული იდეა“, რომელიც დღემდე დანაშაულებრივად და მიუღიესურებელი საქართველოს ყველა ხელისუფალთაგან. ყოველივე ამის შემდეგ, რუსეთის ხელისუფლების მიერ თქვენთვის გადმოცემული ჯილდო

გახლავთ სრულიად საქართველოს საკუთრება და რუსეთის მიერ ჩვენი კეთილსიმყოფელობის საყოველთაო აღიარება. ხაზგასასმელია ისიც, რომ თქვენ ბრძანდებით პირველი ქართველი, რომელიც რუსეთის პრეზიდენტმა დააჯილდოვა ჯერ „მეგობრობის ორდენით“, შემდეგ კი „ღირსების ორდენით“. მართლაც პოლიტიკურად ბეცი, ან საქართველოს ინტერესების გამოუსწორებელი მთელსაქართველოში უნდა იყოს ის ხელისუფლება, რომელიც ვერ დაინახავს თქვენს პოლიტიკურ შესაძლებლობებს, შეუვალ პრინციპულობას და არ გამოიყენებს თქვენს პირად ავტორიტეტსა და ძალისხმევას საქართველოს საკეთილდღეოდ!

ბატონო ალექსანდრე!

ჩვენ, ქიზიყელები, ისტორიულად უბატონო კუთხის შვილებად ვიყავით აღიარებულები და სხვებზე ნაკლებად არ ვიცით სამშობ-

ლოს სიყვარული და ერთგულება, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ფასი. ამავედროულად, ქიზიყელები ცნობილი არიან თავისი პირდაპირობითა და პირუთვნელობით, რასაც არაერთგზის მოუძრაველები ჩვენთვის მტერი, მაგრამ სწორედ ჩვენი პრინციპულობა და სიმართლე გვემხარებოდა ყოველთვის მტერთან გამარჯვების საქმეში. ახლაც მოგახსენებთ ერთ „მწარე“ სიმართლეს: ის, რომ თქვენ სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ თავმჯდომარე ბრძანდებით, სრულიად არ ნიშნავს, რომ თქვენი საქმე ემსახურება საქართველოს მტრების მიერ დაწინაურებულ-დასოქმებული მხოლოდ ერთი კუთხის აღორძინებას და ფეხზე წამოყენებას! თქვენი ძალისხმევა ეკუთვნის სრულიად საქართველოს, დიას, თქვენ იმდენი თვალთ შემოგცქერის სრულიად საქართველო, რადგან ღრმად ვართ

დარწმუნებული, რომ რუსეთში თქვენნაირი ავტორიტეტის მქონე ადამიანს ხელეწიფება საქართველოს ტერიტორიული გამთლიანება და ამ შანსის არგამოყენება დიდი დანაშაულია ჩვენი სამშობლოს მომავლის წინაშე!

ამიტომაც გიდგათ გვერდში ჩვენი ბედნიერი მომავლის რწმენით გულანთებული ყველა ქართველი!

კიდევ ერთხელ ვილოცავთ ესოდენ მაღალი ჯილდოს მიღებას, ვისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წარმატებებს პირად, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობაში!

ღრმა პატივისცემით,

**ბივი სომხიშვილი,**  
მწერალი, დავით აღმაშენებლის პრემიის  
ლაურეატი, „აია“-ს აკადემიის წევრი

ღვაწლი დიდი მამულიშვილისა – ბიორბი შარვაშიძე

გიორგი შარვაშიძე სრულიად უნიკალური მოღვაწეა XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის დამდეგის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. მან თავისი საინტერესო შემოქმედებით, მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობით წარუშლელი კვალი დატოვა თანამედროვეობაში და დიდი ზნეობრივი მბრუნავი დატოვა შთაბრძნავლობას.

გიორგი შარვაშიძის ცხოვრება და ღვაწლი საკმაოდ კარგადაა შესწავლილი ქართველი მეცნიერების მიერ. განსაკუთრებული წვლილი ამ საქმეში შეიტანა გამოჩენილმა ისტორიკოსმა აკად. სიმონ ჯანაშიამ, რომელმაც პირველმა მოიძია გ. შარვაშიძის ცხოვრების ამსახველი ფრაგმენტული მასალები, აგრეთვე კერძო კოლექციებში მიმოიხედავა პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობა და ხელმისაწვდომი გახდა ის საზოგადოებისათვის (**გიორგი შარვაშიძე**. ლირიკა, დრამა, ეპოსი. აკად. ს. ჯანაშიას რედაქციითა და ნარკვევით. სოხუმი, 1946). ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ს. ჯანაშიას ნაშრომი, რომელსაც მეცნიერება მორიდებულად **“კულტურულ-ისტორიული ნარკვევი”** უწოდა, ნამდვილი გზამკვლევაა გიორგი შარვაშიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლით დაინტერესებული მეცნიერებისთვის. ს. ჯანაშიას გარდა გიორგი შარვაშიძის ცხოვრებასა და შემოქმედებას იკვლევდნენ სხვადასხვა თაობის მეცნიერები: გერონტი ქიქოძე, ოთარ ჭურდული, გიორგი ძიძარია, სოლომონ ლეკოვილი, ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ელვაჯუა თავაძე, ჯუმბერ თითქერი, ტიტე მოსია და სხვ.

სულ ახლახან გამოვიდა გიორგი შარვაშიძის თხზულებათა ორტომეული, რომელშიც შესულია საკუთრივ მწერლის მხატვრული ნაწარმოებები და საგაზეთო პუბლიკაციები. გარდა ამისა, ამ კრებულში დაბეჭდილია ცალკეული მოგონებები და გიორგი შარვაშიძის ლიტერატურული პუბლიცისტური მემკვიდრეობის საკმაოდ ამომწურავი ანალოგი (**გიორგი შარვაშიძე, თხზულებანი ორ ტომად**. ტ. I, ტ. II. ქუთაისი, 2006). მიუხედავად ამისა, არ შეიძლება იმის თქმა, რომ გიორგი შარვაშიძის ჯერონდი იცნობს ფართო საზოგადოებას. განსაკუთრებით ეს ეხება მის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას. წარმოდგენილი ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ, ერთხელ კიდევ გადაგვეხეივოთ თვალი ამ დიდი მამულიშვილის ღვაწლზე ამ მიმართულებით და წარმოგვჩინა მისი როგორც ქართველი მოღვაწის იერ-სახე. გიორგი შარვაშიძის საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლა დამთავრდა საქართველოში ეროვნულ-გამანათლებლური მოძრაობის ახალი ეტაპის დაწყებამ. მართალია, ის უშუალოდ არ იყო ილიას გუნდის წევრი, (ამით ჩვენ სულაც არ ვუარყოფთ თბილ ურთიერთობასა და უკუგადასაუბრებლობას, რომელიც ნამდვილად აკავშირებდა ილია ჭავჭავაძესა და გიორგი შარვაშიძეს (ამის შესახებ იხ. **ტურდული**. გიორგი შარვაშიძე. წმ.: გიორგი შარვაშიძე, თხზულებანი ორ ტომად. ტ. II. ქუთაისი, 2006, გვ. 65-67). თუმცა თავისი შემოქმედებით და საზოგადოებრივი საქმიანობით გიორგი შარვაშიძე ნამდვილად იდგა XIX ს. 60-იან წლებში წამოწყებული დიდი ეროვნული ბრძოლის აგანგარდში. შეიძლება ითქვას, რომ გიორგი შარვაშიძე იყო ერთგვარი შემართებელი რგოლი ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავდაზნაურული და ილიასეული ეტაპისა. მასში ძალზე დიდი იყო მოზღვავებული ის პატრიოტული მუსტი, რომლის მატარებლები იყვნენ ერთი მხრივ დიმიტრი ყიფიანი და მისი თაობა, ხოლო მეორე მხრივ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვა თერგდალეულები.

გიორგი შარვაშიძის დიდი აფხაზისა და ამავე დროს **“ქართული რასის ნამდვილი ვაჟის”** (გრიგოლ რობაქიძე) ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და კულტურულ-საზოგადოებრივი ცნობიერება, როგორც მკაფიოდ აჩვენა აკად. ს. ჯანაშიამ, მთლიანად განაპირობა იმ ტრადიციებმა, რომელსაც იზრდებოდნენ შარვაშიძეთა სამთავრო სახლისა და სხვა აფხაზურ თავდაზნაურულ საგვარეულოთა შვილები საუკუნეების განმავლობაში. დიას, მიუხედავად XVI-XVIII საუკუნეებში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიას განვითარებ

ული პროცესებისა, კერძოდ, ჩრდილოეთ კავკასიიდან მომქე დაიწყო აფხაზეთის მივილი ტომების ახალი ტაღის მოწოდისა და ოსმალეთის იდეოლოგიური ექსპანსიის შედეგად ერთ დროს მაღალგანვითარებული ფეოდალური მხარის – აფხაზეთის – ერთგვარი **“გაბარბაროსებისა”** და იქ ქრისტიანობის საფუძვლების მოწყვეტისა, აფხაზეთი გვიან შუა საუკუნეებში და მოგვიანებით) ძირითადად მაინც რჩებოდა საერთო-ქართული კულტურულ-პოლიტიკური სამყაროს ორგანულ ნაწილად. სწორედ ამ სამყაროს დიდი შვილია აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შარვაშიძისა და სამეგრელოს მთავარ დადიანების გვერდითი შტოს წარმომადგენლის ალექსანდრა (ცუცა) დადიანის ვაჟი გიორგი შარვაშიძე.

მიხეილ შარვაშიძის, შარვაშიძეთა ძირძველი საგვარეულოს ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული წარმომადგენლის, რომელიც თითქმის 40 წლის მანძილზე ედგა სათავეში აფხაზეთის სამთავროს, მოღვაწეობას თანამედროვენი სხვადასხვახაირად აფასებდნენ. რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები აღნიშნავდნენ რა მის ცალკეულ დამსახურებებს რუსეთის მთავრობის წინაშე, მთლიანობაში მაინც დიდ უნდობლობას აქვდა აფხაზებს და ხანდახან მოვალეობადაც ითვლიდნენ მის აღსანიშნავად, რომ მიხეილ შარვაშიძის ნეგატიური პორტრეტის, განსაკუთრებით ყირიმის ომის პერიოდში, შექმნაში არც თუ უმნიშვნელო წვლილი შეიტანა დადიანთა სამთავრო სახლმა (უპირველესად ეკატერინე დადიანმა) და თვით შარვაშიძეთა საგვარეულოს ცალკეულ წარმომადგენლებმა. მაგრამ ქართული ფეოდალური არისტოკრატის ელიტარულ ნაწილში იყვნენ ისინიც, ვინც ყოველხაირად ცდილობდა მიხეილ შარვაშიძის გამართლებას. ამ მხრივ, პირველ რიგში, უნდა დავახახლოთ დიდი ქართველი ეროვნული მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი, რომელმაც ყველაფერი გააკეთა მიხეილ შარვაშიძის პოლიტიკური კარიერის გადარჩენად.

რუსული ისტორიოგრაფია მიხეილ შარვაშიძის მოღვაწეობის შეფასებისას ძირითადად ოფიციალური კონსენსუალური ხელმძღვანელობდა, რაც დღემდე უცვლელი რჩება. პირველი მეცნიერი, რომელიც შეცვალა რუსეთის ხელისუფლებისაგან შერისხული მთავრის რეპუტაცია, იყო აკად. სიმონ ჯანაშია, რომელმაც თავის ბრწინავალე ნარკვევში გიორგი შარვაშიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ (სიყვე, როგორც თავის დროზე დიმიტრი ყიფიანმა) მოიყვანა აფხაზეთის მთავრის ქმედებების გამამართლებელი არგუმენტები და მიიღო პასუხისმგებლობა აფხაზეთში შექმნილი ვითარებისათვის კავკასიის რუსულ ადმინისტრაციას დააკისრა (**ს. ჯანაშია**. გიორგი შარვაშიძე. **კულტურულ-ისტორიული ნარკვევი**. – შრომები, VI. თბ., 1988, გვ. 6-13). (ის, რომ აფხაზეთის სამთავრო სახლის წარმომადგენლები მხარის **“გაბარბაროსების”** შემდეგაც (XVII – XIX ს. დამდეგი) კვლავ რჩებოდნენ საერთო-ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემისა და ქართული წიგნიერების სიგრძეში, ნათლად დასტურდება აფხაზეთის მთავრების, ყვაპუ შარვაშიძისა და ქლეშვილი შარვაშიძის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდანაც. ამ მხრივ, განსაკუთრებული ინტერესს იწვევს მიხეილ შარვაშიძის პაპის, ქლეშვილი შარვაშიძის ხელწერილი, რომელიც მან მისცა თავის ახლო ნათესავს სოსრანბე შარვაშიძეს: **„ესე ხელწერილს გაძლე შენ, ჩემს ძმისწულს ბეჭტიბეჭის შვილს სოსრანბესს, ასე რომ მე და შენ შევეულებოდით და დენერალ-მაიორ რიქსოფს და ბატონ დედოფალს (იგულისხმება სამეფოების დედოფალი ნინო ბატონიშვილის-დადიანის – ზ.პ.) ეახლებ; აქ ამთმან უგანათლებლებსებამ ინება ჩვენი და შენი გარიგება და თავათ დედოფალი მორბანდა და გაგვარებეს, ასე რომ რაც მამა შენს ბეჭტიბეჭს ადგილ-მამული, ყმა და მოსამსახურე ჰყავდა, ან რაც ქონდა, სრულათ ოთხზე მძებისათვის მოგაცივებსა მამიშენისეული ადგილ-მამული; კიდევ როგორც რიგი არის ბატონეობისა, ისე თავის ყმა იმსახურე და შენდა ნებად გყვანდეს, და ჩემთან არც სიყვლილით, არც დაჭერთით, არც კაცის შეჩენილობით ფიქრი არ გკონდეს, თუ ცხადად შენგან ვნება არ გამოცხადდეს რა“** (AKAK, T. II, Tiflits, 1868, გვ. 190. ნახაგასმა ჩვენი – ზ.პ.). ქლეშვილი შარვა-


შიძის ეს ხელწერილი შედგენილია შუა საუკუნეების საქართველოში გამოქმნილი დიპლომატიკური ნორმების მიხედვით. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით ხასხასამელა ის გარემოება, რომ ამგვარი წერილი იწერება არა საშურხაყანოში, რომელიც მეტად იყო ინტეგრირებული და ნარჩუნ საქართველოსთან, არამედ ე.წ. **„უშინაგანეს“** აფხაზეთში, იმ მთავრის კარზე, რომელიც ითვლებოდა **„მართლმორწმუნე მუსლიმად“**. აი, ეს აფხაზეთიც ცხოვრობდა იმ ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის (**„რიგი... ბატონეობისა“**) პირობებში, რომელიც საყოველთაო იყო მთელი საქართველოსთვის. ყოველივე ეს აშკარად მიგვანიშნებს იმაზე, რომ მიუხედავად გვიანი შუა საუკუნეების აფხაზეთის ერთგვარი **„წარმართად მიქცევისა“**, რაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოწვეული იყო მონათესავე მთელი ტომთა ახალი ტაღის ჩამოწოდით, ეს რეგიონი მაინც ქართული ფეოდალური სამყაროს ნაწილად მოიხრებოდა, ხოლო სამთავროს ოფიციალურ ენად კვლავ ქართული რჩებოდა.) ანალოგიურად უდგებოდა მიხეილ შარვაშიძის მოღვაწეობის შეფასების საკითხს ცნობილი ქართველი მეცნიერი შალვა ხეცია, რომელმაც სერუპულოზურად შეისწავლა XIX ს. 50-იანი წლების მოვლენების ამსახველი მასალები (**შ. ხეცია**. აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის. 1853-1855 წწ. – **სახტორთი მოამბე**, №15-16. თბ., 1963, გვ. 127-128; 130-136). მაგრამ მიხეილ შარვაშიძის ყველაზე გამოკვეთილ დამცველად მაინც გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსი, პროფ. გიორგი ძიძარია მოგვჩვენებს. თავის ფუნდამენტურ შრომებში XIX ს. აფხაზეთის ისტორიის პრობლემებზე, მან მოგვცა კავკასიაში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის საკმაოდ მკაცრი კრიტიკა და ამ ფონზე შეაფასა აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მოღვაწეობა. მეცნიერის აზრით, მიხეილ შარვაშიძე თითქმის ყოველთვის მოქმედებდა რუსეთის იმპერიის სასარგებლოდ და არა მის წინააღმდეგ (**Г. А. Дзидария**. Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия. Сухуми, 1982, გვ. 140-141). ფაქტობრივად, ამ თვალსაზრისის ავითარებენ ს. ლაკობა (**С. З. Лакоба**. Очерки политической истории Абхазии, Сухуми, 1990, გვ. 17-25) და სხვა აფხაზი, ასევე ქართველი ისტორიკოსებიც, მათ შორის ნ. თაკალანძე, რომელმაც მიხეილ შარვაშიძის ცხოვრებას და მოღვაწეობას სპეციალური მონოგრაფია (საკანდიდატო დისერტაცია) მიუძღვნა (**ნ. თაკალანძე**. მიხეილ შარვაშიძე: ცხოვრება და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა, საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2000).

მიუხედავად რუსეთის ხელისუფლების ვერაგობისა და ზემოთ დასახელებულ მკვლევართა მიერ მოტანილი სხვა არგუმენტებისა, ჩვენ მაინც გაუშარბობდებოდეთ მიგვჩინა მიხეილ შარვაშიძის მოღვაწეობაში მხოლოდ პოზიტიური მხარეების საგულდაგულოდ ძებნა. ჩვენი აზრით, მიხეილ შარვაშიძე იყო უაღრესად რთული პიროვნება, რომელიც ყოველთვის ცდილობდა ნებისმიერი საშუალებებით ხელისუფლების შენარჩუნებას. სწორედ ეს მისწრაფება უბიძგებდა მას ხან ერთ მხარეს გადახრილიყო, ხან კი – მეორეს. ერთი მხრივ, იგი აქტიურად თანამშრომლობდა რუსულ ადმინისტრაციასთან და ემხრობოდა მას მომქე მთელი ტომების წინააღმდეგობის დაძლევაში და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში რუსეთის გავლენის დამყარება-განმტკიცებაში (ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულისაგან, ნაკვ. **И. უკვლესი** დროიდან 1917 წლამდე, თბ., 2004, გვ. 151-152), მეორე მხრივ, პირქით, ღიად თუ ფარულად უჭერდა მხარს თავის კავკასიულ თანამომქეთა (რომელთა ერთ-ერთი ბელადი უბისთა წინამძღოლი დროშუვა ბარზევი – მისი აღმზრდელი იყო) **“სადიო ომს”** რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ. არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ მიხეილ შარვაშიძე ნამდვილად ეწეოდა ორმავე თამაშს ყირიმის ომის პერიოდში და არც თუ იშვიათად ღიად თანამშრომლობდა ოსმალეთის საოკუპაციო რეჟიმთან. უფრო მეტიც, ის სულაც არ იყო წინააღმდეგი, თურქთა მხარდაჭერით დაუფლებოდა მთელ დასავლეთ საქართველოს და გამხდარიყო **“ბრწყინვალე პორტა”** მთავარი დასაყრდენი დასავლეთ კავკასიაში. თურქეთთან მიხეილ შარვაშიძეს აკავშირებდა მერკანტილური ინტერესებიც. ის მართლაც ეწე-

ოდა კონტრაბანდას და საკმაოდ სოლიდური შემოსავალიც გააჩნდა ამ საქმიანობიდან.

მაგრამ ამ შემთხვევაში, ჩვენ უფრო მიხეილ შარვაშიძის კულტურულ-სახელმწიფოებრივი იერ-სახე გვინტერესებს. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი, რუსი მაღალჩინოსნების თქმით, არც თუ იშვიათად **“ველურ”** არაქრისტიანულ ჩვევებს ავლენდა (*Акты, собранные Кавказскою археологической комиссией* (შემდგომ – AKAK), т. VIII, Тифлис, 1881, გვ. 447), მისი მმართველობის ხანაში შარვაშიძეთა სახლი ერთმნიშვნელოვნად რჩებოდა საერთო-ქართული ქრისტიანული სამყაროსა და იყო ქართული წიგნიერების არეალში. რუსული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პირებიც კი აღიარებდნენ, რომ **„в фамилии князье Шарвашидзе употребительный письменный язык грузинский“** (**შ. ხეცია**. აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის... გვ. 154).

ის, რომ ქართული წიგნიერება იყო მშობლიური მიხეილ შარვაშიძისათვის, დასტურდება მისი ოფიციალური და არაოფიციალური მიმოწერით. მიხეილ შარვაშიძის ეპისტოლარული მემკვიდრეობა კარგადაა ცნობილი მეცნიერებისათვის, აქვინდა ამჯერად ამაზე საუბარებოდ არ შევჩერდეთ, მაგრამ მიზანშეწონილად მიგვჩინა, მოვიყვანოთ აფხაზეთის მთავრის ერთი (კონფიდენციალური) წერილი, ვაცხადებთ ჰკადუაში მყოფი მეუღლისადმი: **“საყვარელო ალექსანდრა! გრიგოლ შარვაშიძე და ქით ტაგუ გამომიგზავნი ვითორც შენი და ბავშვების წამოსაყვანად აქეთ, და არამც არ დაუჯერო იმათ და არ წამოხვიდე. ეს არავინ გაიგოს. რამდონიც ხანს შეგებლოს (!) შეიქციე, და მამა შენი როცა მოვა, თვითონ მიხვდება. ეს წიგნი უჩვენე და რაყარც სჯობდეს, იქს. გიორგი შენთან მოაყვანე. ლეჩხუმს არ წაიყვანო. ბაბუშა ჩქოტუებს გამოატანე. გულნაკულად არიან, გაზრდილი წაგვართვით. მე მალე ვერ მოვალ, მაგრამ (!) ჩემთვის ნუ სწუხარ(!), პატარა გიორგი შეგიქცევს. შენი მიხალი შარვაშიძე, 18 მაისს 1855 წელს: ოქ-შირიტო”**. გარედან წერილს აწერია: **“აფხაზეთის მთავრის ალექსანდრა გიორგის ასულსა, ჰკადუაშს, საკუთარს ხელს”** (ს. ჯანაშია. გიორგი შარვაშიძე... გვ. 34-35).



როგორც ამ წერილიდან ირკვევა, ჰკადუაში დედასთან ერთად იმყოფებოდა პატარა გიორგიც. სხვა მონაცემებიდან ჩანს, რომ გიორგი შარვაშიძე ყოველთვის განსაკუთრებული გრძობით იყო გამსჭვალული თავისი დედულეთისადმი, რაც აისახა კიდევ მის შემოქმედებაში. ასე მაგალითად, 1872 წ. 6 ივლისს, ჰკადუაში მორიგი სტუმრობისას, გიორგი შარვაშიძეს დაუწერია ლექსი: **„მოგონება“**, რომელიც მიუძღვნია თავისი ბიძისა (დედის ძმა) და სულიერი მეგობრისათვის – კონსტანტინე (კოწია) დადიანისათვის. **„ლექსში პირეტი თავს ევლება ჰკადუაში მშვიდ ადგილს, სადაც განგლო მისი სიყრმის ყამმა, სადაც პირველად იგრძნო „სოფლის ღახვრები“, სადაც უჭვრეტდა მშობელს დედას... იგონებს თექვსმეტი წლის ასაკში თუ როგორ გაუაყარა პირველად გული სიყვარულმა, რომელმაც განაცდევინა „უცნობი სიტკობ“ და აუბგერა გული...“** (ტ. მოსია. გიორგი შარვაშიძის ლიტერატურულ-კულტურული მემკვიდრეობა. თბ., 2012, გვ. 224).

საპ. იმფ.  
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

თემო სახურია: „მროველის ანისტორია“



ქართლის ცხოვრებას ისტორიკოსთა ნაწილი ეროვნულ ისტორიას უწოდებს...

ლევონტი მროველი წერს (ქართლის ცხოვრება): „მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუენა იერუსალემი...“

აკაკისა და ილიას გალაშქრება ამ ყაღბივერსიების წინააღმდეგ... ჩვენ, კარგი, მოვიითმენთ, მაგრამ ასე უნდა ვასწავლოთ ჩვენს ნორჩსა და მომავალ თაობას მშობლიური ისტორია?

ა. მირცხულავა იქვე დასძენს: „არა მგონია ესეც ჭეშმარიტებას შეიცავდეს...“

აი რას წერს ინგლისელი მეცნიერი ა. მორტინი: „იბერიელები გახდნენ ბრიტანეთის კუნძულების თანამედროვე მოსახლეობის ერთ-ერთი ძირითადი მამამთავრები...“

ასევე საინტერესოა კარლ რიტგერის ცნობა. იგი წერს: „კარტოგრაფიული ხელოვნების გამოკვლების პრაქტიკა – დიდება სრულად არ ეკუთვნის მცირე აზიის ბერძნებს...“

ბულგარელი მეცნიერის ვ. გრიგოროვის მტკიცებით „ხმელთაშუა ზღვის უძველესი მოსახლეობა, კავკასიის ჩათვლით...“

აი რას წერს ზ. გამსახურდია: „საქმეის გახლავთ, რომ ვიღვქემ პუმბოლდტი მისმა გამოკვლევებმა ბასკური ენის სფეროში და პირინეის ნახევარკუნძულის უძველესი მოსახლეობის ვინაობის კვლევის სფეროში მიიყვანა...“

უწოდებენ პროტობერებს, მათგან მომდინარეობს გვიანდელი ევროპული მოსახლეობა.

მეცნიერებაში მიღებულია აგრეთვე ტერმინი – ხმელთაშუა ზღვის რასა, მედიტერანული რასა, ანუ მედიტერანული მოდგმა. იმ მოდგმის აღსანიშნავად, რომელიც იდენტურია ტერმინისა კავკასიური რასა, არის აგრეთვე ტერმინები: პალეოკავკასიური რასა, ანუ უძველესი კავკასიური რასა, უძველესი მედიტერანული რასა, რაც ურთიერთის იდენტურია. საუბარია იმ მოსახლეობაზე, იმ მოდგმაზე, რომელიც სახლობდა პირინეის ნახევარკუნძულიდან ხმელთაშუა ზღვის აუზში, ბალკანებზე...

როგორც ხედავთ, ეს არის სხვადასხვა განსტოებები ერთი და იმავე მოდგმის, რომელსაც მეცნიერებაში ქართველური ან პროტობერული მოდგმა ეწოდება, ხოლო საკუთრივ საქართველო, საკუთრივ ქართველი ერი, ლოკალიზებული კავკასიის მასშტაბით, დაკავშირებულია იბერიულ-კავკასიური განსტოებასთან. იბერიულს აქვს მრავალი განსტოება და დღესდღეობით შემორჩენილია პირინეულ-იბერიული, ანუ ბასკური და კავკასიურ-იბერიული, ანუ ქართული და მისი მონათესავე ტომები (ნრდელიური კავკასიაში. დანარჩენი კი ამჟამად ასომილირებულია ინდოევროპული კაცობრიობის მიერ, რომელიც, როგორც ჩანს, არის გვიან მოსული ევროპის კონტინენტზე...“

ცნობილია რომ სომხური ენა ინდოევროპულ ენათა ოჯახს განეკუთვნება, ეს ფაქტი, როგორც აკადემიკოსი კ. შელია ამბობს, ურდევარი ნივთმტკიცება მათი (სომხების) ინდოევროპულობის. უდიდესი ქართველი ენათმეცნიერი თამაზ გამყრელიძე წერს: თუ რა მოსახლეობა დახვდათ კოლხეთში არგონავტებს და რა ენაზე მეტყველებდნენ აიას ქვეყანაში, სადაც გავრცელებული იყო ოქროს საწმისის კულტი, ამის დადგენა შეიძლება ბერძნულ ტექსტებში შემონახული ერთი სიტყვიდანაც კი. ცხვირის კულტი ჩვენში დღემდე შემორჩენილი, ხოლო ბერძნულ ტექსტებში შემონახული სიტყვა გახლავთ ოქროს საწმისის ბერძნული სახელწოდება კოვო/კოვა.

ქართული სიტყვის ტყავის მეგრულ-ლაზური ვარიანტი უნდა ყოფილიყო


ტოვ/ტოვ ფორმა (თანამედროვე მეგრული „ტყვი“, ლაზური – „ტყვი“). ბერძნებმა ეს სიტყვა გამოიყენეს სიტყვა „ტყავის“ მნიშვნელობით იმ სპეციფიკური „ცხვირის ტყავის“ აღსანიშნავად, რომელსაც განსაკუთრებული საკულტო მნიშვნელობა ჰქონდა. საგარაუდოა, რომ ოქროს საწმისის და, საერთოდ, ტყავის აღსანიშნავად ბერძნები საკუთარი „დერმას“ გვერდით იყენებდნენ კოვს. ეს სიტყვა უთუოდ შეითვისეს იმ ქვეყანაში, სადაც გავრცელებული იყო ცხვირის ტყავის კულტი. ეს კი ნიშნავს, რომ ბერძნების მოსვლის ეპოქაში დასავლეთ საქართველოში გავრცელებული იყო დიალექტი – მეგრულ-ლაზურის წინაპარი, რომელზედაც ტყავი აღინიშნებოდა ტოვ-ტოვ ფორმით. მაშასადამე, მეღვა და აიეტი, აიას ქვეყნის ხალხი მეტყველებდა მეგრულ-ლაზურის წინაპარ, კოლხურ ენაზე, სახელი, კოლხური, მართებულად უწოდა ამ წინაპარ ენას აკაკი შანიძემ. საბედნიეროდ, დღესაც ცოცხალია ის უძველესი სიტყვები ქართველურ ენათა ოჯახში შემავალ ზანურ (მეგრულ-ლაზურ) ენაში, რაც პირდაპირ აჩვენებს მროველს სიყალბეში, ვინაიდან მაშინ, როდესაც ანტიკური ხანის ავტორები წერენ ოქროს საწმისზე, არამტკიცებენ სომხური ენა, არამედ არმინი (სომეხი) ერი ჩანახახის მდგომარეობაშიც კი არ იყო, ასევე იმ პერიოდის კავკასიაში არ იხსენიება სომეხი ერი, კავკასია კი უძველესი ცნობებით ქართველური მოდგმის ტომებით არის დასახლებული. აკად. დ. მუსხელიშვილი სრულად უცილობლად მიიხვევს ქართველთა წინაპრების ავტოქტონობას კავკასიაში. მისი აზრით, ქართველ ტომებზე საუბარი რეალურად ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრიდან, შუა ბრინჯაოს ხანიდანაა შესაძლებელი. მომდევნო ხანაში არქეოლოგიური ფაქტებით კიდევ უფრო საბუთიანად მტკიცდება, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე ძირითადად აღმოსავლურ-ქართული ტომები ბინადრობდნენ, საქართველოს დასავლეთი ნაწილი კი დასავლურ-ქართულ მოსახლეობას ეკავა [დ. მუსხელიშვილი, ქართველთა ეთნოგენეზის პრობლემა, თბილისი 2002, გვ. 57].

„მროველის ანისტორია“ – ასე ვუწოდებ ამ სტატიას, ანისტორია ბერძნული სიტყვაა და ქართულად ისტორიის არცოდნას ნიშნავს. ტერმინი ანისტორესია ქართული ისტორიოგრაფიაში ისტორიკოსმა ჯუნი კაკულიამ დაამკვიდრა.

ამრიგად, ზემოთ მოცემული ცნობებიდან გამომდინარე, ასევე უამრავი ისტორიული ცნობებით, არქეოლოგიური აღმოჩენებით ლევონტი მროველის ეს ცნობა შეიძლება ბათილად ვცნობ და უსარგებლოდ ქართულ ისტორიოგრაფიაში.

თუმცა, საინტერესოა, ასე უცებ საიდან გაჩნდა ქართული ენა, თუ ქართველები სომხურად ვლადარებდნენ, თუმცა ამ და სხვა მრავალ კითხვას მე მროველის მიმდევარმა ისტორიკოსებმა იმტვირთონ თავი, ჩემის მხრივ დავამატებ რომ მომავალი თაობები ნამდვილად იმსახურებენ გაიზარდონ ობიექტურ და ჭეშმარიტ ისტორიაზე, რამეთუ გაეძლიერებული ისტორიის შედეგებს ჩვენმა ერი უკვე წლებია მრავალგზის იძიებს.

რინოსი კვარაცხელია – 80



ჩვენი უღალატო მეგობარი და თანამებრძოლი რინოსი 80 წლისა გახდებოდა. სხვებისაგან ყველაფრით გამორჩეული ადამიანი გახლდათ – ორიგინალური, სპეციალური სულის, წრფელი, ვაჟკაცური, მეტად

მკაცრი და მომთხონი უპირველესად საკუთარი თავის მიმართ, ჭირთათქმისა და განსაცდელისადაც უდრეკი, უბედურ ბედს შეურიგებელი...

სიცოცხლის მიმწუხრს კი იმითაც გამოირჩა, რომ საკუთარი 80 წლის იუბილეზე რამდენიმე დღით ადრე ამალდა იმქვეყნიურ საქართველოში და ტრავიკულად დაღუპული პირმშობის სულს შეუერთა თავისი ნატანჯი სული! მოუთმენლად ველოდით მისი მეგობრები პოეტის 80 წლის ასაკის აღნიშვნას, გულსიტკივილი კი შეგვაგება ნაცვლად დიდი სიხარულითა...

ეს გახლდათ ერთადერთი დალატი, რაც მან მეგობრებისა და ახლობლების წინაშე ჩაიდინა... მიუხედავად თავდატეხილი, ენით აუწერელი უბედურებისა, რინოსის წიგნის რედაქტორის თამაზ ფიფიახი არ იყო: „მისი გამჭრიახი მზერა უწინარესად მიჰპრობილი იყო მამულის პრობლემებისა და აუცილებლად მოსაგარებელი მოვლენებისადმი...“

გვიტორს რინოს კვარაცხელიაზე წარსულ დროში საუბარი, მაგრამ ეს ცხოვრების მკაცრი რეგლამენტია და მას ვერავინ გავექცევით. მოწოლილ სევდას კი იმით გავეუქვალავდებით, რომ მონატრებული პოეტის ლექსებით დავიბობთ ცხოვრების ამოებისაგან გათოშილ სულს!

კლავენ ღმერთკაცებს

ილია მოკლეს ასი წლის წინათ, ზვიადიც მოკლა ბილწმა დროებამ, მოკლეს შარაძე და მწარედ გმინავს, – ენა, მამულა, სარწმუნოება... დრო სატანურს სწირავს ღმერთკაცებს და უკუღმართი მიდის დინებით; იქნებ ჯალათნი თავს იწონებენ ყველაზე დიდი ნანადირევით... თუმცაღა დაფნის გვირგვინის ნაცვლად მამულიშვილთა არგუნეს ძეგლი, – მწამს იქცვიან ჯალათნი ნაცრად როს დაედგება ღმერთკაცებს ძეგლი...

ბაბახეშული მოცილია

ჯაყომ ხიზნიპი

დალატი ქვეყნის სამანაბლო ოჯესთად იქცა, გაბახეშული მოცილია ჯაყომ ხიზნიპი, რამდენი მტერი გამოზარდა ქართულმა მიწამ, რამდენი ახლაც ვერავალი დაძვინს მიზნებით... სატანის ხელში ყველაფერი თავდაღმა დადგა, – ყველა ნეტარებს ჩვენს მიწაზე, – ქართველის გარდა.

შიღრა

იმდენი მხსნელი რომ ჰყავდეს მამულს, რამდენსაც მოაქვს თავი ასეთად, – არ ვიხილავდით ძვალდებით გახრულს, ამგვარად ფეხქვეშ ვერავინ გახრულს, ვიდრე მრავალი ავ ზრახვებს ნიღბავს, ვიდრე ორგული ერთგულს სჭარბობს, – ვერ ავიცილებთ ამნაირ იღბალს, ვერ გავცილდებით შმორიან ჭაობს.

სიცოცხლეშივე უკვდავებად და ლეგენდად ქცეულნი

ბაზემ „ილორის“ მთავარ რედაქტორს ბატონ რიკლანდ ჯალაღანიას

წავიკითხე რა თქვენი გაზეთის 255-ე-257-ე ნომერებში დაბეჭდილი ბატონ გ. კორკელიას წერილი „ცოტა რამ კოლხეთსა და კოლხურ დამწერლობაზე“, ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, არა მხოლოდ იმის გამო, რომ ავტორს ეს წერილი „წმინდა მეცნიერული სახისა“ ჰგონია, არამედ იმის გამოც, რომ მას მსოფლიო მასშტაბის ენათმეცნიერთან ბატონ მამანტი ძაძამიასთან შერევილი ვადაუწყვეტია და საკუთარი გაუგებარი მოსაზრებების საფუძველზე აცხადებს, რომ სხვადასხვა სფეროში აღმართული აქვს ხმადაკითხვის თეორია სწორი არ არის. მეტიც კიდევ: წერილის ავტორი, რატომღაც, ბატონ მამანტი ძაძამიასა და მისი თანაავტორების ნაშრომებიდან ამონარიდი ცალკეული ციტატების დამახინჯებულად და აშკარად ინტერპული ინტერპრეტაციით წარმოდგენით, ცდილობს ჩრდილი მიაყენოს ამ ნაშრომებს და მათ ავტორებს. ანალოგიური ხერხით ცდილობს იგი სხვა პირების, მათ შორის, – სერგი მაკალათიას, დემიტი მელიქიძის, ბიძინა ივანიშვილის განქიქებას, თუმცა გაუმძაბრია, საკითხთან დაგავშირებით რა კავშირი აქვს და რატომ მოუხმობს ამ უკანასკნელებს (ეს სხვადასხვა შორის).

ცხადია, წერილის მხინარსი და პათოსის სახესებით ნათლად წარმოაჩენს მისი ავტორის „მეცნიერულბასაც“ და ზოგადი განათლების დონესაც, რასაც ნებისმიერი მკითხველი თავად დაინახავდა და მას ჩვენ არ შეეხება. ამასთან, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ და არაფერი ვთქვათ, წერილის ავტორის მხრივ მის მიერ საკბილოდ ამოხმებული ცნობილი მეცნიერებისადმი და კერძოდ ბატონი მამანტი ძაძამიასადმი აშკარად უსაფუძვლოდ გამოკვლეული უდიერი დამოკიდებულებისათვის.

ჩანს, ბატონი გ. კორკელია ელემენტარულადაც კი არ იცნობს ბატონ მამანტი ძაძამიას და მისი თანაავტორების საენათმეცნიერო ნაშრომებს, მაგრამ რომც გასცნობოდა მათ, მისი კომპეტენტურობა ენის წარმოშობისა და საერთოდ ენის ფენომენის შესახებ საკითხების ცოდნის მიხედვით (რასაც მისივე წერილი მოწმობს), ძალიან საეჭვოა, ბევრი რამ გაეთვალიათთვის.

მან გადამაწვევინა, გ. კორკელიასადმი დახმარება, იმით, რომ პირადად ჩაერთვითყავი პოლემიკაში, და თავისებურად (არაპირდაპირ) ჩამერო მასში ბატონი მამანტი ძაძამიასა და მისი თანაავტორების რეცენზენტ-შემფასებლები. ამ მიზნით, გაზეთ „ილორში“ გამოქვეყნების თხოვნით, უცვლელად გიგზავნით ჩვენს წერილს „სიცოცხლეშივე უკვდავებად და ლეგენდად ქცეულნი“, რომელიც გასული წლის მკათათვეში გამოქვეყნებულ იყო ჩვენი გაზეთის „ნოჯიხურის“ სპეციალურ დანართში „სამცაცხე“, და რომელიც მიძღვნილი იყო ბატონი მამანტი ძაძამიას დაბადების 73 წლისთავისადმი.

ვინმე ამის გაცნობის შემდეგ მაინც მიხვდეს ბატონი გურამ კორკელია, მამანტი ძაძამიას შემთხვევაში თუ ვისთან და რასთან გადაუწყვეტია შებმა და თუ არ შერეცხვება, იქნებ დაფიქრდეს მაინც თავის მოქმედებაზე.

**ვალერი ძაძამია,**  
**გაზეთ „ნოჯიხურის“ რედაქტორი,**  
**მეცნიერებათა აკადემია „აია“-ს წევრი**

სიცოცხლეშივე უკვდავებად და ლეგენდად ქცეულნი

(ეძღვნება მამანტი ძაძამიას დაბადების 73-ე წელს)

მიმდინარე წლის 29 მაისს სასიქალოლო მამულიში, პროფესორსა და აკადემიკოსს მამანტი ძაძამიას დაბადების 73-ე წელი შეუსრულდა. ეს თარიღი მას, პირველდ, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ (თავმჯდომარე ალ. ჭაჭია) და მისმა გაზეთმა „ილორმა“ (რედაქტორი რ. ჯალაღანია) მიულოცეს.

29 მაისს, როგორც მეგრული ენის დღეს და მამანტი ძაძამიას დაბადების დღეს, სპეციალური დონისიხეა მიუძღვნა სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაციამ (ხელმძღვანელი ზ. კვარაცხელია). მასვე, გალის რაიონულმა გაზეთმა

„ჩა“ (რედ. ნ. სალაგია) მიუძღვნა სპეციალური ნომერი „სინთ“.

მეგრული ენის დღის დაწესება კი ასე მოხდა:

2012 წლის 12 დეკემბერს ზ. კვარაცხელიას ინიციატივით სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ოფისში მოეწყო მეგრული ენის პოეზიის საღამო. მას ესწრებოდნენ სამეგრელოსა და აფხაზეთის რაიონების პოეტები, მწერლები, ავტორ-მთქმელები, სხვა წარმომადგენლები.

საღამოზე გალის რაიონის წარმომადგენელმა ნ. შამუგამ წაითხა გაზეთ „გაღის“ რედაქტორის ნუგზარ სალაგიას მიმართვა დონისიხეების მონაწილეობისადმი და განაცხადი იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილი აქვს გალის რაიონში დააწესონ მეგრული ენის დღე – 5 ივნისს, ვინაიდან ამ დღიდან გამოდის მათი გაზეთი აფხაზურ, მეგრულ და რუსულ ენებზე.

ამ განაცხადს ზურაბ კვარაცხელიამ ასე უპასუხა: მეგრული ენის დღის შესახებ ჩვენც გვაქვს ნაფიქრი, მაგრამ ეს დღე უნდა დაწესდეს ჩვენში, საერთოდ, და არა მხოლოდ გალის რაიონში. ამასთან, მიგვაჩინა, რომ უპირადად მეგრული ენის დღედ დააწესდეს 29 მაისი, მამანტი ძაძამიას დაბადების დღე, ვინაიდან სწორედ მამანტი ძაძამიას მიუძღვის განსაკუთრებული ღვაწლი მეგრული ენის და საერთოდ ენის ფენომენის შესწავლის საქმეში.

ამ წინადადებას დარბაზში მყოფი 200-მდე ადამიანი ოვაციით შეხვდა.

და, აი, 2013 წლის 29 მაისს იმავე დარბაზში პირველად ჩატარდა მეგრული ენის დღის აღსანიშნავი საღმრთო-საფუძვლი დონისიხეა. მასში ამჯერადაც სამეგრელოსა და აფხაზეთის რაიონების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ეს დონისიხეა მეგრულენობისა და აფხაზეთის ტრადიციული მეგობრობის ნათელი გამოვლინება იყო: იგი მეგრულ-ქართული და აფხაზური სიმღერებითა და საცეკვეთობადაც აღინიშნა. დონისიხეაზე სიტყვებით გამოვიდნენ და საკუთარი, მათ შორის მამანტი ძაძამიასადმი მიძღვნილი, ლექსები წაითხეს: ნუგზარ შამუგამი, კოტე ნაჭყებია, გოგი შინია, გიორგი დარასელიამ, რინოს კვარაცხელიამ, თამაზ ფიფია, ზაღა ჯალაღანიამ.

მეგრულის ფენომენურობას და თავიანთი კვლევის შედეგებს შეეხნენ მამანტი ძაძამია და კუკურ ფიფია.

დონისიხეების მონაწილეობა ვრცლად ილანარაკეს მეგრული ენის შესახებაც და ბატონ მამანტი ძაძამიასა და მისი თანაავტორების ღვაწლზეც მეგრული ენის და საერთოდ ენის ფენომენის შესწავლის საქმეში. სიამოვნებით აღნიშნეს, რომ ამიერიდან მეგრული ენის დღე და მამანტი ძაძამიას დაბადების დღე ერთად აღინიშნება.

პოეტმა რინოს კვარაცხელიამ თავის ვრცელ გამოხსენებაში დეტალურად ილაპარაკა მამანტი და ცირა ძაძამიების ცალკეულ ნაშრომებზე, მათ შორის, შეიძლება „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმოვალობა“ მან შეაფასა როგორც შეიღმაგი საოცრება; შეეხო იმას, თუ როგორ ესმიანებოდა ხოლმე ამ უნიჭიერესი ადამიანების ყოველი ახალი ნაშრომის გამოსვლა; წაითხა საკუთარი ლექსები, მიძღვნილი მამანტი ძაძამიასა და ცირა ძაძამიასადმი.

ამჯერად, ჩვენს გაზეთს აქვს პატივი, მიულოცოს დაბადების დღე ბატონ მამანტი ძაძამიას, და მასთან ერთად, მისი ოჯახის ყველა წევრს, – როგორც ბატონ მამანტის ღირსეულ თანაავტორებს, რომელთა ერთობლივი შრომაც სწორუპოვარი ენათმეცნიერული ნაშრომების შექმნაში გამოიხატა. ესენი ის ადამიანები არიან, ვინც სიცოცხლეშივე იქცნენ უკვდავებად და ლეგენდად.

ამის დასტურია შემდეგი რეალობანი: მამანტი ძაძამია ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა ნიჭიერებით. მას, ჯერ კიდევ V კლასის მოსწავლეს, გაცნობის დღესვე, დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა კლასის ხელმძღვანელმა მასწავლებელმა შოთა ხარჭიამ. მალე, მანვე, „ოქროს კაცი“ შეარქვა მას ზემდუგუსახელად.

მამანტი ძაძამიამ წარჩინებით დაამთავრა წაღწევის საშუალო სკოლა, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სუბტროპიკული ფაკულტეტი და საქართველოს ეკონომიკის და ეკონომიკის მართვის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურა.

წლების განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობრივ სამუშაოზე. ყველაზე გამორჩეოდა პატიოსნებით, კეთილსინდისიერებით, ნიჭიერებითა და ორგანიზატორული უნარით. ეროვნული მოძრაობის დროს ერთ-ერთი პირველთაგანი დადგა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა რიგებში და აქტიურადაც იღვაწა.

მამანტი ძაძამია სხვადასხვა დროს დაინტერესებული იყო მეცნიერების სხვადასხვა დარგით. გააჩნდა მაღალი რანგის სპეციალისტების მიერ რეცენზირებული და მოწონებული ნაშრომები ავროპიშიაში, ისტორია-ენოლოგიაში, სოფლის მეურნეობის ეკონომიკასა და ენათმეცნიერებაში, მაგრამ საბოლოოდ ყველაზე მეტად ამ უკანასკნელმა გაიტაცა და გასაოცარ შედეგებსაც მიაღწია, მისივე თანაავტორ ქალიშვილ ცირა ძაძამიასთან ერთად.

მამანტი ძაძამია პირველი ენათმეცნიერული ნაშრომი, „მეგრული დიალექტი“ (I-II, 1991) სპეციალისტებმა ასე შეაფასეს: „ახალი კოლორიტული სიტყვა ენათმეცნიერებაში“ (ირ. ასათიანი, ენათმეცნიერებაში“ (ნ. ლეონიჯავა, პროფესორი), „მნიშვნელოვანი გამოკვლევები“ (ჟ. სორდია, დოცენტი).

საყოველთაოდ ცნობილია თუ რაოდენ დიდ წარმატებას მიაღწია კაცობრიობამ მეცნიერების დარგებში. მაგრამ მრავალსაუკუნოვანი ცდის მიუხედავად, ადამიანმა ვერ შეძლო ამოეხსნა ისეთი დიდმნიშვნელოვანი პრობლემა, როგორც არის ენის წარმოშობის საკითხი. ბოლოს მსოფლიო ენათმეცნიერებამ ამ საკითხის შესწავლა საერთოდ შეუძლებლად მიიჩნია. ასეთი შეხედულება აქ თითქმის ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში იყო გავრცელებული.

ასეთ ვითარებაში, მამა და შვილმა თანავე ერთობაშია მამანტი ძაძამიამ და ცირა ძაძამიამ, ერთ-ერთი ქართველური ენის – მეგრული ენის ყოველმხრივ ღრმადმეცნიერულად შესწავლის შედეგად, პირველად ენათმეცნიერების ისტორიაში, ამოხსნეს ენის (მოცემული ენის, ზოგადად ანუ საერთოდ ენის და სხვადასხვა ენის) წარმოშობის ჰუმანიტური საფუძვლები 1997 წელს გამოცემული ნაშრომით „ენის წარმოშობის საიდუმლოება“.

ახალი, დამატებითი არგუმენტებით, სრულად წარმოაჩინეს ენის წარმოშობისა და განვითარების საფუძვლები, მათ, მორიგი ნაშრომებით: „სიტყვათწარმოვალობა – ენის წარმოშობის საფუძველი“ (ზუგდიდი, 2003), „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმოვალობა“ (შვიდრტმეული, თბილისი, 2007).

3200-მდე ერთობლივი ნაშრომი, მათ შორის II დიდი მონოგრაფია მიუძღვნეს ამ გასაოცარი ნიჭის ადამიანებს ენის წარმოშობისა და განვითარების ენის ფენომენის შესწავლას, რაც უპრეცედენტო მოვლენაა. მათ შორის, გამოცემას ელოდება ნაშრომები: ერთობლივები: „ენის წარმოშობის საფუძველი“ (6 ენაზე გამოცემად, კომპიუტერული ვერსია, 2008), „მეგრული ენა (ლექსიკოლოგია, ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, სიტყვათწარმოვალობა)“ (უმადღესი სასწავლებლების სტუდენტებისა და ლექტორ-მასწავლებლებისათვის, კომპ. ვერსია, 2009), „საინტერესო მონაცემები ცალკეულ საენათმეცნიერო და ზოგადსამეცნიერო საკითხებზე ზოგადსაკაცობრიო პრობლემათა ჭრილში (ფაქტები, პოპოლუბი, დასკვნები) (სამტრეული, კომპ. ვერსია, 2011), „მეგრული ენა – ენის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის ცოცხალი და გარდაცლილი“ (ოცტომეული, კომპ. ვერსია, 2012) და მეგრული ენის ლექსიკონი (მრავალთარგმანი, დაახ. მრავალთარგმანი, მაგრამ, ამ უკანასკნელზე ბოლო).

200-ზე მეტი რეცენზია-შეფასება აქვთ მიღებული, ავტორებს, მათს უკვე გამოქვეყნებულ ნაშრომებზე.

ამასთან, მიღებული აქვთ გამოხმაურებანი უცხოეთის მრავალი ქვეყნიდან, მათ შორის: ესპანეთიდან, საფრანგეთიდან, აშშ-დან, შვეიცარიიდან, ინგლისიდან (ლონდონის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტიდან), გერმანიიდან, ავსტრიიდან, ნორვეგიიდან, თურქეთიდან, რფრ-დან (რფრ-ის აკადემიის მოსკოვის ენათმეცნიერების ინსტიტუტიდან), კანადიდან (მონრეალის უნივერსიტეტიდან), ლიტივიიდან... 6 მათგანიდან შინ სტუმრობდნენ ავტორებს და

სათანადო მოწვევაც აქვთ მიღებული.

უნიკალური ენათმეცნიერული ნაშრომებისათვის მამანტი ძაძამია, რომელიც ძირითადი სპეციალიზებით ავრონომი და ეკონომისტი (სადისერტაციო ნაშრომი გააჩნია ეკონომიკაში), ენათმეცნიერებაში კი თვითნასწავლი უბერო მკვლევარია, არჩეულია 8 მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად, მათ შორის, ერთ-ერთი მათგანის – საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აია“-ს პრეზიდენტად, კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაციის პრეზიდენტად და 5 უნივერსიტეტის საპატიო პროფესორად.

ცირა ძაძამია, რომელიც ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორია, არჩეულია 5 მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად და 3 უნივერსიტეტის პროფესორად. ამასთან, არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აია“-ს ვიცე-პრეზიდენტი (აკად. კლ. შელიასთან ერთად), ამავე აკადემიის ინტერნეტ-ჟურნალის „მარტოსოლი“ მთავარი რედაქტორი.

ამას წინათ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აია“-ს ნამდვილ წევრებად, აკადემიკოსებად არჩეული ქნენ მამანტი ძაძამიას ოჯახის სხვა წევრებიც: ელეონორა მებონია-ძაძამია, ორინი ძაძამია, ია ძაძამია, ბესარონი ძაძამია და ორაკლი ხაჭაპურიძე, რომლებიც მამანტი და ცირა ძაძამიებთან ერთად თანაავტორები არიან ოცტომეული „მეგრული ენა – ენის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის ცოცხალი მტანი“ და ერთობლივადვე მუშაობენ მეგრული ენის ლექსიკონის მრავალთარგმანი (კომპიუტერული ლექსიკონის სახით) შექმნაზე.

ეს უკანასკნელი ნაშრომები, ცხადია, მკითხველთა კუთვნილება ჯერაც არ არის, ამიტომაც, მათი კონკრეტული შეფასება სპეციალისტებისა და სხვათა მხრივ, მომავლის საქმეა.

რაც შეეხება მამანტი და ცირა ძაძამიების აქამდე გამოქვეყნებული ნაშრომების შეფასებას, მასზე ნათელ წარმოდგენას იძლევა მცირედი მოკლე ამონარიდებიც კი რეცენზენტ-შემფასებელთა გამონათქვამებიდან თუ ცალკეული რეცენზიების დასათაურებებიდან. აი, ისინიც:

„საკაცობრიო მნიშვნელობის ნაშრომი“, „გადატრიალდა ენათმეცნიერებაში“, „მსოფლიო მნიშვნელობის ნაშრომი“, „უნიკალური ნაშრომი“, „უდიდესი ქართული მოვლენა“, „უბერო ნაშრომი“, „წიგნი გიგანტი“, „გენიალური ნაშრომი“, „სამაგიდო წიგნი“, „ტიტანური ნაშრომი“, „წმინდა ქართული საქმე“, „ნაშრომი, რომელიც ნებისმიერ სამეცნიერო დაწესებულებას დაამშვენებდა“, „ფანტაზტიკური და საკვირველიც“, „ზეტიტანური ნაშრომი“, „წიგნი, რომელზედაც დისერტაციები დაიწერება, რომელზედაც თაობები აღიზრდებიან“...

ეს შეფასებები დარგის სპეციალისტებს, მეცნიერებათა დოქტორებს, პროფესორებსა და აკადემიკოსებს განეკუთვნება. თუმცა უმჯობესია აქვე წარმოვავლინოთ ფრაგმენტები რეცენზია-შეფასებათა ერთი ნაწილიდან მინც, თვით ავტორების დასახელებით. აი, ისიც:

**ამონაწერი რეცენზიიდან:**  
„ენის წარმოშობის საიდუმლოების“ ავტორებს დიდი, შრომატევადი სამუშაო გაუწევიათ და საინტერესო ნაშრომი შეუქმნიათ...“

ავტორთა მიერ მოპოვებულ უზარმაზარ მასალას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქართველური ენებით დაინტერესებულ პირთათვის, არამედ იმ მეცნიერთათვისაც, რომლებიც ზოგადი ენათმეცნიერების პრობლემებს იკვლევენ.“ (ლ. აბულაძე – ენათმეცნიერების ინსტიტუტის დოცენტი, 31/05-96).

ამონაწერი პირადი წერილიდან:  
„ენის წარმოშობის საიდუმლოებას“ წინ უძღოდა მამანტი ძაძამია „მეგრული დიალექტი“, ორ წიგნად, რომელიც მდიდარი ემპირიული მასალის ორიგინალურ გონება-მახილურ ანალიზს წარმოადგენს, და რითაც ქართველურ ენათა კვლევის ისტორიაში მეტად კოლორიტული ფურცელი ჩაიწერა. მას მოჰყვა (ამჯერად ცირა ძაძამიას თანაავტორებით) მეტად საინტერესო ნაშრომი „ენის წარმოშობის საიდუმლოება“.

**ვალერი ძაძამია**  
(გაგრძელება იქნება)

# დემოს ვუყვარვართ ქართველები

უნიკალური და ფასდაუდებელი საჩუქარი მიიღო ქართველმა მკითხველმა. გამოცემულობამ „სიტყვა“ გამოსცა მწერალ ვასო კუკუნაშვილის ისტორიული რომანი „ჯვარპატიოსანი“, რომელშიც ასახულია თურქ-სელჯუკთა მიერ პირისაგან მიწისა აღგვილი ქართველი ერის ფენიქსისებრ აღდგომის ისტორიული სინამდვილე.

მართალია, ბევრი დაიწერა, აქამდეც, დავით აღმაშენებლის უანგარო და თავდადებული მოღვაწეობის ამსახველი ცხოვრების შესახებ. მაგალითად, კონსტანტინე გამსახურდიას ტრილოგია „დავით აღმაშენებელი“ ქართული პროზის შედევრია, მაგრამ მემბრანულად დაწყებული, მისი ზეკაცობის თავყანისმცემელი ვერცერთი მოაზროვნე ჩამწვდარა ისე ღრმად იმ საიდუმლოებებში, თუ როგორ მოახერხა დევნიდარულმა მეფემ საქართველოს – დავით აღმაშენებელმა, ფაქტიურად, მეკვდარი საქართველოს გაცოცხლება და ფეხზე წამოყენება, როგორც ეს „ჯვარპატიოსანის“ ავტორმა შეძლო.

ის უნაკლოდ ჩაწვდა გიორგი ჭყონდიდელის იმ ღვთაებრ სიბრძნეს, რომელსაც უნდა ეშვა ღვთიური სულისა და ძალის მატარებელი უძლეველი მეფე და ქრისტიანული მოძღვრების

საფუძველზე შეიმუშავა დიდი სამოქალაქო ზნეობრივი კანონი, რომლის სიდიადის შეგნებითა და შესისხლხორცებით შეძლო, უეჭველად, დიდმა დავით აღმაშენებელმა სასწაულების მოხდენა.

ბატონი ვასო თვითონაც რომ არ ყოფილიყო ისეთივე სულიერ-ზნეობრივი სიწმინდისა და სიბრძნის მატარებელი, რა სიწმინდითა და სიბრძნით შეძლეს საქართველოს ზვარაკად შეწირულმა მამულიშვილებმა მისი გაცოცხლება და აღზევება, ასეთი შედეგების შექმნას ის ვერ შეძლებდა.

„ჯვარპატიოსანის“ ავტორმა ამდღებელი სულიერებითა და სიბრძნით ქართველ ერს და, საერთოდ, საქართველოს მრავალწლოვან მოსახლეობას ჩამოგვიყალიბა ქვეყნის გადარჩენისა და აღზევებისათვის აუცილებელი და შესაშური პროგრამა.

მებრძოლი სულის ნებისმიერი ადამიანი დაგვეთანხმება, რომ მონისთანა საზიზღრობა არ არსებობს დედამიწაზე. ამ წიგნში წარმოდგენილია ადამიანის ღირსების აღდგენის, ოჯახური და ეროვნული სიწმინდისა და ქვეყნის ძლიერების განმტკიცების უნიკალური მეთოდი. ე.ი. ვინც გაეცნობა ამ წიგნს, ადამიანურობის უმცირესი ნიშანწყალი თუ აქვს

შერჩენილი თავის არსში, წარმოუდგენელი გარდატეხა არ მოახდინოს მის სულიერ სამყაროში.

ალბათ, დემოს ვუყვარვართ ქართველები, რადგან ასე დროულად მოგვივლინა ბრძენი პატრონი, მაგრამ ეს არ არის საკმარისი ჩვენი გადარჩენისათვის. აუცილებელია, ბატონი ვასოს ქადაგება ცხოვრების წესად გავიხადოთ საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ. და კიდევ, თუ გვყავს ქვეყნის პატრიოტი რეჟისორები, თურქული სერიალებით რომ ანაგვიანებენ ქართველი ერის ცნობიერებას კი არა, უნდა შექმნან სერიალები ამ უნიკალური შედეგის საფუძველზე, რომელიც უეჭველად გააჯანსაღებდა იდეოლოგიური აგრესორებისაგან ხელოვნურად და სპეციალურად დააეფუძეულ ეროვნულ სულს.

**კუპჭერი შიშია,  
„ვახისისა“ და „აიას“ საერო-სამეცნიერო აკადემიების აკადემიკოსი, კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი**

## თანხა დევს იმ, პატრიარქისთვის მებრული ოდა უნდა აშენებულყო – როგორ იმართლებს თავს როლანდ ახალაია

საპატრიარქო განმუხურში პატრიარქისთვის მებრული ოდის მშენებლობის შესახებ ინფორმაციაზე კომენტარი საკითხის გაცნობის შემდეგ გააკეთა.

გამოძიების ინფორმაციით, როლანდ ახალაიამ, მოქალაქე მარინა ესებუას, მის მეუღლესთან, მსჯავრდებულ კახაბერ ლატარიასთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების სანაცვლოდ დიდი თანხა გამოისდადა.

საპატრიარქო განაცხადა, რომ, მართალია იყო საუბარი სამეგრელოში პატრიარქისთვის ოდის აშენებაზე, მაგრამ ამაზე წინ საქმე არ წახლდა და მშენებლობაც არ დაწყებულა. ასე რომ, ეტყვიან მართლაც მაგრად უჭირს როლანდ ახალაიას, განსაკუთრებით მორალურ პლანში, რადგან მართლმსაჯულების კლანჭებისაგან თავის დასახსნელად პატრიარქს ამოეფარა და თავისი შავნული საქმის თანამონაწილედაც კი დაასახელა.

საპარლამენტო უმცირესობის წევრი როლანდ ახალაია მისთვის ბრალის წაყენების მცდელობას პროოკაციად აფასებს და აცხადებს, რომ არანაირ დანაშაულს ადგილი არ ჰქონია.

“ეს არის ზუგდიდის საგამოძიებო სამსახურის უფროსის მიერ მოწოდებული პროოკაცია, რომელიც არის ფარცხალაძის განუყრელი მეგობარი. სინამდვილეში არანაირ დანაშაულს ადგილი არ ჰქონია. ეს თანხა დევს იქ – საპატრიარქოსთვის განკუთვნილი. განმუხურში უნდა გაშენებულიყო მებრული ოდა პატრიარქის დასახსნელად. მიწა მოენიშნეთ, ჩასულები ვიყავით, მაგრამ შემდეგ მიწის გამოყოფაც ვერ მოხერხდა, გარკვეული მიზეზების გამო. ამაზე თუ არის ბრალდება საუბარი, მე ჯერ არ მიიხსნება”, – განაცხადა როლანდ ახალაიამ ერთ-ერთ ტელევიზიულ კომენტარში. ამასობაში კი, მთავარმა პროკურატურამ დეპუტატ როლანდ ახალაიას მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებისა და ბრალდებისათვის თანხმობის მისაღებად პარლამენტს მიმართა და თანხმობაც მიიღო.

ამის შესახებ, რამდენიმე დღის წინ, ბრიფინგზე პროკურორმა ნათია მეზერიშვილმა განაცხადა. “საქართველოს მთავარმა პროკურატურამ 2014

წლის 14 მარტს, წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს პარლამენტის წევრის როლანდ ახალაიას მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებისა და ბრალდებისათვის თანხმობის მისაღებად. საქმე ეხება როლანდ ახალაიას სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორად მუშაობის პერიოდში, მის მიერ ჩადენილ სამსახურებრივ უფლებამოსილების გადამტეხვის ფაქტებს. კერძოდ, პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ 2009 წლის დეკემბერში, სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორი როლანდ ახალაია, რომელიც მოქმედებდა პირადი დანიტერესებით, რაც აშკარად სცილდებოდა მისი, როგორც საოლქო პროკურორის სამსახურებრივ უფლებამოსილების ფარგლებს, შეხვდა მოქალაქე მარინა ესებუას, რომელსაც მის მეუღლესთან, მსჯავრდებულ კახაბერ ლატარიასთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების სანაცვლოდ უკანონოდ მოსთხოვა, თითქოს-და ქველმოქმედების მიზნით, არარსებული “ანაკლიის განვითარების ფონდის” ანგარიშზე ჩაერიცხა 150 000 ლარი, რისთვისაც გადასცა საბანკო რეკვიზიტები, რომელიც რეალურად როლანდ ახალაიას ახლოებული ბიზნესმენის სეროჟა გვარამიას კუთვნილი კერძო კომპანია “სანის” საბანკო ანგარიშის რეკვიზიტებს წარმოადგენდა. მარინა ესებუა იძულებული იყო დათანხმებულიყო შემოთავაზებულ პირობას. მან მეორე დღეს, საპროცესო შეთანხმების სანაცვლოდ, 150 000 ლარი შეიტანა როლანდ ახალაიას მიერ მითითებულ შპს “სანის” საბანკო ანგარიშზე, რომელიც სრულად იქნა გახარჯული ხსენებული ფირმის კომერციული მიზნებისათვის. ანალოგიური ხერხით, 2009 წლის დეკემბერში როლანდ ახალაიამ, აღექან რეგულაციების, ზურაბ ხარცელისა და დავით კაჭკაჭიშვილის ბრალდების საქმეზე, ბრალდებულების ოჯახის წევრებს უკანონოდ მოსთხოვა, რომ საპროცესო შეთანხმების გაფორმების სანაცვლოდ 60 000 ლარი შეეტანათ კვლავ მისი ახლოებული ბიზნესმენის სეროჟა გვარამიას ფირმის შპს “სანის” ანგარიშზე. ბრალდებულებთან დაახლოებულმა პირმა აღნიშნული თანხა 2009 წლის 25 დეკემბერს ჩარიცხა, რომელიც

სრულად იქნა გახარჯული ხსენებული ფირმის კომერციული მიზნებისათვის. როლანდ ახალაიას მიერ ჩადენილი ქმედება კვალიფიცირდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით და მას ბრალდება ამ მუხლის შესაბამისად უნდა წარედგინოს”, – განაცხადა მეზერიშვილმა.

მისივე თქმით, საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ საქართველოს კანონი და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი არ ითვალისწინებს თანხმობის მიცემის საჭიროებას საქართველოს პარლამენტის წევრის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხდება პარლამენტის წევრის დაკავება ან დაპატიმრება.

“მოუხედავად ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, საქართველოს პარლამენტის წევრის ბრალდებისათვის აუცილებელია საქართველოს პარლამენტის თანხმობა, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 167-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, თუ საქართველოს პარლამენტმა თანხმობა არ მისცა საქართველოს პარლამენტის წევრის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემაზე. აქედან გამომდინარე, მთავარმა პროკურატურამ პროცესუალური ნორმების დაცვით წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს, პარლამენტის წევრის როლანდ ახალაიას მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებისა და ბრალდებისათვის თანხმობის მისაღებად. პროკურატურა დაელოდება საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებას და თანხმობის მიღების შემთხვევაში როლანდ ახალაიას მიმართ დაიწყებს სისხლის სამართლებრივ დევნას”, – განაცხადა პროკურორმა.

ასე რომ, სისხლის სამართლებრივი დევნა უკვე დაწყებულია და, როგორც ჩანს, როლანდ ახალაია თავისი ბოროტმოქმედი შეილებების ბედს გაიზიარებს.

გზაც იქით ჰქონია!  
ს.ა.ბ. 06ზ.

### პოეზიის კუთხე

სათრეველა ღვთის კაცებით განას შეწირულის მოწინააღმდეგეებზე

#### მიზანდარის მიზანს – დარი!

მეზანს თავისი აქვს „საყდრისი“ ლიბოდ, საყდრენად და ხელებს ისვრის თავზე ოქროს გადასაყრელად. რადგანაც დღემდე ისევ რჩება ჩვენი კულტურა, ხან პატიოსან სახედარს და ხანაც ღრუჭუნას. მესაკუთრეს კი, ოღონდ ოქრო ჰქონდეს მაძღრისად, დარი არა აქვს „საყდრისი“ და მისი განძისა. ამის შემყურე ბევრი ლეკობა, ბევრი მძაღდება, რა ჟამს სკამისთვის და ფულისთვის დრო გააძღვება. საბედნიეროდ განძის მცველად დგას მიზანდარი, დემეტო, მაღალო მუდამ ახლდეს მის მიზანს დარი! ალექსანდრე შენბელია

#### წილი ნაყარია...

მგონი სიზმარია, თუ კოშმარი ღამის? იქნებ მეზვენება, იქნებ ასეც არის? ირგვლივ მოჯარულა მოდგმა შავი ქამის! მესმის შორი კენესა გაბზარული ზარის... პა, ყორანი მოერადი და პაჭუნი თვალის... თავხედური მზერით ყურში ჩამყარნატლებს: “სხვა გზა შენ არა გაქვს, წილი ნაყარია, რისი იმედიც გაქვს ის ბრმად დატანტლებს?” მესმის სამრეკლოდან კვლავ გოდება ზარის, შორით მოტანილი დასიცხული ქარის... სადღა არის მზალო, გაქრა ოფელიაც... ის რაც დღეს ბობოქრობს ქამის სოფელია! შეეცქერ გათანგული ნიშნებს ამა სოფლის, დემეტო, დაიფარე, სული შენში მეფოფს...  
თენგიზ კუბლაშვილი

#### რა მძნა უფალო?!

ბერო, დასტოვე ლოგინი ჯვალო, ცისკარს ედება ცეცხლი ენებად; კვლავ გამინათე დამე უფალო, ვითარც დიდებას შენსას ენება. მზეს შეგნატროდი წუხელ საღამოს, რულუნით მწირი, რომ ვარ ეული; უამთა ტრიალი დაუსაბამოდ, არსი ყოფილა დოგმად ქცეული. როგორ იქნება აღარ მანსოვდეს, ალალი ცრემლი რაც მე მდენია, მაგრამ არ მტოვებს აღარასოფელს; იმედო, მუზა, ცეცხლი გენია. მზად ვარ მამ ცეცხლმა ეს გული დამწვას, რომ არ გავლიო არმად ეგ დრონი; რა ექნა უფალო, არა და არ მწამს, „შა დეა“, „ნოელ“ და „არმაგულონი“.  
გურამ ჯიქია, ჩხოროწყუ, სოფ ლეხიჭინე

# მილოცვა

ვულოცავთ, სრულიად საქართველოს ერის მამულიშვილების, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას და მისი ქრისტესმთავარი ძმის მერაბ კოსტავას დაბადებიდან 75-ე წლისთავს. ამ ორი ძმის მოწამეობრივმა ცხოვრებამ შეძლო

გამოედვიძებინა, დასაბამიდან თითოეულ ქართველში ჩაბუდებული თავისუფლების იდეა და ერთმაც აიტაცა დიდი ილიას მოწოდება: “მამული ენა სარწმუნოება”. საბედნიეროდ, დღესაც მრავლად არიან ამ მრწამსის მატარებელი ქართველები და: – “კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკები მგლისანი”. დემეტო და ლოცვის სრულიად საქართველო! ამა წლის 31 მარტს, ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, ქ. აბაშაში ჩატარდება საზეიმო ღონისძიება. საზოგადოება “აბაშელი”

### ჯალალონია-ჯალალანიების ბვარის დალოცვა

2014 წლის 25 მაისს საქართველოს პატრიარქოს პატრიარქი ილია II დალოცავს ჯალალონია-ჯალალანიების გვარს. ამისთვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივად დაწერა (დახატვა), რისთვისაც “ლიბერთი ბანკში” გახსნილია ანგარიში. შფო 220101480 ანბ. №GE44LB0711101664171640 (როლანდ ჯალალანიას სახელზე). მნიშვნელოვანია, ყველა ჯალალონია-ჯალალანიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოთ ნებისმიერი თანხა. დეტალების დასახსნელად შეგიძლიათ დარეკოთ ნომერზე: 599-57-33-22, 597-34-43-70 – როლანდ ჯალალანიას).

# კლიმენტი შელია ბარდაიცვალა



სანგრძლივი და მძიმე შრომით გაცემილი გული გაუწერდა დიდ მეცნიერს. იმ ზეციურ საქართველოში გადაინაცვლა, რომლისადმი უანგარო მსახურებას მონაღობა მონაღობა მთელი თავისი სიცოცხლე.

ცნობილი ქართველი მეცნიერი, ისტორიკოსი, პოლიტოლოგი, გეოპოლიტოლოგი კლიმენტი ივანეს ძე შელია დაიბადა 1923 წლის 7 იანვარს, წაღვანის რაიონის სოფელ ხაინოში. დაამთავრა წაღვანის პედაგოგიური სასწავლებელი - 5 პროცენტის ფარგლებში და უკამოცდოდ ჩაირიცხა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1947 წელს.

ინსტიტუტის დამთავრებისთანავე დაინიშნა საქართველოს კომპარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელად. მალე, აფხაზეთის საოკუპაციო კომიტეტის ბიუროს დადგენილებით მივლინებულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში, სადაც სწავლის დროს მუშაობდა სასწავლო კაბინეტის გამგედ, ასისტენტად, 1952 წლიდან კი - ლექტორად.

1953 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1970 წლიდან კი იყო ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი.

1953-1959 წლებში მუშაობდა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, 1960 წლიდან - ი. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, შეთავაზებით მუშაობდა შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, ასევე, შეთავაზებით მუშაობდა თბილისის, 1977 წლიდან კი სოხუმის (თბილისში მდებარე) სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისტორიისა და პოლიტოლოგიის კათედრებზე.

1982-1991 წლებში კლიმენტი შელია იყო თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პარტისტორიის და მეცნიერული კომისიის კათედრის გამგე, კითხულობდა ლექციებს თბილისის უნივერსიტეტში, აგრეთვე მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტში, ასევე - ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა მუშაკების გადამსწავლებელ კურსებზე.

კ. შელია ლექციებს კითხულობდა ისეთ საკითხებზე, როგორცაა საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური, აგრეთვე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორია, მსოფლიო სოციალისტური სისტემა და მსოფლიოში მიმდინარე რევოლუციური პროცესები.

1984 წლის იანვარში კ. შელია მიწვეულ

იქნა ქალაქ პრედაში, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ჟურნალ "პრობლემა მირა ი სოციალიზმა"-ს რედაქციაში, სადაც სთხოვეს წავეთხა ოთხი ლექცია, მის მიერ ბოლო პერიოდში გამოცემული ოთხი წიგნის მიხედვით.

პროფესორი კლიმენტი შელია 1975-1990 წლებში მუშაობდა საქართველოს განათლების სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის რესპუბლიკური დარგობრივი საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარედ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის ხაზით. ამავე პერიოდში იყო თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახსელგებთან არსებული სახალხო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს ალკა ცენტრალურ კომიტეტთან არსებული კომკავშირულ-პოლიტიკური განათლების სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე, რესპუბლიკური სპორტული საზოგადოება "ბურვესტნიკის" საბჭოსა და პრეზიდიუმის წევრი. იგი იყო ისტორია-პოლიტოლოგიის, ახალგაზრდობის პრობლემებისადმი მიძღვნილი არაერთი საკავშირო კონფერენციის, სიმპოზიუმის, შეკრების და სემინარის მონაწილე, საზოგადოება "ცოდნის" ისტორიის სექციის წევრი და ქალაქ თბილისის ყოფილი კალინინის რაიონის საზოგადოება "ცოდნის" გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე.

კ. შელია, 1971 წელს, ორი წიგნის ავტორობისათვის, დამტკიცებული იყო მაშინდელი საკავშირო სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილედ მოსკოვში.

აღსანიშნავია კლიმენტი შელიას აქტიური მონაწილეობა 1972 წელს ქალაქ კუბიშხევში გამართულ საკავშირო სემინარში, სადაც დიდი მოწონება დაიმსახურა მისმა მოხსენებამ ახალგაზრდობასთან მუშაობის საკითხებზე.

კ. შელია, სხვა გამოჩენილ მეცნიერებთან ერთად, თანაავტორია 1984 წელს გამოცემული "საქართველოს ისტორიისა", რომელიც საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ იქნა დამხმარე სახელმძღვანელოდ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის. წიგნის ავტორები დაჯილდოვდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრემიით.

ბატონი კლიმენტი შელია წლების განმავლობაში იყო საერთაშორისო პოლიტიკური მიმოხილველი. ასევე გახლდათ არაერთი ასპირანტისა და მეცნიერებათა კანდიდატის წოდების მაძიებლის ხელმძღვანელი. მისი ხელმძღვანელობითა და კონსულტაციებით მომზადდა და დაცული იქნა ორ ათეულზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია, იყო მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციის დაცვის ოფიციალური ოპონენტი, ჩვენს ქვეყანაში აღიარებული მრავალი ფუნდამენტური მონოგრაფიისა და ნაშრომის რედაქტორი. მისი სტატიები გამოქვეყნებულია ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის სხვადასხვა ტომში. ის საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში წლების განმავლობაში იყო სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე.

კლიმენტი შელია მონაწილეობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრის მიერ იდეოლოგიური აქტივის დასახმარებლად გამოცემულ "გულახდილი დიალოგის" I, II და IV წიგნების (1981, 1982, 1986 წლები) მომზადებაში, რომლებშიც გამოქვეყნებული აქვს ოცდაათზე მეტი სტატია.

კ. შელია აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში,

რამდენჯერმე იყო საკონკურსო ჟიურის წევრი და მისი თავმჯდომარე, ბატონი კლიმენტის სამეცნიერო ხელმძღვანელობით მომზადებული სტუდენტები სისტემატურად იმარჯვებდნენ და ეუფლებოდნენ მაღალ ჯილდოებს არა მხოლოდ რესპუბლიკურ, არამედ საკავშირო კონფერენციებშიც.

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებიდან თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტებმა ლალი მგალობლიშვილმა, რუსუდან ზარქუამ და დარეჯან აბზიანიძემ სამი წლის განმავლობაში ზედიზედ გაიმარჯვეს საკავშირო კონფერენციაზე (მოსკოვში), პირველი ადგილები დაიკავეს და შესაბამისი პრემიები დაიმსახურეს. ეს გახლდათ საქართველოს სტუდენტთა დიდი გამარჯვება. კლიმენტი შელია დაჯილდოვებულ იქნა საკავშირო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და განათლების სამინისტროს მიერ, საკავშირო კონკურსებში ზედიზედ სამჯერ მოპოვებული პირველი ადგილისათვის.

ასევე ბატონი კლიმენტი შელიას ხელმძღვანელობით მომზადებულმა სტუდენტმა კეატერინე არახამიამ, საქართველოდან ერთადერთმა, მიიღო უმაღლესი ჯილდო - გახდა კონკურსის ღაურვატი, სსრ კავშირის უმაღლესი სასწავლებლების ახალგაზრდა ლექტორ-სტუდენტთა მოსკოვში ჩატარებულ პირველ საკავშირო კონკურსში ლექციების ზეპირი წაკითხვისათვის. სამეცნიერო ხელმძღვანელი კლიმენტი შელია ამჯერადაც დაჯილდოვდა საკავშირო ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის განათლების სამინისტროს საპატიო სიგელით.

საქართველოს მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოებისა და განათლების სამინისტროს მიერ მოწოდებულ სამეცნიერო კონფერენციებსა და კონკურსში კ. შელიას მიერ მომზადებული სტუდენტები ყოველთვის იღებდნენ მხოლოდ პირველ და მეორე ადგილებს.

სსრკ კომპარტიისა და მეცნიერული კომისიის კათედრა, რომელსაც კლიმენტი შელია ხელმძღვანელობდა, ერთ-ერთი მოწინავე იყო. იქ ინერგებოდა ლექციებისა და სემინარების ჩატარების ახალი ფორმები და მეთოდები. კათედრა საინსტიტუტო შეჯიბრებებშიც სისტემატურად დებულობდა პირველ და მეორე ადგილებს.

ბატონი კლიმენტი შელია ორჯერ იყო მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის ლექტორთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტში, სადაც დაუმტკიცეს სადოქტორო დისერტაციის თემა, 1986 წლის ოქტომბერში მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის კომპარტიის XXVII ყრილობისადმი მიძღვნილ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების გამგეთა საკავშირო თათბირში, კრემლში, რომელსაც ხელმძღვანელობდა საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მიხეილ გორბაჩოვი. აღნიშნულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების გამგეთა საკავშირო თათბირისადმი მიძღვნილ საქართველოს რესპუბლიკურ სამეცნიერო-მეთოდურ კონფერენციას, რომელიც ჩატარდა 1986 წლის დეკემბერში, თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის სკკ ისტორიისა და მეცნიერული კომისიის ბაზაზე, ხელმძღვანელობდა კლიმენტი შელია.

სულმანთა კლიმენტი, მისთვის ჩვეული ენერგიითა და გულსყუროთ, ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის დიდი საქმისადმი მამულიშვილური განცდით ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ და სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობას. იგი, როგორც მაღალკვალიფი-

ციური სპეციალისტი, კითხულობდა ლექციებს საქართველოს ისტორიაში, პოლიტოლოგიაში, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიაში და გეოპოლიტიკაში.

ჩვენი თუ უცხოეთის ქვეყნების ბეჭდვით ორგანოებში სისტემატურად ქვეყნდებოდა და ქვეყნდება კლიმენტი შელიას სტატიები, ნარკვევები, რეცენზიები, პუბლიცისტური წერილები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების პრობლემურ საკითხებზე. გამოქვეყნებული აქვს სამსორმოდლათზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის სამ ათეულზე მეტი წიგნი, მონოგრაფია. უკანასკნელ პერიოდში პუბლიცისტურ, სამეცნიერო, კრიტიკულ წერილებთან და რეცენზიებთან ერთად გამოვიდა კლიმენტი შელიას წიგნები: "ქვეყნის განვითარება დამოკიდებულია განათლების დონეზე", "ადოკატურის შესახებ". სამეცნიერო კრებული - "შრავალპარტიული საარჩევნო სისტემის სრულყოფის ტენდენციები თანამედროვე საქართველოში". იგი დაჯილდოვებული იყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის საიუბილეო მედლით, მთავრობის ჯილდოებით, აგრეთვე მედლით "კავკასიის დაცვისათვის", "1941-1945 წლებში დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის" და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მედლებით, მიღებული აქვს ლენინის სახელობის მედალი ბელადის დაბადებიდან ას წლისთავთან დაკავშირებით, ასევე დაჯილდოვებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის, ვაკის რაიონული კომიტეტის, საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს თუ საკავშირო განათლების სამინისტროს სამადლობლო წერილებით, მრავალი დიპლომით, სიგელით, საპატიო სიგელით...

კლიმენტი შელია იყო აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პერიოდული ორგანოს - ჟურნალ "აფხაზეთის მთაბის" სარედაქციო კოლეგიის წევრი, პოლიტოლოგიის კათედრის რედაქტორი.

ღვაწლმოსილი მეცნიერი ენერგიულად იკვლევდა თანამედროვე საქართველოს სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და გეოპოლიტიკურ პრობლემებს.

კლიმენტი შელია პროფესორ ჭანიასთან ერთად იყო საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის შექმნის ინიციატორი და დამფუძნებელი.

პროფესორი კლიმენტი შელია არჩეული იყო აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის და "ფაზის"-ს აკადემიების აკადემიკოსად, იყო საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, უფრო ზუსტად - იგი გახლდათ საქართველოში არსებული რვა აკადემიის წევრი, ოთხი აკადემიის განყოფილების გამგე, რვავე აკადემიის პრეზიდიუმის წევრი.

სულ ეს გახლავთ მოკლე ბიოგრაფია ადამიანისა, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული არსებობა ქართული ისტორიული მეცნიერების აღორძინებას მიუძღვნა.

ახლანან აღვნიშნეთ ამაგდარი მეცნიერის დაბადებიან 92 წლის იუბილე, და ახლა, სამწუხაროდ, მისი ნეკროლოგის გამოქვეყნება ვეწვევს.

კლიმენტი შელიას საქმეს მისი მოწაფეები გააგრძელებენ და ალბათ გამოინდება შემოქმედიც, რომელიც წიგნად აქცევს დიდ მეცნიერის, გულმხურვალე პატრიოტისა და მაღალი ადამიანური თვისებებით შემკული კლიმენტი შელიას საინტერესო ცხოვრებას.

მემბოზრების ჯბუში

სახალხო მოძრაობა "სამმბრელო", გაზეთები "საქართველო და მსოფლიო" და "ილორი", ჟურნალი "აია", მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დიდი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე

**კლიმენტი ივანეს ძე შელია**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

საერო-სამეცნიერო აკადემია "აია" მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი,

**კლიმენტი ივანეს ძე შელია**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს

არასამთავრობო იურიდიული პირი "ისტორიული მემკვიდრეობა" მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი, ისტორიკოსი, პოლიტოლოგი, გეოპოლიტოლოგი

**კლიმენტი ივანეს ძე შელია**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს

იბერიული ენა და საზოგადოების სრულყოფის პრობლემა

ინფორმაციების გონებით წოვა (წ) და ძოვა (ძ; ძ ნც=ძოვის), აუცილებელი პირობაა ადამიანის დაბრუნებისა და სრულყოფისათვის; ურთიერთპატივისცემა (პატივი ც=პატივი სცა) და ურთიერთწყენა (ლიკეთი, ან კეტთ ც=მუშეთი, ან კეტთ სცემა) აუცილებელი მოვლენებია ადამიანთა ურთიერთკავშირისას საზოგადოების ზრდა-განვითარებისათვის; ადამიანთა კება (წ=აჭამა, კება) ღვთიური ნათელით (ღვთიური სიბრძნით), ანუ გაცემა ღვთიური ნათელისა, უმთავრესი, ღვთით ბოძებული თვისებაა ადამიანისა, რომლის გარეშე ორფეხა ველური ცხოველი ვერ ჩამოყალიბდებოდა ადამიანად და, რომლის გარეშე, ადამიანი ვერ გახდება უხეჩანესი შემოქმედის მოკავშირე; ხსოვნა, მეხსიერება (შ=ახსოვს; შ ნა=ხსოვნა), ასევე, ადამიანის უმთავრესი თვისებებია, რომლის გარეშე, იგი ვერ იარსებებდა, როგორც ადამიანი; სუსტი ხმით ვყირილი (ყ ყიუ, ზოგადად, ყიავი) დაღუპვის საფრთხის წინაშე ჩაყარნილი ადამიანის თვისებებია მომშობა და ახლო-ბელთა დახმარებისათვის მოსახმობად; მიღება-გაღება (ღ=იღო; მი-ღ=მი-იღო, გი-ღ=გა-იღო) და ქმნა-გარდაქმნა (გადაკეთება) (ქ=ფქვა), თავისი დადებითი-უარყოფითი თვისებებით, აუცილებელი პირობებია ადამიანის ზრდა-განვითარებისათვის; აღუდება-ამადლება (ფ=იდულა) ადამიანის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი თვისებებია, რამეთუ აზრთა დედლის გარეშე, იგი ვერ ჩამოყალიბდებოდა ადამიანად; დატოვოს, და-უშვას, გადა-არჩინოს, განუტევოს, მიუტევოს (ტ=1) ტოვა; 2) უშვა; 3) არჩინა; 4) ტევა) სული ადამიანის თანდაყოლილი თვისებებია, რომლის გარეშე გამორიცხულა მისი ზრდა-განვითარება; განტვირთვა-შეგება, სიმძვინვარება (ს= შარდა, განტვირთვა, შეგება იგრანო) ერთ-ერთი უნაკლო და დადებითი თვისებებია, რომლის გარეშე, ველური ცხოველი ვერ გახდებოდა ადამიანი; რეალობათა შეცნობა-შეფასებისა და დადასტურების თვისება (რ რე=არის), თავისი სიზუსტითა და შეცდომებით, მანქანებელთა ადამიანის განვითარების დონისა; მზე (ჟ, ჟა) – ესაა ღვთით ბოძებული სიკეთე, რომლის გარეშე, საერთოდ, აღარ იქნებოდა სიცოცხლე, მსგავსად ღვთიური ნათელის ნაპერწკლისა, რომელიც ნადებულა ადამიანში და განაპირობებს მის სიცოცხლეს; ადამიანად მყოფიერებისა (კ=კეყო) და მკვლელობის (პილ (მკლა) კლ პ რ პირე პირი) როლის შესრულება მისი პირ-ბაგათი თვისებებია;

წყალს (წ, =წყალი, წ, =წენი) აკისრია, რომლის გარეშე ვერ იარსებებდა ადამიანი და, საერთოდ, მცენარეულ-ცხოველური სამყარო; ხოლო ყველა აქ ჩამოთვლილ თვისებათა მატარებელი მე-ა (მ, →მა(მე)), ადამიანია; ვარდნა-დაცემა (ლ, =ვარდება) სულიერად, ადამიანის თანამდევი თვისებებია და აუცილებელია მისი შემდგომი აღდგომისათვის; სიმტკიცე (კ, სიმტკიცის, სიმაგრის, განსაკუთრებული წინააღმდეგობის სიმბოლოა) და მოკაება (კ, =იკავა; მი-კ, =მი-იკავა), შესაბამისად, ადამიანის დადებით-უარყოფითი თვისებებია, მაგრამ აუცილებელია მისი ზრდა-განვითარებისათვის; სინათლის (თ,) აღქმა უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი თვისებებია ადამიანის სიცოცხლისა და ზრდა-განვითარებისათვის; სუნთქვა (პ, ) კი უპირველესი მანქანებელია სიცოცხლისა; რაიმე ქმნილების შექმნის პროცესში ხელვა-დამუშავება (ხ, =ხილა), ცეცხლის დაწვობა (ხ, =ანთი), დაზავება (ზ, =აზავა) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უმთავრესი თვისებებია ადამიანის სიცოცხლისა და სრულყოფისათვის; განტვირთვა-შეგების, სიამოვნება-ნეტარების საპირისპირო და უარყოფითი თვისებებია დატვირთვა და ტანჯვა-წამება, ვაება-წახილი (ვ, ), მაგრამ მის გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა ადამიანის ზრდა-განვითარება; ასევე, დებას (დ, =დო), ანუ ერთ ადგილზე დაამგებრების შესაძლებლობას, თავისი დადებითი-უარყოფითი თვისებებით, გარკვეული წვდომი შეაქვს ადამიანის ზრდა-განვითარებაში; პატივის მიგება (მარ-დი გინა-გ, =მადლი მი-აგო), ადამიანური ვალის მოხდა (გინი-გ, =გადა-იხადა), მოგება (მი-გ, =მი-იგო), წაგება, (წა-გ, =წა-აგო), გარე-მოცივისთვის სასარგებლო რეალობების აგება (ხიდი, შენობა აუ-გ, =ხიდი, შენობა აუ-გო) და, საერთოდ, გულმოდკალება (სიკეთის კეთება) ერთ-ერთი უმთავრესი თვისებებია საზოგადოებაში კავშირის დასამყარებლად და ადამიანთა ზრდა-განვითარებისათვის; და ბოლოს ბმა, კავშირი (ბ,) ერთადერთი დამაგვირგვინებელი თვისებებია ბუნებასთან პარმონიული თანაცხოვრებისა, ადამიანებთან ურთიერთობისა და, საბოლოოდ, სამყაროსა და ადამიანის სრულყოფისათვის, მისი განდმობისა და უზენაესთან შერწყმისათვის, რაც, ისევ და ისევ, ყველა ამ თვისებათა მატარებელი ადამიანის მიერ მათი გონივრული მართვითა და სრულყოფისაკენ დაუოკებული სწრაფებითაა შესაძლებელი.

მოკლედ, ჰყოფა-ქმნობა (კ, ), გარდაქმნა-გადაკეთება (ქ), და შლა-დამხობა უვარცისობისა (ვ, ), შეკვრა-შეკოწიქვება ახალი

ქმნილებისა (გ, //ჭუ), წოლა და ჯღობა (ჯ, და ხ, ) დახარჯული ენერჯის აღსადგენად, მოვა და წოვა ინფორმაციებისა გონების კვებისათვის (ძ, და წ), დაუოკებული სურვილი და სწრაფვა ჭეშმარიტების სიღრმეში (ჭ, =ჭა) ძირისძირამდე წვდომისკენ და ამისთვის სულიერი წვა (ჭ, =ჭუ), ურთიერთ პატივისცემა (ც, ) და მიღება-გაცემა სიბრძნისა (ღ, ), სასოწარკვეთილის ვყირილი საფრთხისა და აღფრთოვანებულის ვყირილი სიხარულისა (ყ, ), აზრთა დუღილი და ამადლება (ფ, ), სხვათა გადაჩენისათვის თავდადება და წარუშლელი კვალის დატოვება (ტ, ), უკეთურებათა დაშვება და მიტევა (ტ, ), შეგება-განტვირთვა და სიამოვნება-ნეტარება (ს, ), დადებით და უარყოფით რეალობათა დაფიქსირება (რ, ) და დამახსოვრება (შ, ), შემოქმედისგან ნადებული ღვთიური ნათელის მხეხავით პერიოდული გამონათებები (ჟ, ), მყოფიერებისა და მკვლელობის როლის ტარება (პ, ), სიცოცხლე-სიხარულის მიჩიჭება და წყენება-წაგება (წ, ), ვარდნა-დაცემა (ღ, ) და აღდგომა, სულიერი სიმტკიცე და მოკაება (კ, ) საკუთრებისა, ნათელის ხელვა (თ, ) და სმენა, სასიცოცხლო სუნთქვა (პ, ) და ხელვა-დამუშავება ქმნილებისა (ზ, ), სასიცოცხლო, თუ სასიკვდილო ცეცხლის დაწობა და დაზავება (ზ, ), სასოწარკვეთა და ვაება-წახილი (ვ, ), დება (დ, ) და შენახვა განმეყვობისა და დირებულბეებისა, პატივის მიგება და აგება-აშენება (გ, ), ადამიანური ვალის მოხდა და გულმოდკალება (გ, ) და, ბოლოს, გარემომცველ სამყაროსთან უწყვეტი კავშირი (ბ, ) - ესენი ის თვისებებია, რომლებმაც ასახვა პპოვეს ღვთიურადღვინილი, იბერიულ სამეცნიერლო ბეგრებში, განაპირობებს ორფეხა ცხოველის ადამიანად ჩამოყალიბება და შემოქმედის დახმარებით ამ თვისებათა გონივრული მართვა, გარემომცველ სამყაროსთან მუდმივ კავშირში, უზრუნველყოფს ადამიანის საბოლოოდ განდმობას.

რჩეულობას და სიწმინდეს საქმე უკეთ აღასტურებს. ჩვენ არ შეგვიძლია შევეჯიბროთ მათ სიმდიდრის მოპოვებაში, მაგრამ ქართველი ერის გარკვეულ ნაწილს ნამდვილად გვაქვს პრეტენზია შევეჯიბროთ ნებისმიერს სულიერ-ხნეობრივი ნორმების დაცვასა, განმტკიცებასა და ცხოვრების წესად დამკვიდრებაში, რაც იბერთა მოდგმის სულიერია მისათა, და თუ ამ საქმეში სხვები დაწინაურდებიან, ჩვენ გულწრფელად და თავყანისცემით მოვიხრით ქედს, ნებისმიერ, მათ წინაშე.

ჩვენმა უძველესმა წინაპარმა ღირსეული ნაბიჯი გადადგა თავისი განვითარების გზაზე, როცა ამადლდა მეორე საფეხურზე და ცხოვრების წესად დაამკვიდრა პრინციპი: გაცემა მიღებისათვის. მიღება მიღებისათვის პრინციპით მცხოვრები საზოგადოებისათვის ეს იყო ტრიუმფალური ნახტომი და იბერიული ცივილიზაცია გაგრძელდა, კიდევ, მიუღ ნახევარსფეროზე, მაგრამ უფრო მაღალ საფეხურზე ამადლებისათვის საჭირო იყო დიდი და მძიმე გამოცდის გაველა და ერთ დროს საერთაშორისო ენას, 1008 წლის, ანუ ეგრის-აფხაზეთის და ქართლის გაერთიანების შემდეგ, სახელმწიფო ენის სტატუსიც ჩამოერთვა, მაგრამ ეს სტატუსი გადაეცა მისი მოდგმის ქართულ ენას, რომელიც წარმოადგენს ნარეკ ენას და სწორედ ამიტომ პქვია ქართულ ← ქართური (შერეული), მაგრამ აქამდე მდებობთა ენამ, სრულიად მოკლე დროში საოცარი განვითარება განიცადა და ორ საუკუნეში კლასიკური ენა გახდა. ხოლო უარყოფილი იბერიული ენა დაკონსერვდა გარკვეულ ტერიტორიაზე, ასეთი იყო ღვთის ნება და, ალბათ, ასე იყო საჭირო. სხვანაირად შეიძლებოდა მისი არსებობა და კვალი, საერთოდ, გამქრალიყო. მართალია, იბერიული ენის სიღრმისეული კვლევისა და მისი შეუდარებელი მონაცემების ზედაპირზე ამოტივტივების შემდეგ, ზოგ მეცნიერს შიში გაუჩნდა იბერიული ენის აღდგენისა და ძველი დიდების დაბრუნებისა, ამიტომ გააფთრებული იბრძვის მისი როლის დაკინებისა და მოსპობისათვის (ტ. ფურტკარაძე და მისი თანამოაზრენი). ზოგი მკვლევარი კიდევ, რაკი საერთო ქართულს დაკარგული აქვს დასაბამიერი ბუნებრივი მონაცემები, ცდილობს მისი ღირსება და განსაკუთრებულობა წარმოაჩინოს, ებრძალების მსგავსად, ე.წ. ჰემანტრიული ხერხების გამოყენებით, რაც ნებისმიერ ენას შეუძლია გამოიყენოს და ამიტომ ჰემანტრიული ხერხები, უზენაესიკვალობითა და გამომსახველობით უნართ კი, მაგრამ სულიერი სიმადლით და ე.წ. კოდირებულიობის დონით, ჩვენი აზრით, ვერაფრით ვერ გამოარჩევენ ერთმანეთისგან და ვერ დაადგენს ერთი ენის უპირატესობას მეორეზე.

**კპშური ფიზია, „ფაზისის“ და „აიას“ საერო-სამეცნიერო აკადემიების წევრი, კოლხური კულტურული მემკვიდრეობის კვლევის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი (გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

დაიბადა 1934 წლის 17 აპრილს, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში. 1953 წელს დაამთავრა ქალაქ თბილისის მე-19 საშუალო სკოლა. 1953-56 წლებში სწავლობდა თბილისის ო. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იყო „სტალინის დღეების“ (1956 წლის 5-9 მარტი) აქტიური მონაწილე, მომტივრეთა „მუშა კომიტეტის“ წევრი. გამოდიოდა სიტყვებით, მოწოდებებით მიტინგებზე, დემონსტრაციებზე, განსაკუთრებით, სტალინის ძეგლთან, ე. წ. „მშრალ ხილთან“.

ცხოვრებაში განსაკუთრებით დაამახსოვრდა ერთი ლექსის ფრაგმენტები:

...დადიანის მოდგმისა ვართ, სააკაპის ზრდილი, თამარი დედად გვეყოლა, ჩვენ ვართ მათნი შვილი, მძებნი, დები მრავალი გვეყავს, გმირი მარაბდელი, ილია და ფშავი ვაჟა, ბრძენი რუსთაველი...  
...ან თუ გინდა ლამაზიანი, კაკაკასის ქედი, ცათამბჯენი მწვერვალების თანავარსკვლავედი, დაგიკოცნე, ქართლის მიწაზე, მე შენ ყველა ბელტი, მიყვარს შენი მთა-ბარი და ყველა შენი ფერდი; თუ დაგჭირდეს თავი ჩემი, სუსტი ჩემი მკერდი, მე ვიქნები ბედნიერი მეტად, ჩემი ბედი“.

... და სათაყვანებელ სამშობლოს მისი „მკერდი“ რამდენიმეჯერ დასჭირდა, მაგრამ თვითონ გადარჩა. კერძოდ, 1956 წლის 9 მარტს სტალინის ძეგლთან გამართულ ხოცვა-ლეღებისას, „ფოსტამის“ გარკრით დუშმანთა მიერ გასროლილი ტყვიების წიმამს, რაკაც მრავალი ახალგაზრდის სიცოცხლე შეეწირა, მას ვერაფერი დააკლო.  
...მერე იყო სამასხური. უპარტიო კაცმა მიაღწია ენგურპეის მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსის (გოგიაშვილის) მოადგილის თანამდებობას, ტექნიკურ დარგში. იყო სხვადასხვა სამშენებლო და სამეურნეო ორგანიზაციის მთავარი ინჟინერი.  
1989 წლის 9 აპრილის შემდეგ, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მიერ ავორებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტალღაში უყვამანოდ გადაეშვა, მონაწილეობდა მანიფესტაციებში, დემონსტრაციებში, მიტინგებში... გახდა ჰელსინკის კავშირის წევრი თბილისში, მერე ზუგდიდში – ამ ორგანიზაციის გამგეობის წევრი...  
აქტიურ მონაწილეობას იღებდა ოქტომბრის თვეში საქართველოში გამართულ ერთადერთ დემოკრატიულ

არჩევნებში; იყო საარჩევნო ოქტის თავმჯდომარის მოადგილე, საარჩევნო უბნის თავმჯდომარე. ასრულებდა ზუგდიდის რაიონის პრეფექტის თანაშემწის მოვალეობას მშენებლობის საკითხებში. ბოლოს, იყო სოფელ რუხის გამგებელი, რაიონული საკრებულოს წევრი.

შემდეგ დაიწყო პუტნი – საქართველოს ტრეაკედია... ბნი ალეკო საქართველოს ბელუკულმართობის ციტადელში იმყოფება: ჯერ თბილისში ავადსახსენებელ 1991 წლის 22 დეკემბრიდან, 1992 წლის 5 თებერვლამდე. არის მრავალი დახვერტილი მიტინგის მონაწილე. მერე – ზუგდიდში, ცაიში, გალი, აფხაზეთი... იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი ზუგდიდში პუტნის საწინააღმდეგო საგაფიცუო კომიტეტის მოშიშილე. მშრალად მოშიშილეც, შევარდნაბის გადადგომის მოთხოვნით... მიხანსაც მიაღწიეს – ასე ეგონა „გადადგა“, მაგრამ ირ. სარიშვილის მიერ დადგებული ტრაგი-კომედია-სპექტაკლის შემდეგ დაბრუნდა უხსენებელი. გრძელდება სისხლიანი დღეები. დევნიან ბ-ნ ალეკო თოდუასაც. სამო-

**ალეკო თოდუა – 80**

ქალაქო ომის დროს იყო დასავლეთ საქართველოს სახალხო ლაშქრის და შვიარალბული ძალების სამხედრო საბჭოს საგანგებო რეპრეზენტული, „ამრგვალი მაგიდა თავისუფალი საქართველოს“ ინდივიდუალური წევრი.

თავს აფარებს რუსეთს... მოსკოვში ჩასვლისთანავე აქალიბებს ანტიშეგარდნაბიტულ ჯგუფს სახელწოდებით დასი IV, რომელშიც როგორც ახსოვს, გაერთიანდნენ ჭეშმარიტად ზვიადელი სოხუმიდან – როზა ქანთარია, პოეტი, ჟურნალისტი მარი ჟღენტი, ყოფილი დისიდენტი მწერალი ანზორ გვარამია, ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი დაცემული ეკლა ნიკურაძე და სხვ. მოსკოვის შ. გორკის სახელობის კინოსტუდიის კლუბში ჩატარებული, ასოციაციის ყრილობაზე პრეზიდენტად აირჩეს რეჟისორი ვიორგი გახოსია, ვიცე-პრეზიდენტად – ალეკო თოდუა... აღსანიშნავია, რომ ვიორგი გახოსიას გარდა, არც ალეკო თოდუა და არც დასავლელი პიროვნებები გამხდარან რუსეთის მოქალაქეები. გამოსცემდნენ გახოსის, რომელსაც

აფინანსებდა ჭეშმარიტი პატრიოტი ბიზნესმენი ბ-ნი გულიკო ხარხილაძე. ალეკო თოდუა პრესას აჯახანდა ზუგდიდში, სადაც სისტემატურად ეწეობოდა ანტიპუტჩისტური მიტინგები.

ადრე აქვეყნებდა წერილებს „ლიღში“, „აღდგომაში“, „წაღმგენის ხარებში“... დაბრუნების შემდეგ აქვეყნებს წერილებს „ილორში“, „საქართველო და მსოფლიოში“, „საქართველოს რესპუბლიკაში“, „გერისის მაცნეში“...

არის რამდენიმე წიგნის ავტორი, მათ შორის რუსულ ენაზე გამოცემული წიგნისა. კონვერზე აქვს მასალა წიგნისთვის „საქართველოს მცირე ლელი, რუხი-სამეგრელო და სხვა ჭკრელი ამბები“, როგორც ადრე, ახლაც ელის სპონსორს.

ბატონი ალეკო აქტიურად იბრძვის ქართველური ენების მერგულის, დაზურის, სხანურის დაცვისათვის, თითო საქართველოს ეროვნული აკადემიის დონეზეც.

ალეკო თოდუა არის სამეგრელოს უხუცესთა კავშირი „სხუნუს“ პრეს-სპიკერი, გამგეობის წევრი, ასევე აფხაზეთის ომში დაღუპული ოჯახების შერიგების, ნლობისა და თანადგომის პუმიტიარული კავშირი „დისკურია-2005“-ის თავმჯდომარის მოადგილე, საზოგადოება „ჯჯვარ“-თან არსებული ლტოლვილთა კავშირის „დორთას“ (დაბრუნება) – პრეზიდენტი.

ბატონი ალეკო გახლავთ „ფაზისის“ საერო-სამეცნიერო აკადემიის, მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას“ და საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აიას“ ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი.

ამასთანავე არის კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი. და, ბოლოს, ცოტა იუმორით: „უსაქმური“-უმუშევარია ავერ უქვე 22 წლის სტაჟით. ჩანს, ეს „ფუფუნება“ სიცოცხლის ბოლომდის არ მოაკლდება.  
ბედნიერად ცეცხვობოს დამოუკიდებელ ერთიან საქართველოში!

**კლიმენტი შმილი, ნაზარ ნაზარია, ვაჟა ერისმელი-ილოპაია, მამანტი აბაშია, სერბო წურუშია, ბია კვაშილავა, სიმონ ხაძარია, კპშური ფიზია, კვა შანია, გონდო მანია, ზურაბ კვაკვაძე-ელია, აპოლო გვალია, აპოლო ხვიტია, კლიმენტი კიკალიშვილი, ვაჟა თოდუა, ნათია ჯაფარი**

# რეცენზია

(დოქტორები: ა. ალხაზიშვილი; ი. იმედაძე)

## ვაგრძელები რეცენზიებისა და გამოხმაურებების ბეჭდვას ცნობილი ქართველი მეცნიერის ბატონ ედემ იზორიას ნაშრომებზე

ე. იზორიას სარეცენზიოდ წარმოდგენილი შრომა **“გეორგიული ანუ მეტყველების წარმოქმნის პირობითარეფლექსური თეორია”** თავისი არსით ენათმეცნიერებას მიეკუთვნება. ავტორი ჩამოთვლის მეტყველების წარმოშობის ყველა არსებულ თეორიას და აღნიშნავს მათ უუნარობას ასხნან ადამიანში მეტყველების ჩასახვის მიზეზი და მექანიზმი. მაგრამ ამ თეორიათა შორის გამოყოფს ხმაბაძვით თეორიას და მის მარცხს მიაწერს იმ ფაქტს, რომ მისი შეფუძავების დროისათვის ჯერ არ არსებობდა ი. პავლოვის მოძღვრება უპირობო და პირობითი რეფლექსების, პირველი და მეორე სახიგანალო სისტემის შესახებ.

მეტყველების წარმოშობის თავის თეორიაში ავტორი ცდილობს ეს ხარვეზი შეავსოს. კერძოდ, იმის საფუძველზე, რომ წოვა-შეწოვის და ყლაპვის ფიზიოლოგიური აქტებში ადამიანი წარმოშობს **“წ”** და **“კ”**-ს მსგავს ბგერებს. ის სხვადასხვა მსჯელობების საშუალებით, ცდილობს დაასაბუთოს ამ ბგერების გადაქცევა ჯერ რეფლექსებად და შემდეგ მიაწერს მათ პავლოვისეული **“სიგნალის სიგნალის”** (ანუ სიტყვის) ფუნქციას. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ამ მსჯელობას ნებისმიერი და ხშირად დაუსაბუთებელი ვარაუდის ხასიათი აქვს. მაგალითისათვის მოვიყვანოთ ავტორის ერთ-ერთ ძირითად მსჯელობას. ის წერს: **“როცა წოვასიმს-გაგესებული განწოვის ფიზიოლოგიური აქტი, იგივე “წ” ბგერის საარტიკულაციო მონაცემი, შეიძენს ენობრივ სახრისს, ეს ადამიანური ინტელექტუალური აქტი – ევრბალური მეტყველება და ჰუმანიდიზმი?... (პომინდი ვ. ი.) გრძელდება დაახლოებით სამიდან ორ მილიონ წლამდე. იქვე ავტორი გვარწმუნებს, რომ ეს შეიძლება მომხდარიყო, დროთა მანძილზე, ტვინის შემდგომი განვითარების (მეტყველების ცენტრის განვითარების) გამო...”** (გვ.10) მაგრამ არც ამ მსჯელობაში და არც სხვაგან შრომაში არაფერია ნათქვამი, რამ განაპირობა ტვინის შემდგომი განვითარება. როგორ მოხდა, რომ ბგერამ **“წ”** ან მისმა შემცველმა ბგერათა კომპლექსმა შეიძინა სიტყვის (სიგნალის სიგნალის) ფუნქცია. მეტყველების წარმოშობის ქმედითუნარიან თეორიაში კი სწორედ ამ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი.

ი. პავლოვის მოძღვრებაში ორი სახიგანალო სისტემის შესახებ უნდა განხილულიყო, როგორც არსებული მოცემულობა და, ჩვენი აზრით, ამ მოძღვრების მეშვეობით იმ პრობლემის გარკვევა, თუ როგორ წარმოიშვა ადამიანის მეტყველება. შეუძლებელია – სიტუაცია, უკვე უნდა არსებობდეს რათა შესარულოს მეორადი სიგნალის (განმაზოგადოებელი) ფუნქცია. მაგრამ პრობლემის ავტორისეული გადაწყვეტის მართებულობა საბოლოოდ ფიზიოლოგებმა უნდა შეაფასონ.

შრომაში ფსიქოლოგიის მონაცემთა გამოყენებას რაც შეეხება, უნდა ითქვას, რომ ავტორს საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ამ მეცნიერებაზე. ამასთან დაკავშირებით საკმარისია ითქვას, რომ სრულებით მიუღებელია დ. ბლუმფილდის და დ. უზნადის თეორიების დაკავშირება ერთი მაგალითის განხილვის დროს, რასაც ავტორი თავისი შრომის მე-9 გვერდზე აკეთებს. დ. ბლუმფილდი ბიპევიორიზმის მომხრე ენათმეცნიერია, მაშინ როდესაც დ. უზნაძე ორიგინალური ფსიქოლოგიური თეორიის ავტორია. შეიძლება იხილვოდ აღნიშნოს, რომ იქ, სადაც ავტორი გვაუწყებს თუ რა სიახლეები შესძინა მისმა თეორიამ ფსიქოლოგიას, ის წერს, რომ მის შრომაში **“ნაჩვენებია მეტყველებისა და აზროვნების პარალელური განვითარება”** (გვ. 1). ალბათ ავტორი გულისხმობს ამ პროცესების განვითარებას ფილოგენეზში (ამ მხრივ მისი ნააზრების ნებისმიერობაზე და დაუსაბუთებლობაზე ნებით ვილაპარაკეთ). რაც შეეხება აზროვნებისა და მეტყველების განვითარებას ონტოგენეზში, ეს პრობლემა ფსიქოლოგიაში მრავალმხრივია შესწავლილი, მათ შორის გამოჩენილი

# ფსიქოლოგიის ინსტიტუტიდან

ფსიქოლოგების ჯ. პიაჟეს და ლ. ვიგოსტკის მიერ და ამ მხრივ ავტორს ფსიქოლოგიაში არავითარი სიახლე არ შემოუტანია.

ამრიგად, ჩვენი აზრით, მოცემული ნაშრომი ფსიქოლოგიის კუთხით: არ შეიძლება ჩაითვალოს სერიოზულ მეცნიერულ გამოკვლევად. იგი არ აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს, რომლებიც მიყენება ნორმალურ სამეცნიერო ნაშრომს, იგი არ შეიცავს სიახლეს და სასევა შეუსაბამობებით და შეცდომებით.

## ბატონ ედემ იზორიას პასუხი ფსიქოლოგებს

დიდად პატივცემულმა ფსიქოლოგებმა ნაშრომის უარყოფა წარმატებით მოახდინეს სამიოდვე **“ფუნდამენტური”** დასკვნის ხარჯზე:

**დასკვნა პირველი:** რომ ავტორის ყველა მსჯელობას ნებისმიერი და ხშირად დაუსაბუთებელი ვარაუდის ხასიათი აქვს... ისინი ასკვნიან იმით, რომ არსად **“...ნაშრომში არაფერია ნათქვამი რამ განაპირობა ტვინის შემდგომი განვითარება...”**

პირი, საოცრებაც. თურმე არაფერია ნათქვამი ტვინის განვითარების თაობაზე...

დიდად პატივცემულნი ფსიქოლოგნი, ეტყობა, თქვენ ამ ნაშრომის ფურცელადგადმოფორმულაში დამატების მოთელი ერთი თავი (იხ. დამატება გვ. 4-5 იხ. პურნ. „აბი“ 2(14) გვ. 62) გამოგრჩენიათ. აი, იგი: **“ანთროპოლოგიის ამეტყველების დროინდელი ცნ.ს-ი და გონითი შესაძლებლობები”**. იქვე ციტატაა ჯილდ ბეილისა და ტინი სედლონის წიგნიდან **“ისტორიამდელი სამყარო”**, რომელიც მე-4 გვერდის მე-5 აბზაცზე მთავრდება დასკვნით: **“ბუნებრივი ფორმების მხედველობის და ხელების კოორდინაციით ტვინის მსხვილი მოაზროვნე ნაწილი განუვითარდა”**. შემდეგ მე-4 გვერდის მე-8 აბზაცზე, იმის ხაზგასმედედ თუ არა განაპირობა ახალი წარმოქმნების განვითარება (შუა და საშუალო ტვინი, ნათხემი, დიდი ჰემისფეროები). ავტორი წერს: **“...ხელების როლი ადამიანის განვითარებაში იმდენად როგორც შრომის ორგანოს კი არა, არამედ ხეზე ცხოვრების შედეგი ყოფილა, ხოლო ცხოვრებისეული პირობითი რეფლექსთა შედეგად თავის ტვინის ახალი წარმონაქმნების განვითარება, მით უფრო, გარემო პირობებთან შეგუებისა...”** მე-5 გვერდის ბოლოსწინა აბზაცზე კი, პომინდი როგორც მოცემულობის, გონითი მონაცემებია.

მეათე გვერდზე, დასაწყისშივე, წერია: **“პ. ათასწლეულების მანძილზე, აუცილებლად, ასრულდება წოვა-განწოვის მოძრაობებს, წარმოქმნამდე, გაუცნობიერებელი გაგლების მქონე, წ.წ ბგერებს. ამგვარადვე, დღესაც ადამიანები, წყურვილ-შიმშილისას, თუ პომეოსტაზის სხვა ცვლილებათა რაგვარობისდა მიხედვით, უნებლიედ, წარმოქმნიან სიტყვებს: მწყურია, შხა, მცოვა, მცხელა და ა. შ. (და ეს ფაქტებია, ბატონებო, ფაქტებია...)”**

მე-9 გვერდის ბოლოსწინა აბზაცზე, ამ, აქვეთქველ, წარმოქმნებზე წერია: **“დიდ დროში, ამ რეპროდუქციამ (წარმოქმნამ) რომ შეიძინოს ლოგიკურ-ენობრივი სახრისი ... გაუცნობიერებელი, გარკვეული გაგლების მქონე, წარმოქმნის ... თათებში მიმდინარეობა ჭირდება, რათა თავის ტვინი, შესაბამისად, განვითარდეს”**.

აი, რა მკაფიოდ და ნათლად დასხნილი თუ რამ განაპირობა თავის ტვინის განვითარება. თუმცა თქვენ ხომ ეს ჩემზე უკეთ უწყით. მაშ რაშია საჩქე? იქნებ ეს შეეითხვა ზოგადფილოსოფიურია – იდეალიზმ-მატერიალიზმის კუთხით. თუ ასე ვპასუხობ: დემეტმა უკეთ უწყის, ანუ დემეტმა განაპირობა...

ამ, უკვე პასუხაცემულ, პირველ დასკვნას ფსიქოლოგებისა აქვს ვაგრძელება: **“როგორ მოხდა რომ ბგერამ წ ან მისმა შემცველმა ბგერათკომპლექსმა შეიძინა სიტყვის (სიგნალის) ფუნქცია. მეტყველების წარმოქმნის ქმედითუნარიან თეორიაში სწორედ ამ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი...”** ამ კითხვაზე პასუხი გაცემულია. აქვე იხ. ქვემოთ — **“პასუხი ფიზიოლოგებს,” “პოლემიკა.”** იხ. გვ. 61, 62, 63. მაგრამ, ასევე, მისი პასუხია მთლიანად ნაშრომში. კითხვისათ თუ ერთი ორი წინადადება კი არა მთელი სათაურები გამოვრჩია, რაც არ უნდა დოქტორი თუ აკადემიკოსი იყო თეორიის გაგება-შეფასება მხოლოდ იმდაგ-

ვარადაა შესაძლებელი, როგორც სხეზე: **“ნებისმიერი და დაუსაბუთებელი ვარაუდებით”**. ეს მაშინ როცა ვალდებულნი იყავით, ჭეშმარიტების დადგენის სურვილით, და არა მიკერძოებულად, ნაშრომის ჩამოწერის მიზნით, ნაკლოვანებების ძებნა-პირკითხვით, ის ფსიქოლოგები – საგნობრივიდან ცნებების და სხვა აზრობრივი ამოსავლიანობები განეცილიათ, რაც ამ უთვლავ ბგერებსა და ბგერათკომპლექსებისგან სისტემების წარმოქმნას ახლავს თან. ჩვენი აზრით, ამ წარმატებადი და საშური საქმისათვის დროის უკმარისობამ მიიყვანათ ზემოხსენებულ შედეგებამდე, რაც უნდა აღიაროთ კიდევ.

**დასკვნა მეორე:** ...ი. პავლოვის მოძღვრებაში ორი სახიგანალო სისტემის შესახებ უნდა განხილულიყო როგორც არსებული მოცემულობა და, ჩვენი აზრით, ამ მოძღვრების მეშვეობით იმ პრობლემის გარკვევა თუ როგორ წარმოიშვა მეტყველება შეუძლებელია. სიტუაცია უნდა არსებობდეს რათა შესარულოს მეორადი სიგნალის (განზოგადებელი) ფუნქცია... **“ეს დასკვნა გახლავთ კატასტროფა, სრული ფიასკო ჩემი იმედებისა, თუნდაც ცალი თვალით მაინც, გპოვებენ ნაშრომი წაითხუილი. დაიხ, დღეს “არსებული მოცემულობა” – ენა და ასევე “არსებული მოცემულობა” – ადამიანი ერთიანია: თუ არა ყრუ-მუნჯებში (მხედველობაშია ბგერითი ენა), ცალ-ცალკე არ არსებობენ (მ. ქურდიანი). მაგრამ ბავშვიც ხომ ადამიანია და მას გარკვეულ ასაკამდე, მეტყველება არ გასჩნია. “გ. თ.” – თვის დღევანდელ “არსებულ მოცემულობად,” სწორედ, ბავშვი დღევანდელ სამეტყველო სიტუაციაში (გარემოში) და 3 მლ. წლის წინანდელ “არსებულ მოცემულობად” პომინდი მაშინვედ სამეტყველო გარემოში (ფიზიოლოგიურად გაგებული და ბუნების სხვა აუსტიკური ფაქტები) აქვს აგვანილი. ბავშვი ენას იდგამს დღევანდელ “სიტუაციაში” – მეტყველ გარემოში, პომინდი კი მაშინვედ “სიტუაციაში” – ფიზ. პროცესებსა თუ სხვა ბუნებრივ მოვლენათა ბგერებით მოცემულ მეტყველ გარემოში”. ესა და ეს. გირჩევთ, გათხოვთ, კიდევ გადაიკითხოთ ნაშრომი.**

შემდეგი ორი დასკვნა ფსიქოლოგებს ფსიქოლოგიაში ავტორის **“წარმოდგენების ბუნდოვანობის”** დასამტკიცებლად დასჭირდათ. მათ წარმოდგენაში კი ეს **“ბუნდოვანობა”** (“თვალნათლივ და არა ბუნდ-ბინდ-ბუნდოდ”) იქიდან ჩანს, რომ თურმე **“...სრულიად შეუძლებელია დ. ბლუმფილდისა და დ. უზნადის თეორიების დაკავშირება ერთი მაგალითის განხილვის დროს (რადგან ვ. ი.) დ. ბლუმფილდი ბიპევიორიზმის მომხრე ენათმეცნიერია, მაშინ როდესაც დ. უზნაძე ორიგინალური ფსიქოლოგიური თეორიის ავტორია...”**

არა, ცალი თვალით მკითხველმა შეიძლება გასაკვირი რომ ბგერის ამოკითხვის წაკითხვულიდან, მაგრამ ეს იმდაგვარი საოცრებაა სჯობდა ისიც მოეწკურ-მოეჭუტა და ისე წაკითხა (ანუ გააზრებით წაკითხა). აბა, ვაგონილა კაცო, ბიპევიორიზმის, ბლუმფილდის, უზნადის — ყველა ამათი თეორიების საფუძველი ქცევის კვლევით მიღებულ ცოდნას ეფუძნება. განსახილველი მაგალითიც ქცევის ეძღვნება და, უცხად, ერთურთთან და ქცევის მიღვნილ მაგალითთან ამ თეორიების დაკავშირება შეუძლებელია. ეს მაშინ როცა, გაანჩია რა შედეგით, თორემ დაკავშირება ცეცხლისა წყალთანაც კია დასაშვები.

არა, ფსიქოლოგი ამას არ დაწერდა. მეონია, ფსიქოლოგთა ამ შენიშვნაში შეცდომბა: ნაუფილდისმეევა გაიფიქვბა, დაწერილია – დაკავშირება. ავტორისეულ წინადადებაში – **“ახლა კი განვიხილოთ ბლუმფილდ-უზნადის განწყობით გაშუალებული სტიმულ-რეაქციის (შორ) მაგალიტი”**. ნაუფილდისმა შეიძლება იფიქროს ბლუმფილდისა და უზნადის თანაბრად ორივესია ფორმულა **შორ** (სტიმული-განწყობა-რეაქცია). და ეს იმტომა რომ ბეჭდვისას, **“სტიმულ-რეაქციის”** შემდეგ, გამოჩენილია – **შდ** და. მაგრამ ფსიქოლოგი, მით უფრო ჩახედული, ამ შეცდომას ვერ მიხვდებოდა და იკმარდა მას ავტორის წარმოდგენების გაბუნდოვნებისთვის? მით უმეტეს, რომ დამატების მე-9 გვერდის პირველსავე აბზაცებში, როცა სახელწოდება მიცევილთა დავაწეს ვვხვებით, ბლუმფილდ-უზნაძეზე აი რას ვწერ: **“...ბლუმფილდის სტიმულ-რეაქცია... უზნაძემ განწყობით გააშუალა: “შდ-შორ”... (ვაგრძელება იქნება)**

ამის შემდეგ კი თითქოს მათ იგივეობას ვეულისხმობდი, აბსურდულია და ჩემი წარმოდგენების **“გაბუნდოვნება”** სამწუხაროდ, ვერ ხერხდება. უფრო მეტიც, თავად ეს ერთადერთი შენიშვნა და სხვა დასკვნება ბუნდოვანი.

ფსიქოლოგიაში ავტორის **“წარმოდგენების ბუნდოვანობა”** კიდევ იქიდანანა ნათელი, რომ, თურმე, **“...ფილოგენეზში...”** ავტორის ნააზრები ნებისმიერია და დაუსაბუთებელი, რაც შეეხება აზროვნებისა და მეტყველების განვითარებას ონტოგენეზში, მრავალმხრივია შესწავლილი... ჯ. პიაჟეს და ლ. ვიგოსტკის მიერ...

**“ფილოგენეზში”** ავტორის ნააზრები ნებისმიერია და დაუსაბუთებელი? ბატონებო, როგორც ვხედავ, მეტყველების ბიოგენეზურ კანონზე კვლავ მთლიანად ერთი თავი გამოგრჩენიათ (იხ. დამატება გვ. 12-17 (იხ. პურნ. „აბი“ 2(14) გვ. 68-73). იქ არის ახსნილი ერთი ზოგადკატორიული ენათმეცნიერულ-ანთროპოლოგიური პრობლემა – თუ რატომ წყალსატვეთა მიმდებარე ტერიტორიას პირი ეწოდება. მაგ. რუს. **“შსტიმ რპი”** ქართ. ზღვისპირი და ა. შ. ვინაიდან საქმე სახელდება ეხება, ცხადია, ეს საკითხი ენათმეცნიერულია, მაგრამ იგი ზოგადანთროპოლოგიურიცაა, რადგან უძველესი წინაპრების ცხოვრების წესითა და მასთან დაკავშირებულ მოაზრებებითაა განპირობებული. (თქვენგან ასეულეობით ამგვარი მაგალითების ფსიქოტრანსფორმაციებია ნიშილისტურად იზოტირებული). პირველყოფილი ჯოგი ხომ, უსშირესად წყალსატვეთა ნაპირას ბინადრობდა, იქვე თევზყულით იკვებებოდა და, ამიტომ, თევზყულად, წყალსატვეთა და მის ნაპირს ერთიანად საკვებად აღიქვამდა. ეს უკანასკნელი (საკვებად) ასევე ასოცირებული იყო კვების ორგანო – პირი-ს მოაზრებასთან იხ. (“გ. თ.” ვ ბგერა). ამიტომაც სახელდება ნაპირისა – პირი ბუნებრივია.

ფილოგენეზში ამ მოვლენების რეალობას ამტკიცებს ონტოგენეზში, ფსიქოლოგიაში დამტკიცებელი ფაქტი, რომ მეტუქური ბავშვის წარმოდგენაში დედა, დედის ძუძუ, რძე ერთიან წარმოდგენაშია. ყოველივე ამის გამო კი, უცხადვსია, რომ ფილოგენეზში მეტუქურობისა დედა, დედის რძე, ძუძუ; მოზრილობისას – ცხოველთა ჯიქნები და მათგან გამოწევილი რძე და წვალი, რომელიც ასევე წყალსატვეთა შეიწოვება და ამ მოვლენათა თანმდევი წ... წ... წ... ხმანობები ასოცირებულ წარმოდგენაში არიან. აქედან კი უტყუარად მტკიცდება: წოვის წ... წ... ხმანობებში, რომელი პროცესის წ ბგერის თავისთავადი წარმოქმნაცაა, ნიშნადობა იმანენტურადაა ჩადებული.

აი, რა უზუსტესი დასაბუთებებია, თქვენ კი – **“...დაუსაბუთებელი, არავითარი სიახლე...”** თუ ამგვარ პრობლემათა ასხნა სიახლე არაა, მაშ, რაა სიახლე?

სწორია ფიზიოლოგთა და ბიოლოგთა დასკვნა: შემდგომი შესწავლის მიზნით, ნაშრომი ვიწინად გამოიცესო. იგი ხომ აბსოლუტურად დაუფუძნებელია.

ამ თქვენგან წაუთხიხავად დარჩენილ ქვეთავში (იხ. გვ. 12, 17), სხვა ფაქტებსა და ფაქტორებს რომ თავი დავანებოთ, სტანდარტული ფურცლის ხუთ გვერდზე ცხრა პუნქტი მხოლოდ ფაქტებისთვისაა განკუთვნილი. თანაც როგორი ფაქტებისთვის: აქცენტ, ნასახი, ვოცენტიური მეტყველება, პერსპექტივა და ა. შ. გამოყენებულია ონტოგენეზში ბავშვთა ასაკის პერიოდიზაციის პერიოდებისთვის დამახასიათებელი მეტყველების ფილოგენეზში მათდამი მკაცრად შესატყვისი მის სტადიების არსებობის დასამტკიცებლად. დიდად პატივცემულნი, თქვენი სიტყვებია: **“პრობლემის ავტორისეული გადაწყვეტის მართებულობა საბოლოოდ ფიზიოლოგებმა უნდა შეაფასონ”**–ო. ფიზიოლოგებმა და ბიოლოგებმა კი, აი, რა ბრძანეს: **“...ავტორის მსჯელობა ადამიანის მეტყველების დაუფლების ასაკოვანი ხარისხების შესახებ, საკვებით სამართლიანა”**–ო. თქვენ ამ სამართლიანობის ავტორად ვინ პიაჟე მიგანჩიანთ, მაგრამ მისი კვლევის ობიექტი ინტელექტის გენეზისი – მისი სიტყვებით გენეტიკური ეპისტემოლოგიაა და არა ბგერითი მეტყველება, რომელსაც, როგორც საწყისს, სამწუხაროდ, საერთოდ არ ცნობდა.



# სამებროს ღირსეული შვილები



პაატა ქურდოვანიძე მის მიერ 2008 წელს გამოცემულ საუცხოო წიგნი „ქართულ-აფხაზური ალბომი“ (ეს წიგნი ქართველ-აფხაზთა უახლოესი ნათესაობის ძვირფასი მატარებელი) თავის სახელოვან, არაფრის გამო ნაწამებ წინაპარზე წერს: „შეძრწუნებულ მეზობლებს იმის ნებაც არ დართეს, რომ იგი ქრისტიანული წესით დაესაფლავებინათ. კოკისთან თანშეზრდილ სიყრმის მეგობრებს ღამით, მალულად, ცხედარი მოუპარათ და მამისეულ საძვალეში დაუკრძალათ“.

ამ უაღრესად მნიშვნელოვან, დახვეწილი გემოვნებით უხვად ილუსტრირებულ ალბომში მთელი გალერეა ავბედით ოცდაოთხ წელს განუკითხავად დახვეწილი უკეთილშობილესი ადამიანებისა, საქართველოს სინდისსა და მშვენიერს რომ წარმოადგენდნენ.

ერთი მათგანი იყო ყოვლად ღირსეული თავადი გიორგი ჩიჩუა, ვისი პირმშვენიერი ასული ნუცა ჩიჩუა ცოლად გაჰყვა მუშნი დადიანის მეგობარს, მდიდარ მენარმეს, სილამაზითა და ვაჟკაცობით ყველასგან გამორჩეულ, ცნობიერებითა და ცხოვრების წესითაც ქართველს ასტამურ ინალ-იფას, რომელიც მხოლოდ არისტოკრატიული წარმოშობისა და მდგომარეობის გამო დახვერტეს. ასტამურ ინალ-იფამ არნახული სილამაზისა და თვით მდიდრებისთვისაც მიუწვდომელი ფასის სამკაული მთავრად ძღვნად პატარძალს. მათ ქორწილში თვითონ დედოფლის, ნუცა ჩიჩუასა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის ცეკვა „ქართული“ ლეგენდად დარჩენილა (ქაქუცაზე, როგორც შეუდარებელ მოცეკვავებზე საგანგებოდ წერს ქალბატონი ბაბო დადიანი). ნუცა ჩიჩუას ხმაც საუკეთესო ჰქონია, ზღაპრულად უმღერია რუსული და ბოშური რომანსები თავის ქორწილში.

ამ სწორუპოვარი წყვილის გაუბედურების ამბავს ისევ პაატა ქურდოვანიძის შესანიშნავი წიგნიდან ვიგებთ:

„დიდხანს არ გაგრძელებულა ასტამურ ინალ-იფას ოჯახური ბედნიერება. 1924 წელს მას დახვერტა მიესაჯა. განაჩენი სისრულეში ბათუმში იქნა მოყვანილი. ნაწამები აფხაზი ვაჟკაცის ნეშტის მშობლიურ ოჩამჩირეში გადმოსვენება დიდ საფრთხესთან იყო დაკავშირებული. მაგრამ ეს საქმე ასტამურის მეგობრებმა, თავად ხელისუფლებისგან დევნილმა, უშიშრობითა და შეუდრეკლობით ცნობილმა — გუჯუჯ მარლანია, დავით მხეიძემ და ვარლამ ჩიქოვანმა ითავეს. ცხედარი ოჩამჩირეში უჩუმრად ჩამოასვენეს და საგვარეულო ძვალთშესალავს

მიაბარეს. ხელისუფლებისთვის ასტამურის საფლავის ადგილი უცნობი დარჩა“.

ამით ყველაფერი არ დამთავრებულა. ნუცა ჩიჩუას მამა და დახვერტილი ასტამური ინალ-იფას სიმამრი, საკუთარი საცხოვრისიდან გამოსახლებული და სოფელ შხეფში, დასთან შეხიზნული 86 წლის მოხუცი გიორგი ჩიჩუაც არ დაეინყებიათ; 1924 წლის შემოდგომაზე მის დასაპატიმრებლად დამსჯელი რაზმი გაუფხავნიათ. ჯალათები ჩაცმას არ აცდიდნენ კეთილშობილ, ჭკუასაკითხავ პიროვნებას:

„რაში გჭირდება ჩოხა, უმაგისოდაც დაიხვერიტებო“. გამოაგნებელი და ყველასგან დასამახსოვრებელია უცოდველი მსხვერპლის პასუხი. ასეთი რამ მხოლოდ რომელ ბრძენს, სტოიკოსს შეეძლო ეთქვა: „ახალგაზრდებო, მამაკაცი სიკვდილსაც ღამაზად უნდა შეხედვს!“ ამის მერე აუღელვებლად დაუწყია ღილ-კილოების შეკვრა.

პაატა ქურდოვანიძემ მიიხრა, ჯალათს, რომელმაც ასეთ მოხუცს ორი ტყვია დაახალა, მთელი ოჯახი ამოუწყდა, თვითონ კი, ყველასგან მოძულეული, ზეზეურად დაღუპაო.

ასტამურ ინალ-იფას და ჩიჩუების ტრაგედიის ამსახველი მონაკვეთი ხსენებულ

ცდილობდა აფხაზეთის, ამ ისტორიულად ქართული კუთხის საქართველოდან ჩამოშორებას. ეს მომაკვდინებელი საშიშროება იგრძნო მხურვალე, თავდადებულმა მამულიშვილმა ბოდლო ემხვარმა (იგი გახლდათ კონსტანტინე გამსახურდიას საუკეთესო რომანის „მთვარის მოტაცების“ მთავარი გმირის, თარამ ემხვარის პროტოტიპი) და 1917 წელს განაგების ზარი შემოჰკრა, დაუფარავად ამხილა სახედაკარგული არაკაცები: „...თვითონ უკვე გადაგვარებულან და სხვებსაც ურჩევნ საქართველოს ჩამოშორებას და უცხო ქვეყნის მიკედლებას, რადგან ესენი ეროვნულ წმინდა წყალში განგებ ისვრიან ტალახს, რომ წყალი აამღვრიონ და ეს მღვრიე წყალი თავის სასარგებლოდ გამოიყენონ.“

ამ მიზნით, ნამდაუნუმ ხალხში დაძრწინა და ეროვნულ შუღლს, მტრობას და სიძულვილს სთესენ...“

ბოდლო მელიტონის ძე ემხვარიც გვანჯი ჩიქოვანის ბიძაშვილი იყო, ნიკოლოზ ემხვარის, უჯუშ ემხვარ პროტოტიპის უფროსი ძმა; მან რუსულ ენაზე თარგმნა „მთვარის მოტაცება“. მისი ცხოვრებაც, როგორც ღირსეულ ინტელიგენტს შეეფერებოდა, საბჭოთა ხელისუფლების ხელში ტრაგიკულად დამთავრდა. პაატა ქურდოვანიძეს მო-

რომანისა („ჯადოსნური მთა“), როდესაც მთავარი გმირი ჰანს კასტორფი (იგი ჩემი უსაყვარლესი ლიტერატურული პერსონაჟია) შვეიცარიის მაღალმთიან კურორტზე ადის, იქ მყოფს მოულოდნელად ტუბერკულოზი აღმოაჩნდება და სანატორიუმში კარგა ხანს მოუწევს სამკურნალოდ დარჩენა.

ეს მინიშნება ალბათ იმანაც განაპირობა, რომ ჰანს კასტორფი და ქაქუცა ჩოლოყაშვილი ერთი ეპოქის შვილები იყვნენ, მოესწრნენ თავიანთი დროის სასტიკ, სისხლისმღვრელ ომს და ორივეს სპეტაკი, რაინდული სული ჰქონდა.

ამ რამდენიმე ხნის წინათ (2007 წ.) ჩვენი სასიქადულო პოეტის იოსებ ნონეშვილის ვაჟის, ალექსანდრე ნონეშვილის რედაქტორობით (შესავალი, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ოთარ ჯანელიძემ) გამოვიდა მეტად საჭირო და სასარგებლო წიგნი „სპირიდონ კედია (მასალები პირადი არქივიდან)“, რომელშიც მრავალი მხრიდან ვეცნობით მუშნი დადიანის სიყრმის მეგობრის შინაარსიან და სპეტაკ ცხოვრებას.

ჩემი ყურადღება განსაკუთრებით მიიქცია 1924 წელს დაჭერილი და შემთხვევის წყალობით გადარჩენილი კაპიტან გუჩუაძის რუსულად დაწერილმა (მასში, სამწუხაროდ, უამრავი კორექტურული შეცდომა გაპარულა) მოგონებამ, სადაც დასახვერტად გამოზადებული პატიმრების უსამილესი ყოფაა აღწერილი.

1924 წლის აგვისტოს აჯანყებაზე, სხვადასხვა დროს მრავალ მასალას გავეცანი, ბევრი რამეც მოსმენილი მაქვს. ვაპირებდი მოზრდილი ნარკვევის დაწერას, მაგრამ ამჯერად ამ განზრახვას ვერ ვასრულე. მხოლოდ ზოგიერთი ამაზრუნევი შემთხვევის დამონებებს დავჯერდები.

ბატონი პაატა ქურდოვანიძე ყოველთვის დიდი მადლიერების გრძნობით ასხენებს ხოლმე მუშნი დადიანის შვილიშვილს დალი დადიანს, ვინაც თავის ბაბუასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი მასალების უმრავლესობა გადასცა. ასეთსავე მადლიერებას გამოხატავს იგი ოთარ დადიანის შვილიშვილების — ქალბატონ ბელა თოფურასა და ბატონ თენგიზ დადიანის — მიმართ, რომლებმაც ყოველმხრივ შეუწყვეს ხელი, როცა „ქართულ-აფხაზურ ალბომზე“ მუშაობდა, მისაოდეს იშვიათი ფოტოები და წერილები.

შავხალათიანი მუშნი დადიანი (მისი ხატის ერთი ფოტოსურათიდან ჩამრჩა მესხიერებაში) არ შორდებოდა ჩემს შინაგან მზერას, თითქოს რაღაცას მთხოვდა და შემოდგომის იმ ნაღვლიან საღამოს (2010 წლის 20 ოქტომბერი), აწრიალებული სულიდან თავისთავად გადმოიღვარა ეს სტრიქონები:

**მელანდებიან ვაჟკაცი ქუშნი. იმათგან ერთი შუბლს, მალაღს, მუშნის. მალე მოცელავს ჯალათის ტყვია, ვხედავ შავ ცხენზე დადიანს, მუშნის.**

საქართველოს ახალ ისტორიაში, ჩვენი ხალხის ცნობიერებაში ორივე ძმა აღიქმება როგორც ქართლის ცხოვრებიდან ლეგენდად დარჩენილი და ჩვენი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული, გმირობის უჭკნობი სიმბოლოს — ცოტნე დადიანის სისხლისმთავარი, გაუტყველ რაინდებად დარჩენილი შთამომავლები.

ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, გაივლის არც ისე დიდი დრო და დაიწერება საქართველოსთვის ზვარაკად შეწირული ორი ძმის — მუშნი და ოთარ დადიანების — გმირული, მწუხარე საგა. ასეთი წიგნი ჰაერივით სჭირდება ათასი განსაცდელის წინაშე მდგარ ჩვენს სამშობლოს, რომელსაც ასალოძინებლად, ვიდრე არ მომძლავრდება და კუთვნილ საზღვრებში არ აღსდგება, თავის ნამდვილ სახეს არ დაიბრუნებს, წინ დიდი და ძნელი გზა უდევს.

**ემზარ კვიციანი**  
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

## მუშნი დადიანი — სამშობლოს შვირული რაინდი

ალბომში ასე ღამაზად და სევდიანად მთავრდება:

„იმავე წელს, აფხაზეთის იძულებითი დატოვების წინ, მგლოვიარე ნუცა ჩიჩუამ მეუღლის ნაჩუქარი სამკაული შავი ზღვის ტალღებს მიანდო...“

ეს ამბავი მისებური ოსტატობით გამოიყენა მუშნი დადიანის სიყრმის მეგობარმა, ჩვენმა დიდებულმა მწერალმა ლეო ქიჩუელმა თავის მეორე ბრწყინვალე ქმნილებაში „თავადის ქალი მათა“.

ალბომის იმავე გვერდზე დაბეჭდილია ასტამურ ინალ-იფას უიშვიათესი და ამდენადვე პოეტური ფოტო. მალაღს, თავდახრილს, შავი ჩოხის კალთები ზურგს უკან გადაუხვეია. ჩექმებში ჩატანებული თეთრი გალიფე უჩანს და დაფიქრებული ჩასცქერის იმ ზღვის მოთამაშე ტალღებს, სადაც მისმა სიგჟემდე საყვარელმა მეუღლემ მისგანვე ნაჩუქარი ზღაპრული ყელსაბამი მოისროლა. ეს არის ამქვეყნიური ამოვების დაუვინყარი ხატი.

ამ სურათთანვე მოთავსებული მუშნი დადიანისადმი 1914 წლის 19 თებერვალს ასტამურ ინალ-იფას წერილის სამგვერდიანი ფოტოასლი, ქართულად დაწერილი. ბარათი ასე იწყება: „ძმაო მუშნი! გისურვებ დღევანდელ ბედნიერებას ძვირფასი თქვენი ცოლ-შვილისთვის“. იქვე მალაღსას უხდის მეგობარს განუღებელ დახმარებისათვის. წერილი ისე მთავრდება, როგორც ნამდვილ რაინდს, კეთილშობილს შეეფერება: „ანი ნახვამდის. კნინას ხელზედ ვკოცნი დიდის სიყვარულით. შენი ძმაი ასტამური“.

სიმბოლურია, რომ ერთმანეთის ასე მოსიყვარულე ვაჟკაცები ერთდროულად გამოესალმენ ნუთისოფელს.

აფხაზეთის არისტოკრატიის განადგურების შემდეგ (მათი აღზრდა, ფსიქიკა, მენტალიტეტი, უკანასკნელი მთავრის, მიხეილ შარვაშიძიდან მოყოლებული და მანამდეც, ქართული იყო) მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. ჯერ კიდევ გასული საუკუნის ათიან წლებში აფხაზეთის თავად-აზნაურობამ დეპუტაცია გამოგზავნა თბილისში.

მერე და მერე თავი იჩინა მოღალატურმა ტენდენციამ. ბევრი გადაჯიშებული პიროვნება საქართველოს წინააღმდეგ სწევდა მომწამველ აგიტაციას, ყოველნაირად

აქვს პროფესორ ვალერიან ზუხბაიას მოგონება ამ დიდებულ პიროვნებაზე. მე მხოლოდ ბოლო აზრები ამოვიწერე:

„1942 წელს ბოდლო ემხვარი, როგორც ქართველი ნაციონალისტი, დაიჭირეს, ამბობდნენ, მას ძალიან დამამცირებელი წინადადებები შესთავაზეს, რასაც მან თვითმკვლელობა არჩია, „ჩეკას“ მაღალი შენობიდან გადმოხტა და დაიღუპა“.

ძნელია აღწუსო ძალმომრეობის ყველა მსხვერპლი, რაც თუნდაც მხოლოდ პაატა ქურდოვანიძის ალბომშია დასახელებული.

ცნობილმა პუბლიცისტმა რევაზ კვერენჩილაძემ ახლახან გამოსცა საბჭოური რეპრესიების მამხილებელი წიგნი „საბუთები ღალატებზე“, რომელშიც დიდძალი დოკუმენტური მასალაა თავმოყრილი.

ჟურნალისტმა პაატა ნაცვლიშვილმა უთუოდ საშვილოშვილო საქმე გააკეთა, როცა ასე უპატრონა ქაქუცა ჩოლოყაშვილის კუბოს კარამდე უერთგულეს მეგობარს, ემიგრაციაში მცხოვრებ ალექსანდრე სულხანიშვილს, ყველაწარადა შეუწყო ხელი მის დაბრუნებას სამშობლოში, სადაც მალევე აღესრულა. მანვე ითავა მოზრდილი წერილი დაერთო და წიგნად გამოეცა უნიკალური დოკუმენტური ცნობების შემცველი ალექსანდრე სულხანიშვილის „მოგონებები შეფიცულთა რაზმზე“, რომელმაც ნათელი მოჰფინა 1924 წლის აგვისტოს აჯანყების ბევრ ბუნდოვან საკითხს. აღნიშნული წიგნი საგულდაგულოდ მაქვს დამუშავებული, მაგრამ აქ ვერ ხერხდება მასზე საფუძვლიანი საუბარი.

როსტომ ჩხეიძეს ქაქუცა ჩოლოყაშვილზე დაწერილ თავის ერთ-ერთ საუკეთესო რომანში „შავი ჩოხა“ (ამ წიგნის დაწერას ამავე სათაურით, როგორც უღვთოდ ნაწამები მწერლის უბის წიგნაკი გვამცნობს, თურმე თვით მიხეილ ჯავახიშვილი აპირებდა) ძალზე ოსტატურად, მაღალმხატვრულად აქვს გადმოცემული ჭლებქორეული, დაუძღვრებული ჩვენი ეროვნული გმირის მძიმე განცდები ბელგის მთიან კურორტზე, სადაც იგი თვისტომებმა გაგზავნეს სამკურნალოდ.

შეიძლება ზედმეტად შორეული პარალელი იყოს, მაგრამ ამ ადგილმა მომაგონა პირველი ეპიზოდები თომას მანის უძლიერესი

# სპელეოლოგიური აღმოჩენები სენაკში



XX საუკუნის გარეგანულად დიდმა ილია ჭავჭავაძემ ბრძანა: **“ჩვენ არ ვიცით, სად რა სიმდიდრე ძველსა, სად რა განძია, არ ვიცით, საიდან რა ამოვიდეთ, რა ხერხითა და რა სახით ამოვიდეთ, რომ ჯაფაც ადვილი იყოს და ნაყოფიც ბლომად. ცოდნის გარეშე დღემდე თავის უხვსა და დაუხარბებელს გულს არ გადაავისნის, ისე უხვად არ მოგვაბარებს”.**

სწორედ ილია ჭავჭავაძის ამ სიტყვებმა მიბიძგეს დამეწყო ეკის მთაზე არსებული უფსკრულების, მღვიმეებისა და გამოქვაბულების მოძიება და შესწავლა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე სწავლისას მსურდა (გარდა ენების შესწავლისა) ისეთი საქვეყნო საქმის გაკეთებისათვის მომეხდინა ხელი, რომელიც მეც გამომადლებოდა და ქვეყანასაც. ამ მიზნის ხორცშესხმულად თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ხშირი სტუმარი გახდით და დაიწყო ჩემი ინტერესის სფეროში შემავალი წიგნების (გეოლოგიის, გეოგრაფიის, სპელეოლოგიის) განხრით არსებული ლიტერატურის კითხვა. ბოლოს არჩევანი სპელეოლოგიაზე შევიჩინე, რადგანაც ჩემი წინაპრებისა და მშობლებისაგან ეკის მთის კირქვული მასივის მიდამოებში უფსკრულების, მღვიმეებისა და გამოქვაბულების შესახებ ბევრი საინტერესო ამბები მქონდა მონასშენი, თანაც კარგად ვიცოდი, რომ საბჭოთა ხელისუფლება აღპინისტურ სპორტს, როგორც სამხედრო დანიშნულების მქონეს, დიდ ყურადღებას უთმობდა, ვიდრე სპელეოლოგიურს. იგი ბედის ანაბარად იყო მიგდებული. მღვიმეში მანამდე მხოლოდ ორჯერ ვიყავი ნამყოფი. პოლონეთში მოგზაურობისას კრაკოვის მიწისქვეშა მარბლის მღვიმეში

ნანახმა სილამაზემ მაშინ დიდი შთაბეჭდილება მოახდია ჩემზე. ჩემი სპელეოლოგიური ცოდნის ამდლების და მისდამი ინტერესის გასაღვივებლად გადავწყვიტე კარგად შემესწავლა ფრანგი, იტალიელი და ქართველი სპელეოლოგების: ედუარდ მარტელის, კასტეროს, ზურაბ ტინტილოზოვისა და სხვათა ნაშრომები – **“ათი წელი მიწის ქვეშ”, “30 წელი მიწის ქვეშ და მდინარეებსა და უფსკრულებში”** და სხვა...

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო სენაკის (ცხაკიას) პარტიკომის ინსტრუქტორად. სწორედ რაიკომში მუშაობის დროს მიმამაგრეს სოფელ ეკის **“გამარჯვების”** სახელობის კოლმეურნეობაში სიმინდის მოსავლის დროულად აღებისა და დაბინავების საქმის ხელშეწყობისათვის. ჩემი სპელეოლოგიური იდეების ხორცშესხმაც აქედან დაიწყო. სამამაგრებლო დავალების შესრულების დროს ვსარგებლობდი ამ კუთხის მცხოვრებებთან სიახლოვით, ვაცნობდი მათ ჩემს სპელეოლოგიურ გატაცებას და თანაც ვეკითხებოდი მათ, ვინმემ ხომ არ იცის რამე, ან ხომ არ სმენიათ რამე ეკის მთაზე არსებული უფსკრულების, მღვიმეებისა და გამოქვაბულების შესახებ. გაირკვა, რომ მათ იცოდნენ მღვიმეთა არსებობის შესახებ, მაგრამ აღვიღმდებარებოდა ინფორმაცია არ გააჩნდათ. მათი თქმით, მღვიმეების აღვიღმდებარეობის კარგი მცოდნე ყოფილან მეტყვევ სამსონ კეკუა, იროდი, ტარიელ და ალიოშა ჩიქობავები და არტემ ნინუა. მათი დახმარებით მივალწვი ეკალ-ბარდებით, ლიანებითა და გვიმრებით დაფარულ უფსკრულებს, მღვიმეებსა და გამოქვაბულებს.

უფსკრულების დათვალიერებამ ძალიან გამაოცა – გიგანს უფსკრულის ხახა 40-36 მეტრია, ოკარკალეშის – 34 მეტრი, უსახელო (შემდგომში მურმან ბოჯაგუას სახელობის) უფსკრულის – 3-3 მეტრი, ოღუშის უფსკრულის – 4-6 მეტრი. ამ უფსკრულებში ნაგებებული ქვის ხმაური 3,3-3,5 წამის შემდეგ ისმის. ეს იმაზე მიუთითებს, რომ უფსკრულის სიღრმე დაახლოებით 300-400 მეტრია. მე მაშინ კოლხეთში უდიდესი აღმოჩენის წინ დავდექი. თავს უბედნიერესად მივიჩნედი. თითხ უფსკრული ერთ-მანეთისაგან 3-4 კილომეტრითაა დაშორებული. ეკის მთა ზღვის დონიდან 410 მეტრია. ამ მთის ზედაპირის კირქვული მასის კვლევის დროს აღმოჩნდა, რომ აქ ძაბრის მსგავსი 300-მდე ორმოა, რომელთა ხახა 40-80 მეტრია, მათი ძირი კი 10-15 მეტრი. ამ მთის აღმოსავლეთის მხარეზე ერთი მოზრდილი ტბაა, რომელსაც აქაურები ფართო წყაროს ეძახიან, ზოგიერთები კი – გიგანს ტბას. იგი ზღვის დონიდან 400 მეტრზეა. ტბის სანაპიროზე ჭაბურღილის გაკეთების შემდეგ იგი ნახევრად დაშრა. 10 მეტრის წყლის დონემ 3 მე-

ტრამდე დაიწია. ბუნებრივად, კოლხეთის დაბლობი ძალიან ტენიანია. აქ ხშირად კოკისპირული წვიმები იცის. ჩემი დაკვირვებით, 300-ვე ორმო წყლით უნდა ყოფილიყო სავსე, ისე, როგორც გაგიანს ტბა, მაგრამ მიუხედავად კოკისპირული წვიმებისა, ყველა ცარიელია. ისმება შეკითხვა: სად იკარგება წყალი? ამისთვის დაიწყო მთის ქვედა წრეწირის შესწავლა: გაირკვა, რომ მთის ირგვლივ ფუძის წრეწირზე 13 წყალუხვი მდინარე გამოედინება – ჩრდილოეთის მხარეზე – 6, სამხრეთის მხარეზე კი 7. მათ შორის – მთის ჩრდილოეთ მხარეზე – 2 და სამხრეთისაზეც – 2 შადრევანი ამოწუნებულია. წყლის სათავეებთან არის მღვიმეებიცა და გამოქვაბულებიც. ესენია: **მენათმს, მინჯის, ოთხთმს, სახარბაილოსა და კმარჯალის**. მღვიმეთა სიღრმე 30-50 მეტრია, ზოგის უფრო მეტი. მათში შესვლა შეიძლება წყლით, მყვინთავის სკაფანდრით, ასევე პიტალო კირქვოვან კლდეში წყლის მიერ გამოჭრილ ვიწრო მშრალი შახტით, რომელთა სიღრმე 7 კილომეტრია.

ხეობსენებული მღვიმეებისა და გამოქვაბულების შესწავლისას მენათეს გამოქვაბულში ჩვენს მიერ აღმოჩენილ იქნა პალეოლითისა და მეზოლითის ხანის ქვის შრომის კარგად დამუშავებული იარაღები: ქვის ხელცეული (2 ცალი), ქვის წვეტიანი ხელშუბი, ქვის წვრილი ბადრო, აგრეთვე, ცხოველის გაქვაებული ძვალი და კბილები.

ამ აღმოჩენების შემდეგ სენაკში შევექმენი მოხალისეთა სპელეოკლუბი **“ოქროს აკვანა”**. ჯგუფის ხელმძღვანელი გახდა იგორ ბოჯაგუა, წევრები – ექიმი სპელეოლოგი მურმან ბოჯაგუა და სპელეოლოგი სპორტსმენი სოსო რეკვაია. სოსო რეკვაიას გარდაცვალების შემდეგ სპელეოკლუბში მიღებული იქნა ახალი სპელეოლოგები ირაკლი ცხიკვაძე, ლევან შონია, გოდერძი და ვიზო ბოჯაგუები.

ჩემი აზრით, მსოფლიო მნიშვნელობის მღვიმის აღმოჩენის შესახებ საუბარი არაფერს ნიშნავს, თუ მისი შიდა სამყაროს – დარბაზების, ჩანჩქერების, ტბების და ამ დარბაზებში სტალაქტიტების, სტალაგმიტების, კელიტიტებისა და ნაღვეთების შესახებ არ გვექნება ფოტო და ვიდეომასალები და სპეციალისტთა დასკვნები. წყლის დინების მიმართულებით აღმოჩენილი დარბაზების, ტბებისა და ჩანჩქერების დაახლოებით არქიტექტურული ნახაზები ჩვენს მიერ შედგენილია.

სპელეოლოგიური სათანადო მომზადების შემდეგ, 1975 წელს, დაიწყო მზადება გაგიანს უფსკრულში ჩასასვლად. სპელეოლოგიური აღჭურვილობა ვერც თბილისში და ვერც მოსკოვში ვერ ვიშოვეთ. თბილისის ალპინისტების კლუბში მხოლოდ თოკის კიბეებით დავგასაჩუქრეს.

გადავწყვიტეთ შეგვეძინა მამაკაპისეული სპეციალური იარაღები – ურმის ბორბალი თოკით და ტროსით (მას ჭის თხრისას იყენებენ სამკვერელოში).

იმ პერიოდში მე ვმუშაობდი სენაკის კინოფიკაციისა და კინოგაქირავეების გაერთიანების დირექტორად. წარმოებაში მყავდა უახ-469 და გახ-69 ტიპის ყველგანმავალი ავტომატური და მქონდა 4 ცალი აგრეგატი მოძრავი კინოდანადგარებისათვის. სინათლის ასეთი მძლავრი წყაროებით შეიძლებოდა მღვიმის დარბაზების პროექტირებით განათება. ეს სიახლე სპელეოლოგებში ჩვენ შევიტანეთ. გარდა სინათლის ასეთი წყაროსი, სპელეოლოგს უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი სინათლის წყარო და მეშახტის უსაფრთხო აღჭურვილობა.

სპელეოლოგებისათვის საჭირო უსაფრთხოების ტექნიკური აღჭურვილობის სათხოვნელად **“ოქროს აკვანის”** წევრები და კინოფიკაციის მთავარი სპეციალისტები – ვინორ ჭელიძე, სერგო მურდულია, არსენ ოგანესიანი და მე – ვეწვიეთ ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მმართველს ბატონ მიხეილ აფაქიძეს. გაგაცანით ჩვენი ჩანაფიქრი და ვთხოვეთ გადმოეცა დროებით სარგებლობაში მეშახტის ტექნიკური აღჭურვილობა. ბატონმა მიხეილმა ჯერ 500 მეტრის სიღრმის შახტში ექსკურსიით გაგავსიერა, შემდეგ კაცხის რესტორანშიც გვაქეფია და 8 ცალი მეშახტის ტექნიკური აღჭურვილობა – სამაშველო თოკებთან ერთად, გვანუქა. ჩვენი გათვლებით, მარტო მეშახტის ინდივიდუალური ტექაღჭურვილობით გაგიანს წვეარამში (უფსკრულში) ჩასვლა სასიხვითო იყო და არ ხერხდებოდა. საჭირო იყო 500 მეტრის კაპრონის თოკისა და ტროსის შექმნა. სენაკის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის დირექტორმა ბატონმა გ. აბშილაშვილმა 500 მეტრი აბრეშუმის თოკი ჩაწერა და გადმოგვცა. 500 მეტრი ტროსი ფოთის კავშირგაბმულობის განყოფილების დირექტორმა ბატონმა თ. ადამიამ გვანუქა. სავსე ტელეფონი, 700 მეტრ კოჭზე დახვეული კაბელით, სამართავ პულტთან ერთად, სენაკის სამხედრო ბაზაში დისლოცირებული საბჭოთა ჯარების სარდალმა ლებედაშვილმა გვისახსოვრა. მყვინთავის მსუბუქი კოსტუმები, 2 ცალი ჟანგბადის ბალონი, ფოთის წყალქვეშა ნაგების დივიზიონის ვიცე-ადმირალმა ვგათხოვა. 4 ცალი პროექტორი ქალაქ სენაკის განათების სამსახურის უფროსმა ბატონმა თ. ჩარგაზიამ დროებით სარგებლობაში გადაგვმოგვცა.

**იბორ ბოჯაგუა, აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსი, ქალაქ სენაკის VII საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი, საქართველოს შურნაღისტა კავშირის წევრი, სპელეოლოგი (გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

## ვუერთდებით

საზოგადოება “აბაშელი” უერთდება **“ღია წერილს საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისადმი”, რომელშიც ავტორები მოითხოვენ თბილისის აეროპორტს მიენიჭოს საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სახელი. ასევე, ვინაიდან 75 წელი სრულდება ორი ეროვნული გმირის ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას დაბადებიდან, მოახდინოს ინიცირება პარლამენტის წინაშე, 2014 წელი 31 მარტიდან გამოცხადდეს ზვიადის და მერაბის წლად.**

საზოგადოება **“აბაშელი”**

სახალხო მოძრაობა **“სამეგრელო”** თავმჯდომარეს ბატონ **ალექსანდრე ჭაჭიას** გახეთ **“ილორის”** მთავარ რედაქტორს ბატონ **როლანდ ჯალაღანიას**

ბატონებო, გილოცავთ საზოგადოება **“სამეგრელოს”** და გახეთ **“ილორის”** დაარსებიდან 15 წლისთავს. დიდია თქვენი დეაწლი ქართული ცნობიერების გამოღვივებაში, რისთვისაც გულწრფელად გიხდით მადლობას. თქვენ მოღვაწეობთ დაიწყოთ იმ ავად სახსენებელ – შეგარდნადის რეჟიმის პერიოდში და ქვეყნის საბუნდევროდ არ შეგიწყვეტიათ სააკაშვილის დიქტატორულ მართვლობის პერიოდშიც კი. სამწუხაროდ, დღესაც მრავლად არიან ის ვაი-ქართველები, ვისთვისაც მიუღებელია რასაც თქვენ აკეთებთ, მაგრამ, ჩვენი ღრმა რწმენით, ახლა კიდევ უფრო აქტალურია ის საკითხები, რომლის წინ წამოწევასაც თქვენ ცდილობთ და სულით და გულით გისურვებთ წარმატებას ამ საქმიანობაში!

საზოგადოება **“აბაშელი”**

## შირაკ ტოროსიანი: „ჯავახეთში აჯანყება ბარდაშვალისა!“

უკრაინაში განვითარებული მოვლენების ფონზე გაგრძელდა უკრაინის ინფორმაციის შემდეგ, რომ სექტემბრისთვის შესაძლოა საქართველომ ნატოში გაწევრიანების სამოქმედო გეგმა (Map) მიიღოს, სომხეთის პოლიტიკურ და ექსპერტთა წრეებში აქტიურად განიხილება საქართველოს ნატოთან უფრო დაახლოების შემთხვევაში ჯავახეთში მცხოვრები სომეხი მოქალაქეების მდგომარეობის საკითხი, რომლებმაც შესაძლოა დამოუკიდებლობის საკითხი დააყენონ, – წერს სომხური ინტერნეტგამოცემა **“პანორამა”**.

საქართველოს ნატოში გაწევრიანების შემთხვევაში მის ტერიტორიაზე შესაძლოა თურქული ჯარები განთავსდეს, – აღნიშნავს გამოცემა, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით სომხეთის პარლამენტის ფრაქცია **“რესპუბლიკური პარტიის”** წევრს და მოძრაობა **“ჯავახის”** თავმჯდომარეს შირაკ ტოროსიანს ესაუბრა. დეპუტატი გამოიხატავს რეგონში სეპარატისტულ

მოძრაობას, თუმცა აცხადებს, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანება რუსეთსა და ნატოს შორის ახალ კონფლიქტს წარმოშობს, რაც, თავის მხრივ, მოსკოვსა და თბილისს შორის ახალი დაძაბულობის მიზეზი იქნება და თურქული სამხედრო კონტინგენტის წარმომადგენლობის შემთხვევაში პრობლემა აბსოლუტურად სხვა სიბრტეში გადაინაცვლებს. ტოროსიანის თქმით, საქართველოს, ცხადია, თავისი მიზნები აქვს და შეუძლია ნატოს წევრი გახდეს. თუმცა **“არც ერთ შემთხვევაში სომხური ეთნოსი არ მოითმენს თურქული არმიის ყოფნას იმ ტერიტორიაზე, სადაც ის ცხოვრობს”**, – აცხადებს ტოროსიანი და აღნიშნავს, რომ თურქული სამხედრო წარმომადგენლობის შემთხვევაში სერიოზული აჯანყება გარდაუვალი იქნება.

აღნიშნული საფრთხე რომ რეალურია, ეკვი არავის ეპარება, რადგან სომხეთში (გიუმრი) განლაგებულია რუსეთის სამხედრო



პირტი უღირსი და სამარცხვინო კუბლიკაციის კვლდკვალ

„როცა ქალი სინდისიდან სულ მილიანად გაშიშვლებდა, ის ვერ შეძლებს სიმწრისაგან წამითაც კი გაწითლებას“

ვინ იყო ის ერთადერთი დეპუტატი, რომელმაც 1998 წლის მაისის თვეში გალის რაიონში მეორედ დატრიალებული ტრავიკური მოვლენების შემდეგ, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის წევრების ქვეყნის პრეზიდენტად შეხვედრის დროს, ამხილა ხელისუფლება და დააბრუნა და ღამის ოცობა უთხრა ელვარდ შევარდნაძეს: „ის, რაც მოხდა გალში თქვენი, თქვენი ხელისუფლების წინდაუხედავი პოლიტიკის შედეგია და თქვენ ამას, როგორც ვხედავთ, გადააბრალებთ ისევ გაჭირვებულ ადგილობრივ მოსახლეობას, მაგრამ აქედან არაფერი არ გამოვა - ისტორია განსჯის მტყუნასა და მართალს“.

ვინ იყო ის ერთადერთი ქართველი დეპუტატი, რომელმაც დაკვირვებით (2008 წლის 25 სექტემბერს, ქართულ-რუსული ომის და აფხაზეთის გასხვისების შემდეგ), მაგრამ მაინც მიმართა ქვეყნის ყოფილ პრეზიდენტს, ე. შევარდნაძეს აურაცხელი შეკითხვებით და ამხილა იგი წინდაუხედავი და დაღუპვის ტოლფასი შეცდომების, რომლებმაც განაპირობეს ხალხისა და ქვეყნის ტრავმა და რომლის უკუნუნებაც შეეწირა 30 ათასზე მეტი სიცოცხლე აფხაზეთის 300 ათასამდე მკვიდრი მოსახლეობა აქცია დევნილად და აფხაზეთი მოწყვდა დედა-სამშობლოს - საქართველოს. ამ სისტემა სიმართლეს, რომელიც ამხილა ამ დეპუტატმა ქვეყნის დამპყველი, ელვარდ შევარდნაძე, თქვენ და თქვენმა მეგობრებმა „გარდა ამ მიკროსკოპული ჯიბე“ უწოდეთ! რატომ, რატომ თქვენ არ გახადეთ თქვენს პრეზიდენტში ის, რაც მოხდა აფხაზეთში, მსჯელობის საგნად? არ აღიმაღლეთ ხმა და არ უთხარეთ ხალხს სწორი სიმართლე, რომელიც დაუფარავად უთხრა ხალხს ამ ერთადერთმა ქართველმა დეპუტატმა, რატომ თქვენ არ გააკეთეთ ეს?!

და ბოლოს, თქვენს შორის ვინ იყო ის ერთადერთი დეპუტატი, რომელმაც უარი თქვა მისთვის სამარცხვინო სახელმწიფო ჯილდოებზე - გორგასლისა და ღირსების ორდენებზე, და არ მიიღო ისინი მოღალატე და ქვეყნის დამპყველ შევარდნაძის ხელებიდან? თქვენ შორის, ვინ მოიქცა ასე და ვინ დარჩა, მსგავსად იმ დეპუტატისა, ხალხის ინტერესებისადმი ბოლომდე ერდგული? „განდიდების სურვილით გაბრუნებული კაცი“ მოიქცეოდა ასე?! ან თქვენგან რომელი არ დაუშალა და ქართულ დეპუტაციას ვარძინასაგან მიღებულ გამაღონებელ ინფორმაციას, „გოსსაბჭოს“ მიერ გ. ლომინაძის კანდიდატურის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ წარდგინის შესახებ და არ დათანხმებოდა მის წინადადებას, ყველაფერი დარჩენილიყო საიდუმლოდ და ემუშავა მასთან ერთად სხვა, (ვ. არძინაშვილი მინიშნებით!) მისი კანდიდატურის ირგვლივ?! ამ დეპუტატმა, არა მარტო არ დათანხმდა ვ. არძინას წინადადებას და არ დაუმალა კოლეგებს მისგან მიღებული ინფორმაცია, არამედ, უფრო მეტიც, მოთოკა საკუთარი ამბიციები, და, როდესაც კენჭისყრაზე დადგა გ. ლომინაძეს კანდიდატურა, ქართული ინტერესების გათვალისწინებით და რომ ბოლო პუნოდა ამ საკითხის ირგვლივ კულისებში მიმდინარე ბინძურ თარეშს, ზოგიერთ თქვენგანისაგან განსხვავებით, ღიად დაუჭირა მხარი მას - კაცს, რომელიც არცერთი თვალსაზრისით არ იმსახურებდა (!) ამას, მით უფრო მისგან (!!!). თქვენგან რომელი მოიქცეოდა ასე? გააკეთებდა ამას თვით გივი ლომინაძე?!

აქ გვევტ ამ, ცოტა არ იყოს, ჩემთვის ძალიან უხერხულ და უჩვეულო სტილში საკუთარ საქმიანობაზე საუბარს, რაც ცხადია, არ მინდოდა, მაგრამ იძულებული გამხადეს შემესვენებინა ჩემი ოპონენტებისთვის ის, რთაც ვიყავი დაკავებული უმაღლესი საბჭოში და მის გარეშე, როგორც დეპუტატი, რამდენად არიან სამართლიანი, კეთილსინდისიერი, როდესაც ამბობენ, რომ „არავის არ ახსოვს ჩემი აქტიურობა და გაკეთებული საქმეები, არც აქ და არც იქ“. ამასთან, უსომოდ შეურაცხყოფენ, როდესაც მადარებენ „განდიდების სურვილით გაბრუნებულ“ კაცს. ეს მათ სინდისზე იყოს, მაგრამ საინტერესოა და მკითხველისთვისაც, ალბათ არ იქნება ინტერესემოკლებული, თუ შეუძლიათ ამ ქალბატონს და მის მეგობრებს დაახახელონ თუნდაც ერთი, ერთადერთი სასიკეთო საქმე, რომელიც გაუკეთებიათ მათ

აფხაზეთში, როგორც დეპუტატებს, ანდა მოქალაქეებს. ამას ისინი, სამწუხაროდ, ვერ შეძლებენ და არა მგონია, რომ ამით ძალიან შეწუხდნენ, სინდისის ქენჯინთ უხომოდ გადაიდალონ. ასეთი ხელის დეპუტატობა, მე თუ მკითხავთ, პარლამენტარისთვის, თვით პარლამენტარისთვის იდვის დისკრედიტაცია და შეურაცხყოფა!

ქართულ დეპუტაციის უფლებამოსილების აღდგენის საკითხსაც მინდა შევეხო. ეს არ იყო ყველაფრის ერთმნიშვნელოვანი მავანს და მავანს დეპუტატობა უფლებამოსილება სჭირდებოდა უმაღლესი საბჭოს აღსადგენად და მინისტრთა საბჭოს სტრუქტურების დაფუძნებისთვის - ერთი სიტყვით, დაკარგული პოზიციების აღდგენისა და საკუთარი კეთილდღეობის გასამყარებლად. დეპუტატობა პროგრესულ და საღად მოაზროვნე ნაწილს კი ეს აფხაზეთ მხარესთან უმაღლესი დონეზე დიალოგში მონაწილეობის შანსს აძლევდა. სწორედ ამის შემდეგ, როგორც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, მომეცა საშუალება, ქართულ-აფხაზეთი მოსოველი დიალოგის, 1995 წლის რამდენიმე რაუნდში მიმდრო მონაწილეობა, სადაც იხილებოდა ძირითადად დევნილების დაბრუნების საკითხი. მოლაპარაკება მიმდინარეობდა გაეროს მეშვეობით და მასში, ქართული და აფხაზეთი მხარეების წარმომადგენლების გარდა, მონაწილეობდნენ ვაეროს და რუსეთის პასუხისმგებელი პირები. აფხაზეთ მხარის წარმომადგენელთა შორის წამყვანი როლი ეკისრა ვარძინას მრეწველსა და მასთან ყველაზე დაახლოებულ პირს, ბატონ ანრი ჯერგენიას. სწორედ მასთან ვაწარმოებდი კულუარულ შეხვედრებსა და მრავალსათიან მოლაპარაკებებს 1995 წლის იანვარ, თებერვლ და მარტის ოფიციალური შეხვედრების წინა დღეებში, რის შედეგადაც მივალწიეთ შეთანხმებას და ერთობლივად შევიწყვეტეთ ხელშეკრულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა დევნილი მოსახლეობის მასიურ და უსაფრთხოდ დაბრუნებას. ეს დოკუმენტი, რომელსაც ექსპერტის დონეზე ვაწერდით ხელს ბატონი ანრი ჯერგენია და მე, შეიცავდა ისეთ პუნქტებსაც, რომლებიც აფხაზეთის საქართველოს სამართლებრივ სფეროში მოიაზრებდა, განიხილავდა მის შემადგენლობაში. ეს იყო აქ ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი!

ამასთან, ჩემი ერთობლივი ძალისხმევით, უარი თქვა მოლაპარაკებების კენჭისა და მოსოველის ფორმატებს და ქართულ-აფხაზეთი დიალოგი გადადიოდა აფხაზეთში, უბრუნდებოდა თავის პირვანდელ, შიდა რეგიონალურ პოლიტიკურ საწყისს. (უფრო დეტალურად იხილეთ წიგნის ქართული და რუსული გამოცემების 165-177 და 176-188 გვ.) ყველაფერი ეს კონფლიქტის დარეგულირების არსებითი ფორმატის რეგეას ნიშნავდა და ქართულ-აფხაზეთ ერთობლივობაში ახალი ეტაპი იწყებოდა. მოსოველთა და ქვეყნის ნაცვლად, ქართულ-აფხაზეთი დიალოგი სოხუმში და გალში გადაინაცვლებდა და, შეთანხმების თანახმად, პირველი ასეთი შეხვედრა ერთი კვირის ბოლოს გალში გაიმართებოდა! იმ დღეებში ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, დედამიწის ზურგზე ჩემზე ბედნიერი (თუ შეიძლება ასე მეფიქრა!) არავინ იყო, მაგრამ ეს სიხარული დიდხანს არ გაგრძელდებოდა: ანრი ჯერგენიასა და ჩემს მიერ შექმნილი შეთანხმების პროექტის ერთი ექსპლმლარი გადაევიტ ჩვენს ელხს მოსოველში, ბატონ ვაჟა ლორთქიფანიძეს და მეორე დღესვე გამოვეშვა ვერე თბილისს, მაგრამ ბატონმა ე. შევარდნაძემ ახლოსაც არ გამოკარა - სამი დღის განმავლობაში, დიდოდან სადამომდე ვიჯექი მის მისაღებად, მაგრამ ამაოდ! ქართულ-აფხაზეთი მოლაპარაკების ქართული დელეგაციის ერთ-ერთ წევრს, რომელსაც ხელში ეჭირა დევნილების დაბრუნების აფხაზეთ მხარესთან შეთანხმებული პროექტი, არ დეპუტატობდა ქვეყნის მეთაური... ეს კატასტროფა, აშკარა დალატი იყო!!!

მეოთხე დღეს გალის შემოვარენში მოქციეს არნახული დივერსიული აქტი, რის შედეგად აფხაზეთი მილიციის 7 მალაჩინოსანი დაიღუპა და აფხაზეთში საყოველთაო გლოვა გამოცხადდა. ასე ჩაიშალა იმ კვირის ბოლოს გალში დაგეგმილი ქართულ-აფხაზეთი პირველი შეხვედრა და საერთოდ მხარეების ყოველგვარი დიალოგი და ურთიერთობა. ამის შემდეგ კიდევ ერთხელ ვცადე ე. შევარდნაძესთან შეხვედა, მაგრამ ისევ ამაოდ...

მაშინ გამახსენდა ანრი ჯერგენიას მოსოველი ვაეროხილება: «Нам надо спешить, ато помешают» - «А кто же нам помешает?» - შევეკითხე ვაეროხელმა, - «Ваши!» - იყო მისი მრავლისმეტყველი პასუხი.

მოგვიანებით მიხვდი, თუ რაშიც იყო საქმე. დაერწმუნდი, რომ ჩემი შეთანხმების პროექტი მაშინათვე არამარტო ე. შევარდნაძის, არამედ თამაზ ნადარეიშვილის მაგიაზეც იდო!... ამ უკანასკნელმა მოვიკინებოთ დამილოთ მიოსრა: „იმ დღესვე ვიყავი საქმის კურსში“.

საბოლოოდ დაერწმუნდი, რომ აფხაზეთი გასხვისებული იყო, მისი ქართული მოსახლეობა კი - განწირული!

იმ დღესვე დავწერე განცხადება გადადგომის შესახებ და შევეშვა ვერე თამაზ ნადარეიშვილს. ის კი არც დაინტერესებულა მიხვებით და არც საუბარი უცდია ჩემთან. 9 წლის შემდეგ, ბედის ირონიით, უკვე „გარდების რეგულიციის“ შემდეგ, დავსტყვი ჩემს კოლეგებს... თამაზ ნადარეიშვილის გადასახვევებლად, სამწუხაროდ, როგორც თავის დროზე, მისი დაწინაურება, გადაწყენებაც ვერ მოხერხდა უჩემოდ!

ასე ავღმოვნიდი ისევ უმაღლეს საბჭოში და კვლავ შეუდექი დეპუტატობის საქმიანობას. მაგრამ ეს იყო მოვინებოთ.

მანამდე, გასული საუკუნის 90-იან წლების ბოლოს, 1988-1999 წლებში, გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების პატრონაჟით მიმდინარეობდა სამთავრობო დონეზე ქართული და აფხაზეთი დელეგაციების შეხვედრები. ასეთი ორი შეხვედრის მონაწილე ვაერო - ათენში და სტამბოლში. შეხვედრების მთავარი მიზანი ჩემი ურთიერთდაახლოება და ნდობის აღდგენა იყო. ამასთან, ვაეროს მეშვეობით, ერთ-ერთი საკითხად იხილებოდა კონფლიქტის ზონაში ერთობლივ სწრაფი რეაგირების ჯგუფების შექმნა. მასში მონაწილეობა ქართული და აფხაზეთი მხარეების გარდა, დსო-სა და ვაეროს სამხედრო დამკვირვებლებს უნდა მიეღო. ორივე შეხვედრაში მწვავე დისკუსიის ფონზე ჩაიარა. აფხაზეთი მხარე მოითხოვდა ადაიანის უფლებათა დარღვევის, ტერორისტული თუ დივერსიული აქტების მათ მიერ დამოუკიდებლად მოკვლევასა და სამართლებრივ დასჯის უფლებას. ამ დოკუმენტში იყო შედიამდე პუნქტი, რომლებსაც სჭირდებოდა დახსენება და კორექტირება. წარმოდგენილი რეაქციით ის პუნქტები მხარეებისთვის მიუღებელი იყო და ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა (როგორც ათენში, ასევე სტამბოლშიც). ამ შეხვედრებს რამდენიმე თვე აშორებდა ერთმანეთს. ვერც ვაეროსთვის პროცესის შეწყვეტისა და ვერც ნდობის აღდგენის საკითხებში მიმხმარა შესაძინევი რამ. ასე რომ, არავითარი პოზიტივი შედეგი ამ შეხვედრებს არ მოჰყოლია. კონფლიქტის ზონაში ოთხმხრივი სწრაფი რეაგირების შექმნის საკითხიც ღიად რჩებოდა. დოკუმენტში არ იქნა შეთანხმებული და ხელმოწერილი. ამ დროს კანცელარიაში ვიმყოფებოდი, თითქოსდა, პრეზიდენტის მრეწველად აფხაზეთის საკითხებში, მაგრამ ახლოსაც არ მაკარებდნენ კონფლიქტის პრობლემებიკასთან. მხოლოდ ერთხელ, ჩემი დაეინებული მოთხოვნისა და მას შემდეგ, რაც სახელმწიფო მინისტრს ბატონ ვაჟა ლორთქიფანიძეს წარვეუდინე ზემოდსწვებული პროექტის ღიად დარჩენილი შედი პუნქტის ჩემთვის ვერსია, მომეცა საშუალება ჩავსულიყავი სოხუმში და მეშეშავა აფხაზეთი მხარესთან ამ დოკუმენტის ირგვლივ. ეს იყო 1999 წლის 2 დეკემბერს: სულ რაღაც ნახევარი საათი დავგვირდა მე და ბატონ ანრი ჯერგენიას იმისთვის, რათა გამოვყენახა კონსენსუსი. მან დოკუმენტის ჩემთვის ვარიანტი შეთანხმდა ვლადისლავ არძინასთან. ერთი კვირისათვის აფხაზეთი დელეგაცია სვრები შამბას მეთაურობით თბილისში ჩამოვიდა და მხარეებმა ხელი მოაწერეს ჩემსა და ბატონ ა. ჯერგენიას მიერ შექმნილ დოკუმენტს და ასე შეიქმნა ოთხმხრივი სწრაფი რეაგირების ჯგუფები და შეუდგენენ ისინი კონფლიქტის ზონაში თვითნებ საქმიანობას.

კიდევ რა? 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს მიხვილ სააკაშვილს ვუღმუშავებოდი, რაც, ქვეყანაში შემდგომი განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, ჩემი დიდი შეცდომა იყო! ნაცემობობის აქტივისტებისა და გულშემატკივრების დაეინებული თხოვნით, ისევ

გამოვედი პოლიტიკურ სარბიელზე (აღრე, როგორც აღვნიშე, თამაზ ნადარეიშვილის მოადგილის მოვალეობიდან ვიყავი გადამდგარი), სათავეში ჩაუდექი სპეციალურ შტაბს, რომელმაც გააერთიანა ხუთსამდე აქტივისტი და გაეშალეთ აქტიური საქმიანობა. მუშაობა მიმდინარეობდა ენგურსგან - გალის რაიონის დაბალი ზონისა და ენგურს განაპირა სოფლების მოსახლეობაში.

არჩევნებამდე ორივე დღით ადრე ვადავედი გალში და ვთხოვე რაიონის დეფაქტო ხელმძღვანელობას, არჩევნების დღეს არ გადაეკეტათ (როგორც მათ ყოველთვის ადრე) მოსახლეობისთვის გადახსნის სარჩევნო ოქტის ხელმძღვანელობას, რათა გალიდან გადმოსულ მოსახლეობას კენჭი ეყარა იქ, სადაც ეს მათთვის უფრო მოსახერხებელი იყო. საქმის კურსში ჩავაყენე ასევე ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელობა (კერძოდ მისი თავმჯდომარე დ. ჭიბერაშვილი) და არჩევნების დღეს ავტობუსებით გადმოვყავდა ხალხი ენგურს გალიდან, დილიდან - საღამომდე. ასე მივალეებით არჩევნებში მონაწილეობა მთლიანობაში ათი ათასზე მეტ ამომრჩევლს გალის რაიონიდან. აბსოლუტურმა უმრავლესობამ მაშინ მხარი მიხვილ სააკაშვილს დაუჭირა. მართალია, მერე ყველაფერი ეს სხვად მიითვალა და ვარიანადაც ისარგებლა, მაგრამ ჩემთვის მთავარი იყო შედეგი და ის, რომ აფხაზეთ მხარესთან მუშაობა ისევ შემძლება!

კიდევ ერთხელ დაერწმუნდი იმაშიც, რომ ყოველთვისაა საჭირო და შესაძლებელი კულუარული მუშაობა აფხაზეთ მხარესთან. ამაში მარწმუნებდა 2007 წლის ბოლოს ქ. მოსოველში ჩემი მივლინება და მისი შედეგები. მის შესაძლებელი გახდა აფხაზეთის არ მთავრობის თავმჯდომარის, ბატონი ირაკლი ალასანიას მხარდაჭერით, რამდენჯერმე შეხვედი აფხაზეთი სეპარატისტების მამათავარს ბატონ ტარას შამბას. კონფიდენციალური საუბრების შედეგად, შევთანხმდით, რომ, თუ შეეძლებოდა სათანადო მხდატი და მომეცემოდა აფხაზეთი მხარის ლიდერებთან შეხვედრის შესაძლებლობა, იგი მზად იყო ჩემთან ერთად ემუშავა უხუცესთა საბჭოსთან, საზოგადოების წარმომადგენლებთან ლიხნში, დურთოში, სოხუმში და სხვანაირად. მისი აზრით, მე უნდა გამოვსულიყავი აფხაზეთის დეფაქტო პარლამენტშიც და შესაბამისი სამურზაყანოს რუსეთის შემადგენლობაში ცალკე შესვლის, აფხაზეთის ბედის გადაწყვეტის დროს მისი მოსახლეობის უფლებებისა და პრეტენზიების შესახებ და სხვ. მან კარგად იცის, თუ რა ელოდება აფხაზ ხალხს რუსეთის შემადგენლობაში, რომ ისინი საბოლოოდ გაიხიარებენ უბიხების, შავსუგების, სამების და სხვანაირ ბედს - მათ მომავალი რომ არ უწერიათ.

ეს იყო მეტად მნიშვნელოვანი მივლინება იმ მხრივაც, რომ ჩვენთან თანამშრომლობდა აფხაზეთი მხარის ისეთ პიროვნება, როგორც გამოჩენილი აფხაზი მწერალი ფაზილ ისკანდერია. იგი მაშინაც იყო მზად ჩახულიყო ჩემთან ერთად ვულაუთაში, მაგრამ ეს ჩაიშალა ალექსანდრ ანჟაბასის წინააღმდეგ მოწყობილი ტერაქტის გამო. იგი ქართულ-აფხაზეთი კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივას მხოლოდ მხარეებს შორის შერიგებაში ხედავდა: «Конфликт должен кончиться перемирием. Абхазы своё будущее должны искать в Грузии, только с грузинами вместе. Всякое другое просто не приемлемо» - ასეთი იყო მისი პოზიცია.

რაც შეეხება ქართული მხარის პოზიციას, ჩემს მოხსენებით ბარათს პრეზიდენტის აპარატის უფროსის ქინი ვატერინე შარაშიძეს სახელზე, არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია. დაინტერესება გამოიჩინა მხოლოდ ბატონმა ირაკლი ალასანიამ, რომელმაც შემომთავაზა გადავსულიყავი მასთან კანცელარიაში, როდესაც დაინშნა სპიკერად აფხაზეთის საკითხებში, მაგრამ ის მაშინათვე გადაიყვანეს ვაეროში საქართველოს ელჩად. ასე ჩაიშალა ბატონ ტარას შამბასთან ერთად შექმნილი ჩემი სამოქალაქო გეგმები.

და ბოლოს, კიდევ ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე მინდა მოთხველის ყურადღება შევანერო.

# სპორტული კუთხე მიჰყავს შურნალისტ ბიორბი ჯალაღანიას SOS! – კიდევ ერთ საფეხურთ სკოლას ვპარბავთ



სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე აკაკი ლოდიამ ფეხბურთის განვითარების პროგრამა რომ დაამუშავა, ალბათ, სწორედ ის გახდება სახელმწიფო გეგმის საფუძველი.

ლოდიამ კი ივარაუდა, რომ საბიუჯეტო სახსრები არა მხოლოდ ეროვნული ჩემპიონატის მონაწილე კლუბებზე, არამედ საფეხბურთო სკოლებზეც გადანაწილდება...

სწორედ ეს ამბავებს ჯიქიას ქუჩაზე მდებარე საფეხბურთო აკადემია "ოლიმპის" დირექტორ პაატა მეტრეველს, რომელიც არ არის დარწმუნებული, რომ ეს აკადემია მომავალშიც იარსებებს.

იყო დრო, "ოლიმპი" საქართველოში საუკეთესო და თითოთი საწევრებულ საფეხბურთო სკოლად ითვლებოდა, ეროვნულ და ასაკობრივ ნაკრებებს მო-

თამაშებით ამარაგებდა. მათი ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს, ბოლო მაგალითი თუნდაც თორნიკე ოქრიაშვილია.

"ოლიმპი" გადადგეს პირველი ნაბიჯები გიორგი ჭანტურია და ვაკო ყაზიანიშვილი, რომლებიც ჯერ "საბურთალოში" გადავიდნენ, ხოლო შემდეგ – პოლანდიურ "ვიტესში". აქვე დაიწყო ვარჯიში სანდრო კობახიძემაც, რომელიც ეროვნული ნაკრების ერთ-ერთ საკვანძო მოთამაშედ ჩამოყალიბდა და ესტონური "ფლორას" ლიდერმა ზაქარია ბეგლარიშვილმა, რომელსაც ქვეყნის მთავარ გუნდშიც უთამაშია.

"ოლიმპს" ახლა ძალიან გაუჭირდა და დიდია ალბათობა, რომ იჯარა აღარ გაუგრძელონ და ოდესღაც საუკეთესო საფეხბურთო სკოლის ადგილზე სახლები წამოჭომონ.

"იყო დრო, ჩვენაირი სკოლა

საქართველოში არ არსებობდა. ყველა ცდილობდა, რომ ბავშვი "ოლიმპში" მოეყვანა. ჩვენი საფეხბურთო კლუბი "თბილისი" ეროვნული ჩემპიონატის ლიდერებში იყო და უამრავი გულშემატკივარიც ჰყავდა.

ლაპარაკობდნენ, თითქოს ჩვენი აკადემიის ბაზაზე მენეჯმენტის სკოლა უნდა დაფუძნებულიყო და ამაზე ფედერაციაც თანახმა იყო. ჩვენს სტადიონზე არა მხოლოდ აკადემიის გუნდები და "თბილისი", ასაკობრივი და ეროვნული ნაკრებებიც ვარჯიშობდნენ, რადგან 2001 წელს საუკეთესო ხელმძღვანელი მოედნები დაგვკეთ.

მაგრამ "ხალიჩა" მაქსიმუმ 10 წელი ძლებს, მას შემდეგ კი 13 წელი გავიდა, საფარი დაძველდა, გაფუჭდა და უსახსრობის გამო ახლა იძულებული ვართ, მხოლოდ დაზიანებული ნაწილები შევცვალოთ, მთლიანად მოედნების განახლებას კი დიდძალი სახსრები ესაჭიროება", - წუხს მეტრეველი.

"ოლიმპის" დირექტორი სხვა პრობლემებზეც გველაპარაკა:

"ჩვენი სადარდებელი ისაა, რომ 2006 წელს "ოლიმპის" ტერიტორია გაიყიდა. ამ ტერიტორიის მფლობელი ესტონური სამშენებლო კომპანია სტადიონებს იჯარით გვითმობს. ადრე ჩვენი განკარგულებაში ხუთი ხელოვნურსადარბაზი მოედანი იყო: ერთი - სტანდარტული, დანარჩენი - მცირე ზომის; პლუს ღია აუზი, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა "ოლიმპს" ეკუთვნოდა.

მაგრამ ახლა მხოლოდ სტანდარტული და ორი მინი-მოედანი დავგრძე. თარგმანი არ გვიჭირდა, რადგან სამშენებლო კომპანია ორწლიან იჯარას გვიფორმებდა, მერე კი ვადა ჯერ ერთ წლამდე შეგვიმცირეს, შემდეგ - ნახევარ წლამდე, ახლა კი მხოლოდ ერთთვიან გარიგებაზე მოდიან.

სკოლის მოედნები მოძველებულია, "ხალიჩები" გავერანდა და მისი მოწესრიგებისთვის საკმაოდ დიდი კრედიტი გვჭირდება.

მაგრამ გრძელვადიანი იჯარის გარანტია თუ არ გვექნა, ამ კრედიტის აღება სარისკოა. ფული რომ გამოვიტანოთ და

იჯარა არ გავიგებდნენ, მერე სად წავიდეთ?! სკოლა სრული დატვირთვით რომ ავაშუშავთ, მინიმუმ, ათწლიანი იჯარა მაინც გვესაჭიროება".

მეტრეველის თქმით, აკადემიის გადასარჩენად სახელმწიფომ დაინტერესება უნდა გამოხატოს:

"სხვათა შორის, ამ სამი-ოთხი წლის წინათ "ოლიმპთან" პარტნიორობის სურვილი რამდენიმე ქართულ და უცხოურ კლუბს ჰქონდა, იყვნენ პოტენციური სპონსორებიც, მაგრამ მოლაპარაკება ჩვენ გარშემო არსებული გაურკვეველობის გამო ჩაიშალა.

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საფეხბურთო სკოლების დახმარებაცაა გათვალისწინებული და იმედია, ამ პროგრამაში "ოლიმპიც" მოხვდება. სხვაგვარად, ჩვენი საფეხბურთო სკოლა აღარ იარსებებს. იქნებ სახელმწიფო კომისიის წევრებმა გაიხსენონ, ბოლო წლებში "ოლიმპში" ქართული ფეხბურთის შენარჩუნებაში რა როლი ითამაშა და მოედნის დაგებაში დაგვეხმარონ.

ეს მხოლოდ ჩვენ არ გვჭირდება, რადგან თბილისში კიდევ ერთი საფეხბურთო ცენტრის დაკარგვის რეალური საფრთხე არსებობს.

კომპანიის წარმომადგენლებს ჩვენთან შეხვედრაც არ სურთ, სტადიონთან უკვე დაიწყეს სახლების მშენებლობა და დიდი შანსია, მალე სტადიონის ტერიტორიაზეც გადმოინაცვლონ - მიწა მათია და კანონით, ამის უფლებაც აქვთ. მაგრამ ასეთ შემთხვევაში, მოედნების ასაშენებლად მიწა სხვაგან უნდა მოვებნოთ, რაც ძალიან ძნელი იქნება და იარსებებს თუ არა "ოლიმპი", დღეს ამის თქმა გამოიჭირდება.

იმედს არ ვკარგავ და ვცდილობ, აკადემია შევინარჩუნოთ, თუმცა სახელმწიფოს ინტერესის გაგრძელებას შეუძლებელი იქნება და "ოლიმპი" ისევე ჩაბარდება წარსულს, როგორც ავლაბრის სტადიონზე მდებარე საფეხბურთო სკოლა, "შეგარდენი", "სინათლე", ძველი 35-ე სკოლა და ფშმი".

გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია - XXI საუკუნის სასაქონლო მონაწილე". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624 თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან. ცნობისათვის დარეკეთ - 599.573.322



## “იეჰოვას მოწმეების” შურნალი სობში – ანტიმართლმადიდებლური ღონისძიება



თვლიან, რომ ეს დაუშვებელი რამ არის, რაც სასწრაფოდ უნდა აღიკვეთოს. გარდა ამისა, მოსახლეობის ნაწილი იეჰოვას მოწმეების დარბაზის მშენებლობის დაწყებასაც აპროტესტებს. სობელები მიიხსენებენ, რომ სობის ცენტრალურ გზაზე იეჰოვას მოწმეების დარბაზი არ უნდა არსებობდეს.

მათი თქმით, ნებისმიერ ადამიანს აქვს საკუთარი რწმენის არჩევანის თავისუფლება, თუმცა, ცენტრალურ გზაზე ეს დარბაზი არ უნდა აშენდეს.

თავად იეჰოვას მოწმეები კი აცხადებენ, რომ იეჰოვას მოწმეების დარბაზის მშენებლობა სავსებით კანონიერია. რაც შეეხება ბუკლეტებს, ისინი აცხადებენ, რომ მათ უფლება აქვთ თავიანთი რელიგიის შესაბამისი ლიტერატურა გაავრცელონ.

ყოველთვის ასე ხდება, როცა საზოგადოებას მისი ისტორიის მთავარ შემადგენელს (ენას, მამულს, სარწმუნოებას...) ძალის გამოყენებით წართმეგ სანაცვლოდ

## მსაგვამო!

კი დასავლური სუროგატული ღირებულების გარდა ვერაფერს შესთავაზებ. ჩვენი ლამაზი ტრადიციებისა და მართლმადიდებლობის განადგურების მეტი ხომ არაფერი აინტერესებთ იმ ვეროამერიკელებს, რომლებიც დიდძალ თანხებს არ იშურებენ საქართველოს სხეულში ათვისების სიმისონდ ჩაბუღებულ მე-5 კოლონად ქვეყნის არასამთავრობებისათვის. და ეს მაშინ, როცა დღევანდელი ხელისუფლება კი ყოველნაირად ცდილობს ჭეშმარიტ მამულიშვილთა პოლიტიკური ცხოვრებიდან გარიყვას და ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რათა იდგურ და პოლიტიკურ წყვილადში ამყოფოს ქართველი ხალხი. ამის შემდეგ არც იელოველების მოძალდება გასაკვირი და არც გვიპარადების მოწყობა!

როგორც ამ შემთხვევაში ამბობენ: "უპატრონო ეკლესიას ეშმაკები ეპატრონებიან!"

მაგრამ, როდემდე? საპ. იწვ.

## იუმორი

პატარა გოგო დედას ეკითხება: - დედიკო, მამიკოს რატომ აქვს თავზე ასე ცოტა თმა? - იმიტომ, რომ ბევრს ფიქრობს. - შენ რომ ბევრი გაქვს? - გაჩუმდი და ჭამე, - უწყრება დედა.

ვინ იცის რა განსხვავებაა სომეხს და აკუმულატორს შორის? - აკუმულატორს ერთი პლიუსი მაინც აქვს!

ბაბუა უყვება შვილიშვილს: - ომის დროს გერმანელებმა ტყვედ შეგვიპყრეს და გვითხრეს: აირჩიეთ, ან მოგკლავთ ან გაგაუპატიურებთ.

- მერე, შენ რა გიქნეს ბაბუ? - ეკითხება შვილიშვილი. - მე მომკლეს ბაბუ! - პასუხობს ბაბუა.

გურული შედის ეკლესიაში და ლოცულობს: - ღმერთო რომ ხარ ქე ვიცი... რაც მინდა ქე იცი... აბა შენ იცი...

ცოლ-ქმარი მალაზიაში შედიან. ქმარი გამყიდველს მიმართავს: - თუ შეიძლება, აი, ის ძეხვი ამიწონეთ, სამასი გრამი, ძალიანსათვის. - კი მაგრამ, ჩვენ რომ ძაღლი არ გვყავს? - ეწურჩულება ცოლი ქმარს. - სუ! - აჩუმდები ქმარი, - ნუ წამუტუნებ.

ISSN 1987-8966 ilori
რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6, სარ.ბ. №01018002930
234-32-95
მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
თემატიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოლოყაშვილი
სარედაქციო საბჭო: ზაურ ბახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუპლაშვილი, კლიმენტი შალია, ბივი სომხიშვილი, ვიტორ ცაავა, ბიორბი სიჭინავა, ნუზუარ სალაყაია (ბალი)